K 189 572/3

აკაკი კაცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის მიგრაცია და საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარების პრობლემები

„მეცნიერება“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი კაცაძე

მოსახლეობის მიგრაცია და საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარების პრობლემები

(კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა)

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1983

32.5 (=99962.1) + 301085(-21) + 312(C922)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

301(C41)
60.5(2Г)
301+63.25(47.922)
ქ 36

1) ქალაქების მიგრაცია
2) საქართველოს ქალაქები

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს საშუალო სიდიდის ქალაქების მოსახლეობის მიგრაციისა და სოციალური განვითარების თანამედროვე პრობლემებს. საზოგადოების განვითარების სადღეისო მოთხოვნებთან კავშირში განხილულია საქართველოში მიმდინარე სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

აქტუალობა და სიახლე, რომელსაც წიგნი გვთავაზობს, ერთნაირად საინტერესოა სოციოლოგების, დემოგრაფების, ისტორიკოსების, ეკონომისტების, მართვის სისტემის მუშაკთათვის, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ნაშრომში გათვალისწინებულია სკკპ XXVI კონგრესისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მიერ შემუშავებული დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და ახლავს პრაქტიკული რეკომენდაციები და წინადადებები.

სპეც-2000
ელექტრონული

რედაქტორი პროფ. ე. ქ ვ ა თ ა ძ ე

ა. ფაღავას სახ. სა-
ბარ საცალთაშორის
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

К 189.572
3

10604
ქ М 607(06)—83 170—83

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქალაქმა, ცხოვრების ქალაქურმა წესმა, მიგრაციული მიზიდულობის განსაკუთრებული ძალა შეიძინა. ქალაქების ზრდა მიგრაციის მიზეზიც არის და შედეგიც. ქალაქის ტიპის დასახლება, ცხადია, არ არის ერთგვაროვანი. ფუნქციისა და მოსახლეობის რაოდენობის, გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული წარსულის, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების დონის მიხედვით ისინი არსებითად განსხვავებულნი არიან. ამასთან ერთად, ქალაქებისათვის დამახასიათებელია საერთო ზოგადი ნიშან-თვისება, რაც განასხვავებს მას სასოფლო ტიპის დასახლებისაგან. კომუნისტური ფორმაციისაკენ გარდამავალ ეტაპზე —განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში, ქალაქური ცხოვრების ინტენსიფიკაციამ მართვისა და განვითარების სერიოზული პრობლემები წარმოქმნა; ყოველი პრობლემა გაცნობიერებასა და გადაწყვეტას მოითხოვს. ერთ-ერთი პრობლემა მოსახლეობის მიგრაციის რეგულირება-რაციონალიზაციის აუცილებლობაა.

დღეს ქალაქისა და სოფლის, როგორც დასახლების სოციალური ორგანიზაციის, განვითარებას რიგი ახალი და არსებითი თავისებურებები გაუჩნდა. საინტერესო აზრია გამოთქმული ურბანიზაციის პირობებში ქალაქისა და სოფლის ფუნქციური სპეციფიკის შესახებ. მარქსსა და ენგელსს მიაჩნდათ (იმ პირობებისათვის სავსებით კანონზომიერად), რომ ერთი ერის შიგნით შრომის განაწილება და მიწათმოქმედებიდან სამრეწველო და სავაჭრო შრომის გამოყოფა იმავე დროს გამოჰყოფდა ქალაქსა და სოფელს, როგორც დასახლების სპეციფიკურ ტიპებს; ამჟამად „მახასიათებლების შინაარსი, რომელიც სოფლის ტრადიციული განსაზღვრების შემადგენელ ერთობლიობად წარმოგვიდგება, უფრო და უფრო ნაკლებად გამოხატავს მას (ე. ი. სოფელს — ა. კ.), როგორც სოციალურ-ეკონომიკურ მთლიანობას — ცვლილებები სოფლად მიდის ქალაქის განვითარების პარალელურად და თანამედროვე ურბანიზაციის ურთიერთდაკავშირებულ პროცესს წარმოადგენს“[1]. დემოგრაფიული პროცესების კვლევის დროს ეს გარემოება უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

---

[1] Формирование социальной однородности социалистического общества. Под ред. Ф. Р. Филиппова и др., М., 1981, с. 60.

მიგრაციული გადაწყვეტილების ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესი რთული სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური წარმონაქმნია. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ პიროვნების სოციალური თავისუფლების უზრუნველყოფა თავისთავად მიგრაციული მოქმედების უძლიერესი და უპირველესი ფაქტორთაგანია. დღეს პიროვნებას მისთვის სასურველი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის შერჩევის განუსაზღვრელად მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ახლო წარსულში ჰქონდა.

სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაციამ არსებითად იმოქმედა არა მარტო მოსახლეობის გადანაწილებაზე, არამედ საზოგადოების განვითარების თვისებრივ მხარეზეც.

მიგრაციის გზით მოსახლეობის გადანაწილება სხვადასხვა სიდიდის ქალაქებს შორისაც ინტენსიურად მიმდინარეობს. დადგენილია, რომ, რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო ძლიერია მიგრაციული მიზიდულობის ძალა. მაგრამ, ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ქალაქის სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების დონე, რაც მის სიდიდესთან ერთად მიგრაციული კავშირების ბუნებასა და მოცულობასაც განსაზღვრავს.

ჩვენი გამოკვლევის მიზანია დავადგინოთ საშუალო სიდიდის ქალაქის მოსახლეობის მიგრაციული ბუნება და მისი კავშირი აღნიშნული ტიპის ქალაქის სოციალური განვითარების პროცესებთან. კვლევის შედეგებმა უნდა მიგვიყვანოს პრობლემის პრაქტიკულ გადაწყვეტამდე — შევიმუშაოთ საშუალო ქალაქის მოსახლეობის მიგრაციის ოპტიმალური რეჟიმი. სკკპ XXVI ყრილობამ დაადგინა: „თანმიმდევრულად განვახორციელოთ დიდი ქალაქების ზრდის შეზღუდვის ვეზი, განვავითაროთ პატარა და საშუალო ქალაქები“...[2].

ამრიგად, საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის შესწავლამ უნდა მიგვიყვანოს რესპუბლიკის მოსახლეობის მიგრაციული კონცეფციის შემუშავების საკითხთან.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ, როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა „პარტიის XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, ამ ბოლო ხანს გამწვავებულ ხალხთმოსახლეობის პრობლემებს“[3].

---

2 სკკპ XXVI ყრილობა, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, თბ., 1981, გვ. 17.

3 სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981 გვ. 90—91.

საქალაქო დასახლების წარმოქმნა პირველყოფილი თემურიდან მონათმფლობელურ ფორმაციაზე გადასვლის ხანას უკავშირდება. ახლოებით ექვსათასწლიან პერიოდში, საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარებისდაკვალად, გეოგრაფიულად და ეთნოკულტურულად განსხვავებულ არეალებში საქალაქო დასახლების თვისებრივად განსხვავებული ფორმები განვითარდა (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური ქალაქები; აგრეთვე აზიური, ევროპული, ამერიკული და სხვ.).

ისტორიულად ქალაქურ დასახლებას, როგორც განსახლების ტიპს, მისი მოსახლეობის არასასოფლო-სამეურნეო ხასიათი განსაზღვრავდა. თუ ქალაქს დასაბამი მისცა შრომის დანაწილების აუცილებლობამ ხელოსნობისა და აღებმიცემობის სახით, დღეს ქალაქის პოლიფუნქციური ხასიათი ისეთი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი, რომ ერთიანი კლასიფიკაციის შემუშავების პრობლემა ძნელად გადასაწყვეტი აღმოჩნდა.

საქართველოს ქალაქების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საკითხები ქართველ ისტორიკოსთა რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა კვლევა-ძიების სფეროში მოხვდა; მრავალი საყურადღებო გამოკვლევა შეიქმნა როგორც წარსულ წლებში, ისე საბჭოთა პერიოდში.

საქართველოს თანამედროვე ქალაქების მოსახლეობის პრობლემებისადმი მიძღვნილი მეტად საინტერესო გამოკვლევები გამოაქვეყნეს ქართველმა ეკონომისტ-გეოგრაფებმა. მათი შრომები ემყარება დემოგრაფიულ სტატისტიკას და დემოგრაფიული პრობლემები განხილულია ტერიტორიული განსახლების ჭრილში.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის სოციოლოგიური კვლევა-ძიება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაიწყო ამ რამდენიმე წლის წინ. ქალაქების სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემების კვლევა უშუალოდ უკავშირდება სოციალური განვითარების მოთხოვნებს. დღევანდელობა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დიდმნიშვნელოვან სფეროთა ფუნქციონირების პოზიტიური და ნეგატიური მხარეები მუდმივ ყურადღებას, შესწავლას და რეგულირებას საჭიროებს. აქ ხვდება ერთმანეთს სოციალური განვითარების პრაქტიკა და კონკრეტული სოციოლოგია. სოციალური დემოგრაფია სოციალური განვითარების გეგმაზომიერად წარმართვის პროცესში კონკრეტული სოციოლოგიის აუცილებელ ნაწილად გვევლინება. სირთულეზე მიუთითებს ის, რომ „მეცნიერებას ჯერ კიდევ არ ძალუძს განსაზღვროს დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ურთიერთმოქმედების ზუს-

ტი საზომი, განსაკუთრებით კი ხალხთმოსახლეობის ამა თუ იმ ცვლილებაში ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური პროცესის, ცალკეული ფაქტორის გავლენის ზომა"[4]. აქ საქმე ეხება მოვლენათა არა გარეგან, ზედაპირულ, არამედ ღრმა შინაგანი კავშირებისა და კანონზომიერების დადგენას.

მოსახლეობის მიგრაცია ბუნებრივ-ისტორიული კატეგორიაა; ის არასოდეს წყდება, თუმცა შეიძლება შენელდეს ან გაძლიერდეს. მიგრაციულ პროცესებზე პირდაპირი ზემოქმედება არ იძლევა სასურველ შედეგებს. დემოგრაფიული პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვა შესაძლებელია გაშუალებული კომპლექსური ღონისძიებების რეალიზაციით. სოციალურ-ეკონომიკური პროცესების კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევა იძლევა საშუალებას დავადგინოთ განვითარების კონკრეტული, რეგიონალური ტენდენციები, შევნიშნოთ საზოგადოებრივი მოვლენების ნეგატიური და პოზიტიური მხარეები. ამ აზრით ხალხთმოსახლეობის პრობლემების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია.

ურბანიზაციული პროცესების ინტენსიფიკაცია სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია. ქალაქების მოსახლეობის რიცხობრივი ზრდა, ახალი ქალაქების წარმოქმნა, ცხადია, საზოგადოების განვითარების ღრმა შინაგანი ძვრების შედეგია. კაპიტალიზმის პირობებში ურბანისტული პროცესები გადაულახავ წინააღმდეგობებს აწყდება, იქმნება კრიზისული სიტუაციები; ფიქტიურად კი ეს პროცესი არამართვადი გახდა[5].

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საბჭოთა ურბანისტული კვლევა-ძიება საზოგადოების განვითარების ზოგად და კონკრეტულ პრინციპებს ემყარება.

მარქსისტულ-ლენინურ სოციოლოგიაში ამჟამად ყალიბდება ურბანისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები, იქმნება ძირითადი კონცეფციები, რომლის მიხედვით ქალაქური ცხოვრების ინტენსიფიკაცია თავის მხრივ ძლიერ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების საერთო ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის ზრდაზე, პროგრესულ ცვლილებებს იწვევს მოსახლეობის სოციალურ და დემოგრაფიულ სტრუქტურაში, მოთხოვნილებების ფორმირებასა და ცხოვრების წეს-

---

[4] Рабушкин Т. В., Социальная политика и демография, в кн. «Социология и проблемы социального развития», М.,1978, с. 348.

[5] Михайлов Е., Обострение социально-экономических противоречий урбанизации в США; в сб.: «Критика современных демографических буржуазных концепций». М., 1976, с. 73.

ში[6]. ცნობილია ვ. ი. ლენინის მოსაზრება, რომ ქალაქები ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ცენტრებს და პროგრესის მთავარ ძრავას წარმოადგენენ[7].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მიმართულებით არის საჭირო სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების სტიმულირება? პასუხისათვის უნდა მოვიშველიოთ დებულება, რომლის მიხედვით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ღერძად აღიარებულია პიროვნება. როგორც აღნიშნავენ, ურბანიზებული რეგიონი, როგორც სოციალურ-სივრცობრივი მთლიანობა, იმ სასიცოცხლო არეალს წარმოადგენს, სადაც უშუალოდ და მეტ-ნაკლები სრულქმნილებით ხორციელდება ინდივიდის სოციალური და კულტურული პოტენციალის გაფართოებული კვლავწარმოება[8].

პიროვნების თავისუფლების რეალიზაცია, მისი ყოველმხრივი განვითარების ობიექტურად არსებული პირობები, საქმიანობის სფეროს არჩევის მრავალფეროვნება მხოლოდ სოციალისტური ქალაქის პირობებში არის შესაძლებელი. აქ პიროვნება ღებულობს სრულ ინფორმაციას, განუწყვეტელ კონტაქტში იმყოფება საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკურ პროცესებთან კულტურის, ხელოვნების, სპეციალური ცოდნის სფეროში. ფსიქოლოგიურად პიროვნება ხდება მობილური და სწრაფი აღქმისა და მოქნილი ორიენტირების უნარის მქონე. ამდენად, ურბანიზებულ გარემოში მყოფი ინდივიდი თავის სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული ტევადობით მაღალი პოტენციალის მქონეა; საზოგადოების სივრცობრივი ცნება უფრო ფართოა, ამიტომ საბჭოთა საზოგადოების განვითარების მაგისტრალური მიმართულება ითვალისწინებს ფართოდ გაგებული ცხოვრების პირობების თანაბრობას დასახლების ყველა ტიპის მოსახლეობისათვის. ამაში ხედავენ „ურბანიზაციის, როგორც სოციალური ფენომენის მოხსნას“[9]. მაშასადამე, ურბანიზაციული პროგრესის უპირატესობანი უნდა გავრცელდეს სასოფლო დასახლებებზე, მისი რეორგანიზაციისა და რეკონსტრუქციის ბაზაზე. ამასთან დაკავშირებით იშლება ფართო საკვლევაძიებო არეალი, რომლის ერთ-ერთი ასპექტია მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის სოციალური მექანიზმის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების გადაწყვეტა.

ქალაქში განუწყვეტლივ შემოდის სოფლიდან მიგრაციული ნაკადი,

---

6 Яницкий О. Н., Урбанизация и социальное развитие; в кн. «Социология и проблемы социального развития». М., 1978, с. 177.

7 Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 23, с. 341.

8 Яницкий О. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

9 იქვე.

რაც დაკავშირებულია ქალაქის სახალხო მეურნეობის დარგების მუშახელით უზრუნველყოფასთან. ესაა ქალაქის კვლავწარმოებისა-ფუნქციის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა. ქალაქის, განსაკუთრებით დიდი ქალაქის, პირობებში მიგრაციის ადაპტაციის პროცესზე დაკვირვება ადასტურებს პიროვნების სრულყოფის, განვითარების დადებით ტენდენციებს.

დღეს უკვე დგას საკითხი ქალაქების სოციალური ინფრასტრუქტურის უპირატესი განვითარების აუცილებლობის შესახებ. ეს ახალი და რაციონალური ტენდენცია თეორიულად უნდა გაღრმავდეს და პრაქტიკულადაც უნდა იქნეს რეალიზებული. უამისოდ დიდი სიძნელეები წარმოიქმნება ურბანიზაციის მეშდგომი განვითარების გზაზე.

საშუალო ქალაქების, ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის საკითხები უნდა დავუკავშიროთ მიგრაციული პროცესების ერთიან სისტემას. მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ საბჭოთა საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე საჭიროა შეიზღუდოს მსხვილი ქალაქების ზრდა, გააქტიურდეს მცირე და საშუალო ქალაქი, გაწონასწორდეს ურბანიზაციის პროცესი, სოფლად დამკვიდრდეს ცხოვრების ქალაქური წესი, სოფლის მეურნეობა გადავიდეს ინდუსტრიულ ბაზაზე, შეიქმნას სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობათა სრულფასოვანი კომპლექსი[10].

საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის ადგილობრივი თავისებურებების ცოდნას, როგორც აღნიშნავენ, მნიშვნელობა აქვს არა მარტო ხალხთმოსახლეობის პრობლემების, არამედ ეკონომიკური წონასწორობის საკითხების გადასაჭრელად[11]. იმასაც მიუთითებენ, რომ მიგრაციის ხასიათი და მიმართულება განსაზღვრავს ცალკეული ქალაქების მოსახლეობის ზრდასა თუ შემცირებას[12].

„საშუალო ქალაქის" ცნება რაოდენობრივი შინაარსის მქონეა. საშუალო სიდიდის ქალაქი მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობას გულისხმობს. ცხადია, ასეთი მიდგომა ერთგვარად მექანიკურია, ზოგიერთი რაიონული დაქვემდებარების ქალაქი ბარის ზოლის კომპაქტურად დასახლებული ზოგიერთი სოფლის მოსახლეობას რაოდენობრივად ჩა-

---

[10] Хорев Б. С., Чапек В. Н., Проблемы изучения миграции населения. М., 1978, с. 218; Онищенко В. В., Поповкин В. А., Комплексное исследование миграционных процессов, М., 1973, с. 10.

[11] Хорев Б. С., Чапек В. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

[12] Гуджабидзе В. В., Миграция городского населения Грузии; в сб.: «Проблемы географии населения и использования территории», Тб., 1976, с. 22.

მორჩება, მაგრამ ფუნქციის მიხედვით არსებითად განსხვავდება. სოციოლოგიაში „საშუალო ქალაქის“ ცნება ეკონომიკური გეოგრაფიიდან, კერძოდ, მოსახლეობის გეოგრაფიიდან შემოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ქალაქთა კლასიფიკაციის სქემას, რომელიც ბ. ხორევმა შეიმუშავა ვ. დავიდოვიჩის კლასიფიკაციის საფუძველზე.

ცხრილი 1

საქალაქო დასახლებათა კლასიფიკაცია სიდიდის მიხედვით

საქალაქო დასახლებათა ძირითადი კატეგორიები	ჯგუფი	კლასი	მოსახლეობის რაოდენობა თითოეულ კლასში. ათასი კაცი
დიდი ქალაქები	ზემოხვილი ქალაქები	1	1000-ზე მეტი
		2	500—1000
	მსხვილი ქალაქები	3	250—500
		4	100—250
საშუალო ქალაქები	საშუალო ქალაქები	5	50—100
	ნახევრადსაშუალო ქალაქები	6	20—50
არადიდი ქალაქები	მცირე ქალაქები	7	10—20
	დაბები	8	10-მდე

ზემომოყვანილი კლასიფიკაცია[13] გასაზიარებელია, მაგრამ ყურადღებას იქცევს ერთგვარი გაურკვევლობა, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში შეინიშნება საშუალო ქალაქებთან დაკავშირებით.

თუ ზოგიერთი მკვლევარი ბ. ხორევის სქემას უცვლელად იყენებს[14], სხვას არსებითი ცვლილება შეაქვს მასში. მაგალითად, ვ. ჯაოშვილი მიიჩნევს, რომ ქალაქი, რომელშიც 50000-მდე კაცი ცხოვრობს, მცირეა, ხოლო საშუალოდ უნდა მივიჩნიოთ ის ქალაქი, რომლის მოსახლეობა 50 000-დან 100000-მდეა[51]. ასეთივე შეხედულებას ვხვდებით სხვებთანაც. მაგალითად, ერთ-ერთ კრებულში წარმოდგენილ ცხრილში, რომელიც მცირე ქალაქების კლასიფიკაციას ეხება, მცირე ქალაქები ხუთ ჯგუფად არის დაყოფილი:

I—3 ათასზე ნაკლები

II — 3-დან 5 ათასამდე

---

13 Хорев Б. С., Проблемы городов, М., 1975, с. 150.

14 Демиденко Э. С., Демографические проблемы и перспективы больших городов, М., 1980.

15 Джаошвили В. Ш., Урбанизация Грузии, Тб., 1978, с. 34.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III—5-დან 10 ათასამდე
IV—10-დან 20 ათასამდე
V—20-დან 50 ათასამდე[16].

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზევით აღინიშნა, მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით ქალაქების კლასიფიკაციას ერთგვარი მექანიკური ხასიათი აქვს, მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ რაოდენობრივი მხარე უთუოდ თვისებრივში გადადის და, რაც უფრო იზრდება ქალაქის სიდიდე, მით უფრო პოლიფუნქციური ხდება.

ისეთი მასშტაბის რესპუბლიკისათვის, როგორც საქართველოა, ჩვენი აზრით, საშუალო ქალაქი 20000 მცხოვრებით უნდა დავიწყოთ. 1979 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით საშუალო ქალაქთა რიცხვს საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება მივაკუთვნოთ:

გორი, ფოთი, ზუგდიდი; ცხინვალი, სამტრედია, ხაშური, ცხაკაია, ჭიათურა, თელავი, გაგრა, მახარაძე, ტყიბული, ტყვარჩელი, ზესტაფონი.

ფუნქციის მიხედვით საკვლევი ქალაქების კლასიფიკაცია მოცემული აქვს ვ. ჯაოშვილს[17].

I. სამრეწველო ქალაქები:
ა. მოპოვებითი მრეწველობის და ენერგეტიკის ცენტრები:
ჭიათურა, ტყვარჩელი, ტყიბული.
ბ. გადამამუშავებელი მრეწველობის ცენტრები:
გორი, ზუგდიდი, ზესტაფონი.
II. სატრანსპორტო ქალაქები:
ფოთი, სამტრედია, ხაშური.
III. შერეული ტიპის ქალაქები:
ცხინვალი, მახარაძე, თელავი, ცხაკაია
IV. საკურორტო ქალაქები:
გაგრა.

---

16 Малые города в системах расселения, под. ред. Е. М. Маркова, М., 1980, с. 9.

17 Джаошвили В. Ш., Население Грузии. Тб., 1968, с. 266—271.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი პირველი

სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოს საშუალო ქალაქებში

1. სოციალურ-დემოგრაფიული ცვლილებები

მიგრაციული პროცესების იზოლირებულად შესწავლა არ შეიძლება. აუცილებელია ვიცოდეთ დემოგრაფიული პროცესების სოციალური მექანიზმი, მისი ცვლილებები, განვითარების ტენდენციები. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებები. 1959, 1970 და 1975 წლების მოსახლეობის მონაცემთა შედარება საყურადღებო სურათს გვიშლის (ცხრ. 2)[1].

ცხრილი 2

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის რაოდენობითი ცვლილებები
(1959, 1970 და 1975 წლების მიხედვით)

ქალაქი	მოსახლეობის რიცხოვნება (ათასი კაცი)		
	1959 წ.	1970 წ.	1975 წ.
გორი	35,1	48,2	53,0
ფოთი	42,1	46,0	52,2
ზუგდიდი	31,1	39,9	41,2
ცხინვალი	21,6	30,3	33,5
სამტრედია	19,6	22,0	23,1
ხაშური	18,6	24,5	26,1
ცხაკაია	17,9	25,4	26,7
ჭიათურა	21,5	25,5	26,0
თელავი	15,3	21,2	23,1
გაგრა	14,0	23,0	22,6
მახარაძე	19,1	21,7	22,3
ტყიბული	22,7	23,2	23,4
ტყვარჩელი	28,4	25,8	24,8
ზესტაფონი	17,2	21,7	21,9

[1] Джаошвили В. Ш., Урбанизация Грузии. Тб., 1978, с. 112. საქართველოს ქალაქების რაოდენობრივი ცვლილებების კანონზომიერების საინტერესო ანალიზი მოგვცა მ. ნათმელაძემ (იხ. მ. ნათმელაძე, საქართველოს საქალაქო სტრუქტურის საკითხისათვის XX ს. 20-იანი წლების დამდეგს, ჟურ. „მაცნე", 1974, № 4).

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სხვადასხვა ინტენსივობით იზრდებოდა საშუალო ქალაქების ძირითადი ბირთვი, ზოგიერთმა ქალაქმა კი დაკარგა მოსახლეობა. დამატებითი სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ მოპოვებითი მრეწველობისა და ენერგეტიკის ფუნქციის მქონე საშუალო ქალაქების მოსახლეობა კლებულობს, აგრეთვე, ზესტაფონის (გადამამუშავებელი მრეწველობა). დანარჩენ ქალაქებში შენელდა მატების ტემპი, გარდა სამტრედიისა, რომლის მოსახლეობა უკანასკნელ აღწერათშორისო პერიოდში მეტად გაიზარდა. ძირითადად სამტრედიის მოსახლეობის მატება გამოიწვია სასოფლო დასახლებების ქალაქთან შერწყმამ და შესაბამისად ადმინისტრაციულმა გარღაქმნამ (ცხრ. 3).

ცხრილი 3

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის ზრდის (კლების) ტემპი, საშუალო წლიური მაჩვენებლები (%-ით) 1959—1970 წწ. და 1970—1975 წწ.

ქალაქი	1970 წელს	1959 წელთან	1975 წელს	1970 წელთან
	ზრდის (კლების) ტემპი	საშუალო წლიური მაჩვენებელი	ზრდის (კლების) ტემპი	საშუალო წლიური მაჩვენებელი
გორი	137	3,4	109	1,8
ფოთი	109	0,8	113	2,7
ზუგდიდი	128	2,5	103	0,7
ცხინვალი	140	3,6	110	2,1
სამტრედია	112	1,1	105	1,0
ხაშური	131	2,8	106	1,3
ცხაკაია	142	3,8	105	1,0
ჭიათურა	118	1,6	102	0,4
თელავი	139	3,5	109	1,8
გაგრა	164	5,8	98	0,3
მახარაძე	113	1,2	103	0,6
ტყიბული	102	0,2	101	0,2
ტყვარჩელი	91	— 0,8	96	—0,8
ზესტაფონი	126	2,1	101	0,2

უკანასკნელ წლებში დაეცა საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის ზრდის ტემპი, ხოლო ტყიბული, ტყვარჩელი და ზესტაფონი საგრძნობ მიგრაციულ დანაკარგს განიცდის უკანასკნელ 10 წლის მანძილზე.

საშუალო ქალაქების დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო რაიონების მოსახლეობა ქალაქთან უშუალო დემოგრაფიული ურთიერთზემოქმედების არეალშია მოქცეული, ამიტომ აღნიშნული ზოლის სოფლის მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებები უფრო მკაფიო წარმოდგენას შეგვიქმნის დემოგრაფიულ სიტუაციაზე და ტენდენციებზე (ცხრ. 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 4

საქართველოს საშუალო ქალაქების დაქვემდებარებაში მყოფი სოფლის მოსახლეობის ზრდის (კლების) ტემპი, საშუალო წლიური მაჩვენებლები (%-ით)

სასოფლო რაიონები	1959—1970 წწ.		1959 — 1979 წწ.	
	ზრდის (კლების) ტემპი	საშუალო წლიური მაჩვენებელი	ზრდის (კლების) ტემპი	საშუალო წლიური მაჩვენებელი
გორი	112	1,1	105	0,6
ზუგდიდი	110	0,9	106	0,7
ცხინვალი	98	—0,2	94	—0,7
სამტრედია	91	—0,8	74	—2,9
ხაშური	108	0,7	96	—0,4
ცხაკაია	84	—1,4	95	—0,6
ჭიათურა	108	0,7	94	—0,7
თელავი	107	0,6	105	0,6
გაგრა	73	—2,4	102	0,2
მახარაძე	108	0,7	99	—0,1
ტყიბული	94	—0,5	92	—0,9
ზესტაფონი	103	0,3	100	—

როგორც ჩანს, გარდა თელავის, გორისა და ზუგდიდის სასოფლო დასახლებებისა, ყველგან მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა კლებულობს და, თუ მხედველობაში მივიღებთ მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლებს, ამ შემთხვევაში მიგრაციული დანაკარგი საშუალო ქალაქების მიმდებარე სასოფლო რეგიონებში ყველგან დასტურდება.

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ მოვლენა, რომელიც აღნიშნული სასოფლო დასახლებებისათვის არის დამახასიათებელი. რაიონულ ცენტრებთან ახლო მდებარე შედარებით უკეთესი სატრანსპორტო კავშირების უზრუნველყოფის პირობებში სოფლის მოსახლეობა სტაბილურია ან ოდნავმატულობს, ხოლო განსხვავებულ პირობებში მყოფი. და განსაკუთრებით მთის ზოლში მდებარე სოფლის მოსახლეობა, ინტენსიური მიგრაციული ძვრების არეალშია მოქცეული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვეთრად კლებულობს. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ ზოგიერთ სასოფლო რეგიონს (ცხრ. 5).

საერთო ტენდენციის მიუხედავად, წარმოდგენილი ცხრილი რეგიონალურ თავისებურებებზეც მიგვითითებს. სოფლის მოსახლეობის

ცხრილი 5

მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებები სასოფლო საბჭოების მიხედვით 1979 წელს 1970 წელთან შედარებით (%-ით)

ხაშურის რაიონი		სამტრედიის რ.		ცხინვალის რ.		გორის რაიონი	
სასოფლო საბჭო	%	სასოფლო საბჭო	%	სასოფლო საბჭო	%	სასოფლო საბჭო	%
1	2	3	4	5	6	7	8
ალი	96	მელაური	38	არცევი	90	ატენი	129
გომი	99	ღანირი	85	ბელოთი	85	ახალუბანი	110
ოსიაური	111	ჯიხაიში	89	ბერული	88	ბერბუკი	113
ფლევი	86	ეწერი	74	ბიკარი	76	ბოშური	86
ქვიშხეთი	99	ბაში	95	ვანათი	98	ტინისხიდი	116
ხალები	58	გომი	99	გერი	78	დიცი	99
ცოცხნარა	82	ოფეთი	86	გრომი	72	ვარიანი	111
ცხრამუხა	108	გამოჩინებული	79	ძარი	62	კარალეთი	105
წალვლი	83	საჯავახო	63	ქემერტი	91	მერეთი	101
წრომი	76	ტოლები	95	ქსუისი	95	მეჯვრისხევი	113
ხცისი	106	იანეთი	96	ქურთა	106	მღებრიანი	36
		ნაბაკევი	92	ხეთაგუროვი	93	ნიქოზი	102
						საყავრე	74
						სკრა	99
						ტირძნისი	103
						ტყვიავი	107
						ქვახვრელი	109
						შავშვები	100
						შინდისი	112
						ძევერა	106
						ხიდისთავი	86
						ზეღდულეთი	108

კლების ტემპები სასოფლო დასახლებათა მიხედვით განსხვავებულია. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ზოგიერთი ადმინისტრაციული გარდაქმნა (სამტრედიაში — მელაური, გორში—ატენი და ხიდისთავი). უკანასკნელ წლებში სამტრედიის რაიონში გატარდა ადმინისტრაციული გარდა-

ქმნები. მაგალითად, მელაურის სასოფლო საბჭოს გამოეყო ნაწილი და დაექვემდებარა ქ. სამტრედიას. ამ გზით ქალაქს შეემატა 4023 სული (1114 კომლი). გაუქმდა სრულიად ნაფაღაურის სასოფლო საბჭო. [illegible] მელიც შეუერთდა ქ. სამტრედიას და სხვ. განსაკუთრებით ინტენსიურია მიგრაცია მთის ზოლიდან, მაგალითად: 1979 წელს 1972 წელთან შედარებით ოფეთის სასოფლო საბჭოში იყო 85,4% მოსახლეობა, ხოლო ზოგიერთი სოფლის მიხედვით უფრო ნაკლები. წიაღუბანში — 21,9%, მტერჩვეულში და ნაწილოფეთში — 57,5% გამოჩინებულის საბჭოში მთლიანად — 79,5%, ხოლო სოფ. ზემო აბაშაში — 70,1%.

მთის ზოლში მდებარე სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წონა ხაშურის რაიონში უფრო მეტია, ვიდრე სხვა საკვლევ რაიონებში.

სურამის სადაბო საბჭოში შემავალი მთის ზოლის სოფლები: კაკალთხევი, ლუბრუმა, აზარმეთი ნასოფლარებად იქცა. სოფ. აზარმეთის მოსახლეობა 1944 წელს გეგმიური წესით ჩაასახლეს ახალციხის რაიონში.

ცოცხნარის სასოფლო საბჭო მთის ზოლში მდებარეობს. 60-იანი წლების დასაწყისში ცოცხნარის კოლმეურნეობა შეუერთდა სურამის კოლმეურნეობას. ამასთან დაკავშირებით სოფ. ოძისის მოსახლეობამ მოითხოვა სურამში საკარმიდამო ნაკვეთები... და დაიწყო მასობრივი გადასვლა.

ცხრამუხას სასოფლო საბჭოში შემავალი სოფ. კოდისწყარის მოსახლეობა (70-მდე კომლი) 1964—1966 წლებში მთის ზოლიდან ქ. ხაშურში (ავტოსადგურის მომიჯნავე ტერიტორიაზე) ჩამოასახლეს. სოფელი გაუქმდა. ახლა იქ ქვიშხეთის საბჭოს მეურნეობის საძოვრებია. ნასოფლარად იქცა სოფ. ქაშუეთიც 1975—1976 წლებში, საიდანაც მეწყერული მოვლენების გამო თვით ცხრამუხაში გადმოსახლდნენ. ჩამოსახლების პროცესი დაიწყო სოფ. რბონადან და სოფ. დამჩხეულადანაც. სოფ. თაგუეთის მოსახლეობასაც დაუპირეს ბარად ჩამოყვანა და ღროებით შეაჩერეს. რბონაში არ არის მცოცავი მიწა, ამასთან საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აქვს. ახლო წარსულში ხაშურის რაიონის ჩამოთვლილი სოფლების მოსახლეობა უხვად აწარმოებდა ხორცისა და რძის პროდუქტებს, ხილ-ბოსტნეულს.

ხცისის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სოფ. ხავლეთიდან (წრომის ს. ს.) 70-იან წლებში მეწყერთან დაკავშირებით 29 ოჯახი ჩამოსახლდა. ხცისის საბჭოში შემავალი სოფლები დიდი თხილნარა და პატარა თხილნარა მოსახლეობიდან იცლება, მოხუცებულებიღა დარჩნენ: ოჯახის საშუალო ზომა ამ სოფლებში შესაბამისად 2,6 და 2,2 სულია. ასეთივე ვითარებაა წრომის სასოფლო საბჭოში შემავალი მთის ზოლის

სოფლებში ყელეთში და ხავლეთში, ხოლო სოფელი ვაკეპანტები ნასოფლარად იქცა. აქედან მოსახლეობა ბრეთში გადავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალების სასოფლო საბჭოდან რამდენიმე სოფლის მოსახლეობა მეწყერის გამო ქ. ხაშურში (ჭალისუბანში) ჩასახლდა. სოფ. ღუდა საკუთრივ ხაშურში—ჭალისუბანში ჩასახლდა. ხოლო სოფ. ჯვართმუხის მოსახლეობამ ქ. ხაშურში საკუთარი უბანი — ჯვართმუხის უბანი შექმნა. უგზო და მიუვალი სოფლები ღანძილები და ნარუჯები ნასოფლარებად იქცა. ადრე სასოფლო საბჭოს ცენტრი ღუდაში იყო. სოფლის გაუქმების შემდეგ საბჭოს ცენტრმა ხალებში გადმოინაცვლა. სადღეისოდ ხალების სასოფლო საბჭოდან იმდენად ინტენსიურია მიგრაცია, რომ ბავშვების სიმცირის გამო დაწყებითი სკოლაც კი აღარ არის.

ალის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლის მოსახლეობა, მართალია, შედარებით მცირედ იკლებს, მაგრამ აქაცაა ერთი უგზო სოფელი მთის ზოლში — კლდისწყარო, სადაც მოხუცებულები ღა ცხოვრობენ. 1970 წელს აქ 40 კომლი ცხოვრობდა, ამჟამად 30 კომლია. მაშასადამე, 1979 წელს 1970 წელთან შედარებით კომლთა რაოდენობა იყო 71,4%, სულადობა — 54,9%, ხოლო ოჯახის საშუალო ზომა — 73,1%. ამ სოფლის მოსახლეობა ხაშურსა და სურამში გადავიდა. როგორც ჩანს, ჩქარა კლდისწყარო ნასლოფლარად გადაიქცევა.

გორის რაიონის სასოფლო დასახლებაშიც დასტურდება მოსახლეობის მექანიკური გადაადგილება. მაგალითად, ქვახვრელის სასოფლო საბჭოში შემავალი მთის სოფლებიდან (ველები, ავჯეთი) გადადიან გორში საცხოვრებლად, აგრეთვე მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლებაში. ძღებრიანის სასოფლო საბჭოდან მრავალი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ჩრდილო ოსეთში (დიდი წერეთი თითქმის მთლიანად გადავიდა, აგრეთვე, სოფლები საჯია, ზემო ბალვანი, საქალეთი).

ხიდისთავში, გორთან ახლოს, ჩამოდიან საყავრისა და მღებრიანის მთის ზოლის სოფლებიდან (ახალსოფელი, პიტნარა, ბორცვანა, გულხანდისი, ნადარბაზევი). მთის ზოლიდან მოსახლეობის ჩამოწოლას ბარში, გარდა სხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებისა, ხელი შეუწყო ახლო წარსულში გატარებულმა კოლმეურნეობათა გამსხვილების ღონისძიებამ.

ჩამოსახლების მსურველები ახლაც მრავლადაა, მხოლოდ ადმინისტრაციული შეზღუდვა აჩერებს. გორის ირგვლივ მდებარე სოფლებიდან მიგრაციულ დაწოლას ტინისხიდიც განიცდის, რომელიც თითქმის შერწყმულია გორთან. ახლო წარსულში მთის ზოლიდან 42

კომლი ჩამოსახლდა; გარდა ამისა, აქ 50-მდე კომლი ცხოვრობს, მაგრამ იურიდიულად არ არის ფიქსირებული. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან მიგრაციული დაწოლა, როგორც უწინ, გრძელდება. მაგალითად, ცხინვალის რაიონის სოფლებიდან ძევერის საბჭოთა მეურნეობის დასახლებაში 80-ზე მეტი ოჯახი ჩამოსახლდა. ასევე — ტყვიავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, მხოლოდ ოსი ეროვნების 92 ოჯახი ჩამოსახლდა 1970—1980 წლებში გორის რაიონის სასოფლო დასახლებებში, სულ — 372 სული; აქედან, მუდმივად — 93, დროებით — 48, ხოლო 231 ცხოვრობს გაუფორმებლად.

საშუალო ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობაში მომხდარი ცვლილებები უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების უფრო ღრმა ანალიზის საჭიროებაზე მიგვითითებს, რადგან საზოგადოებრივი მართვის მეცნიერულ დონეზე აყვანა სოციალურ მოვლენათა ცოდნის გარეშე პრაქტიკულად გამორიცხულია.

ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის, რეგიონის მოსახლეობის რაოდენობრივ ცვლილებებზე გავლენას ახდენს ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის ხასიათი.

К 189.572

დემოგრაფიული პროცესები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელი ფაქტორებით წარმოიქმნება, რომლის საფუძველი საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობის განვითარების მდგომარეობა, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ადგილობრივი თავისებურებები, ფსიქოლოგიური განწყობა და სოციალურ ღირებულებათა ახლადფორმირებული სისტემაა.

2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა

ქალაქის მოსახლეობის მატებაში ბუნებრივი მატების პროცენტი განსხვავებულია როგორც ისტორიული პერიოდების, ისე ქალაქების სიდიდისა და ფუნქციის მიხედვით.

გ. ფირცხალავამ ვ. ჯაოშვილის მონოგრაფიულ გამოკვლევაში (Урбанизация Грузии, Тб., 1978) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშა ჩვენთვის საინტერესო მონაცემები და დაასკვნა, რომ „თუ 1921—1959 წლებში ქალაქის მოსახლეობის საერთო მატებაში საკუთრივ ქალაქის მოსახლეობის ბუნებრივი მატების წილი შეადგენდა 27 პროცენტს, სოფლიდან ქალაქად გადმოსულთა წილი — 30 პროცენტს; სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან ქალაქად შემოსულ-

ქ. ფაცაცის სახ. სახ. ბიბ. საბჭოთა რესპუბლიკების ბიბლიოთეკა

თა წილი უდრიდა 30 პროცენტს, ხოლო სოფლის დასახლებული პუნ-ქტების ქალაქად გარდაქმნის შედეგად ქალაქის მოსახლეობის ზრდა შეადგენდა 13 პროცენტს. შესაბამისი მონაცემები 1959 წლიდან უკანასკნელ დრომდე უდრის: 57, 26, 17 პროცენტს"[2].

მაშასადამე, როგორც სწორად შენიშნავს გ. ფირცხალავა, საქართველოს ქალაქებში გადიდდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების წილი.

საყურადღებოა, ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთში, საკუთრივ საშუალო ქალაქებში როგორი მდგომარეობაა.

ცნობილია, რომ ურბანიზებული გარემოსათვის საზოგადოდ დამახასიათებელია შობადობის დაქვეითებული დონე. ამასთან ერთად, საერთოდ, მსოფლიოს განვითარებული, ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებისათვის შობადობის შემცირება ერთ-ერთი ძირითადი დემოგრაფიული პრობლემა გახდა და მისი მატებისათვის სახელმწიფოებრივი ღონისძიებები ისახება დემოგრაფიული პოლიტიკის ფარგლებში. XXVI ყრილობაზე ამის შესახებ ითქვა და ამჟამად უკვე მიღებულია სათანადო დადგენილება მომუშავე დედებისათვის სოციალური დახმარების შესახებ. დასახულია შობადობის სტიმულირების სხვა ღონისძიებებიც.

ცნობილი დემოგრაფი ბ. ურლანისი შენიშნავს, რომ საქართველოს „მოკავშირე რესპუბლიკებს შორის შობადობის დონის მიხედვით მეშვიდე ადგილი უკავია... 1970—1975 წლების პერიოდისათვის საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა გაიზარდა 9%-ით, საქართველოსი კი — 7%-ით, მაშინ როცა შუა აზიის რესპუბლიკების მოსახლეობა გაიზარდა ამ პერიოდისათვის 28—31%-ით. ქართველმა ქალმა უკვე კარგა ხანია დაიწყო შობადობის შეზღუდვა და ბავშვების რაოდენობის დაგეგმვის პრაქტიკა. ასე, მაგალითად, სრულიად ახალგაზრდა ქართველი ქალი 25—29 წლის ასაკში 5 წლის წინ შობდა 155 ბავშვს (ყოველ 1000 ქალზე), ახლა კი — 132. შემდგომ ასაკობრივ ჯგუფში, ე. ი. 30—34 წლის, ყოველ 1000 ქალზე დაბადებათა რიცხვი 5 წელში 78-დან დაეცა 70-მდე. განსაკუთრებით ძლიერ შეამცირა შობადობა ქართველმა ქალმა 35—39 წლის ასაკში — 40-დან 26-მდე (ყოველ 1000 ქალზე), ე. ი. თითქმის ორჯერ 5 წლის მანძილზე"[3].

კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევები, რომელიც საქართველოში ტარდება, ადასტურებს შობადობის დაქვეითების ნეგატიური

---

2. გ. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, საბჭოთა საქართველოს დემოგრაფიული განვითარება. ჟურნ. „ეკონომისტი", 1981, № 3, გვ. 34.

3 ბ. უ რ ლ ა ნ ი ს ი, ბავშვები — ჩვენი ბედნიერება. ჟურნ. „პარტიული სიტყვა", 1981, № 10, გვ. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენის ზოგიერთ მიზეზს, რომელთა დაძლევა შობადობის გაზრდის სოციალურ და ფსიქოლოგიურ რეზერვს წარმოადგენს[4].

საქართველოს საშუალო სიდიდის ქალაქებში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა რიგი თავისებურებებით ხასიათდება. თავისებურებებში იგულისხმება როგორც განსხვავება მისივე რეგიონის სოფლის მოსახლეობიდან, ისე სხვა სიდიდის ქალაქებისაგან.

ვ. ჯაოშვილის საქართველოს ურბანიზაციის პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა სიდიდის ქალაქების მიხედვით ბუნებრივი მოძრაობის ამსახველ ცხრილს (ცხრ. 6).

ჩვენ ვისარგებლებთ აღნიშნული მონაცემებით.

ცხრილი 6

საქართველოს სსრ სხვადასხვა რანგის ქალაქების ბუნებრივი მატების საშუალო კოეფიციენტები 1959—1975 წწ.[5]

საქალაქო დასახლებათა რანგი	ყოველ 1000 კაცზე საშუალო წლიურად 1959 — 1974 წწ.		
	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება
ყველა ქალაქი	19,9	6,7	13,2
მსხვილი ქალაქი (1 მლნ-ზე მეტი)	17,8	7,5	10,3
დიდი ქალაქი (100-დან 200 ათასამდე)	19,1	6,4	12,7
საშუალო და მცირე ქალაქი (60 ათასამდე)	21,4	5,6	15,8

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა დინამიკაში არასასურველ ტენდენციებს ამჟღავნებს. საშუალო წლიური მაჩვენებელი კი ასეთია (ცხრ. 7).

როგორც ვხედავთ, საქართველოს საშუალო ქალაქებში განსხვავებული მდგომარეობაა როგორც შობადობის, ისე გარდაცვალების მაჩვენებელთა მიხედვით, რაც ცხადია, გავლენას ახდენს ბუნებრივი მატების მაჩვენებელზე. განსაკუთრებით არასასურველი ტენდენცია დასტურდება ფოთში, აქ მეტად დაბალია შობადობა და მაღალი—სიკვდი-

---

[4] ა. კაცაძე, სოციალურ-დემოგრაფიული პროცესები და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და კვლევის საკითხები. კრებ. „საზოგადოებრივი აზრი და სოციალური განვითარების პროცესების კონკრეტული შესწავლა". რედ. მ. გეგეშიძე, თბ., 1978, გვ. 33—38.

[5] Джаошвили В. Ш., Урбанизация Грузии, Тб., 1978, с. 132.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრილი 7

საქართველოს საშუალო ქალაქების ბუნებრივი მოძრაობის საშუალო წლიური მაჩვენებელი (ყოველ 1000 მაცხოვრებელზე გაანგარიშებით) 1970 — 1980 წწ.

ქალაქი	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება
1	2	3	4
გორი	19,2	5,8	13,4
ფოთი	15,6	7,8	7,8
ზუგდიდი	16,9	6,2	10,7
ცხინვალი	21,0	6,3	14,7
სამტრედია	17,2	7,6	9,6
ხაშური	20,6	7,1	13,5
ცხაკაია	16,9	8,2	8,7
ჭიათურა	15,1	3,9	11,2
თ ლავი	16,6	7,5	9,1
გაგრა	14,5	8,0	6,5
მახარაძე	16,9	9,1	7,8
ტყიბული	17,5	4,6	12,9
ტყვარჩელი	18,0	6,3	11,7
ზესტაფონი	19,1	7,8	11,3

ლიანობა, ამიტომ ფოთის მოსახლეობის ბუნებრივი მატება ყველაზე მცირეა. შობადობის დონე აგრეთვე მეტად დაქვეითებულია ჭიათურაში, ზუგდიდში და ტყიბულში, ხოლო გარდაცვალების მაჩვენებელი მაღალია სამტრედიაში, ცხაკაიაში, გაგრაში და მახარაძეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი მატება, როგორც ეს ნათლად ჩანს ვ. ჯაოშვილის მიერ წარმოდგენილი ცხრილიდან, ქალაქებს შორის ყველაზე მაღალია მცირე და საშუალო ქალაქებში. ცხინვალი, ხაშური და გორი დღევანდელ პირობებში ბუნებრივი მატების ოპტიმალურ დონეს ინარჩუნებენ.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში საშუალო ქალაქებს ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება მკვეთრად ჩამორჩება ქალაქისას. მაგალითად, საშუალო წლიური მაჩვენებელი ხაშურის რაიონის სოფლის მოსახლეობაში იყო 7,3 პრომილე, ხოლო სამტრედიაში — 3,5.

ვ. ჯაოშვილი სწორად შენიშნავს, რომ „1959 — 1974 წლებში მცირე და საშუალო ქალაქებში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 53,4%-ით მაღალი იყო, ვიდრე მილიონიანი რანგის ქალაქში — თბი-

ლისში... (მცირე და საშუალო ქალაქების — ა. კ.) მოსახლეობის უმეტესობა გუშინდელი სოფლის მცხოვრებია, რომლის დემოვრაფიულ ქცევა მრავალ შემთხვევაში ასახავს ცხოვრების სოფლურ წესს... სოფელ ადგილებიდან მიგრანტების ინტენსიური შემოსვლის პირობებში მატულობს ფერტილური ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა"[6].

ბუნებრივი მოძრაობის ყველა მაჩვენებელზე, როგორც ცნობილია, გავლენას ახდენს ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ეთნიკური ტრადიციები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები, სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობა, სოციალურ ღირებულებებთან დამოკიდებულების ხასიათი და სხვ. ამის შესახებ საათანადო აღგილზე გვქონდა მსჯელობა[7]. საშუალო ქალაქების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაქვემდებარებაში მოქცეულ სასოფლო რეგიონებში შობადობის მკვეთრი დაცემა ახლო მომავალში საშუალო ქალაქებზე მიგრაციული დაწოლის შესამჩნევ შემცირებას გამოიწვევს.

3. მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა სტატისტიკის მიხედვით

მოსახლეობის მიგრაციის ოფიციალური სტატისტიკა რამდენადმე ხარვეზიანია, ამიტომ უფრო დამაჯერებელ სურათს იძლევა მიგრაციის მაჩვენებლის დადგენის მიზნით მოსახლეობის საერთო რაოდენობისა და ბუნებრივი მოძრაობის მონაცემების შედარებითი ხერხის გამოყენება (ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემების ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი დაცულია საქართველოს სტატისტიკურ სამმართველოში კერძოდ, მოსახლეობის აღწერის მასალებში).

ირკვევა, რომ საქართველოს საშუალო ქალაქები მიგრაციული ძვრების მხრივ თავისებურებებით ხასიათდება (ცხრ. 8).

როგორც წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობამ საერთოდ 1970—1974 წლების (5 წლიან) პერიოდში მოიმატა 21,5 ათასი კაცით. დროის ამავე მონაკვეთში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 23,0 ათასი კაცი. ამრიგად, მიგრაციული დანაკარგი უდრის 1,5 ათასს. მაგრამ, განსხვავებული ფუნქციისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მქონე ქალაქის მოსახლეობისათვის დამახასიათებელია მიგრაციული პროცესის სხვადასხვა მასშტაბი და ინტენსივობა. მიგრაციული ნაკადების გაცვლის სხვადასხვა ბუნება. დადებითი მიგრაციული სალ-

---

[6] Джаошвили В. Ш. დასახ. ნაშრომი, გვ. 132—133.

[7] იხ. აგრეთვე: პ. გუგუშვილის, გ. ფირცხალავას, რ. კლიმიაშვილის, გ. წულაძის და სხვ. შრომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 8

მოსახლეობის რიცხოვნობა, ბუნებრივი და მექანიკური მატება (კლება) საქართველოს საშუალო ქალაქებში (ათასი კაცი). 1970—1974 წწ.

ქალაქები	მოსახლეობის რაოდენობა პერიოდის დასაწყისში	მოსახლეობის რაოდენობა პერიოდის ბოლოს	მოსახლეობის საერთო რაოდენობის მატება (კლება)	ბუნებრივი მატება	მექანიკური მატება (კლება)
გორი	48,2	53,0	4,8	4,0	0,8
ფოთი	46,0	52,2	6,2	2,0	4,2
ზუგდიდი	39,9	41,2	1,3	2,0	—0,7
ცხინვალი	30,3	33,5	3,2	2,4	0,8
სამტრედია	22,0	23,1	1,1	1,1	0,0
ხაშური	24,5	26,1	1,6	1,8	—0,2
ცხაკაია	25,4	26,7	1,3	1,3	0,0
ჭიათურა	25,5	26,0	0,5	1,3	—0,8
თელავი	21,2	23,1	1,9	1,0	0,9
გაგრა	23,0	22,6	—0,4	0,8	—1,2
მახარაძე	21,7	22,3	0,6	0,9	—0,3
ტყიბული	23,2	23,4	0,2	1,6	—1,4
ტყვარჩელი	25,8	24,8	—1,0	1,6	—2,6
ზესტაფონი	21,7	21,9	0,2	1,2	—1,0
ს უ ლ	398,4	419,9	21,5	23,0	—1,5

დო აქვს მხოლოდ ოთხ ქალაქს: გორს, ფოთს, ცხინვალს, თელავს; რვა ქალაქი: ზუგდიდი, ხაშური, ჭიათურა, გაგრა, მახარაძე, ტყიბული, ტყვარჩელი, ზესტაფონი მიგრაციულ დანაკარგს განიცდის. დანარჩენი ორი ქალაქისათვის დამახასიათებელია შემავალი და გამავალი მიგრაციული ნაკადების თანაბრობა. წარმოდგენილი ხუთწლიანი მონაცემები მიგვითითებს საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის მოსალოდნელი შემცირების ტენდენციაზე, რამდენადაც შობადობის დონის დაქვეითება და ნეგატიური მიგრაციის აჩქარება უკვე რელიეფურად გამოხატული ფაქტია.

საქართველოს საშუალო ქალაქებში მიმდინარე არასასურველ მიგრაციულ პროცესებზე მიგვანიშნებს შემდეგი ანალიტიკური მონაცემებიც (ცხრ. 9).

მიგრაციული სალდოს ფონზე მკვეთრად გამოიყურება მიგრაციის მოცულობის მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნულ ხუთწლიან პერიოდში (1970—1974 წწ.) გორში მიგრაციის მოცულობამ შეადგინა 10.5 ათასი კაცი, ფოთში—19,6 ათასი, ტყვარჩელში—17,6 ათასი, ცხინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 9

მიგრაციის ძირითად მაჩვენებლები საქართველოს საშუალო ქალაქებში (ათასი კაცი) 1970 — 1974 წწ.

ქალაქები	მიგრაციის სალდო	მიგრაციის მოცულობა	მიგრაციის მოცულობის და სალდოს შეფარდება (რამდენჯერ)	მიგრაციის ინტენსივობა (მოცულობის შეფარდება მოსახლეობის რაოდენობასთან) %-ით
გორი	0,8	10,5	13	4,1
ფოთი	4,2	19,6	5	7,0
ზუგდიდი	—0,7	5,9	— 8	3,0
ცხინვალი	0,8	9,5	12	6,0
სამტრედია	0,0	3,6	4	3,1
ხაშური	—0,2	4,8	—24	4,0
ცხაკაია	0,0	2,5	25	1,9
ჭიათურა	—0,8	4,1	— 5	3,1
თელავი	0,9	4,1	5	3,6
გაგრა	—1,2	5,6	— 5	2,4
მახარაძე	—0,3	2,1	— 7	1,8
ტყიბული	—1,4	2,6	— 2	2,1
ტყვარჩელი	—2,6	17,6	— 7	13,8
ზესტაფონი	—1,0	5,9	— 6	5,5
ს უ ლ	—1,5	98,4	—66	4,8

ვალში — 9,5 ათასი, ზუგდიდში — 5,9 ათასი, ზესტაფონში — 5,9 ათასი. ყველა საშუალო ქალაქისათვის ერთად აღებული მაჩვენებელი თითქმის 100 ათასს აღწევს. ეს მიგვითითებს მიგრაციული ნაკადების მეტად დიდი მასშტაბის მონაცვლეობაზე. ხუთი წლის მანძილზე საქართველოს 14 საშუალო ქალაქში 100,0 ათასამდე კაცის მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა დიდი სოციალური მნიშვნელობის დემოგრაფიული ფაქტია.

აღნიშნულ მოვლენაზე მიგვითითებს აგრეთვე მიგრაციის მოცულობის შეფარდება მიგრაციის სალდოსთან. გორში მიგრაციის მოცულობა 13-ჯერ აღემატება მიგრაციის სალდოს, ცხინვალში — 12-ჯერ, ზუგდიდში — 8-ჯერ, ტყვარჩელში, მახარაძეში — 7-ჯერ. ზესტაფონში — 6-ჯერ, ფოთში, თელავში, ჭიათურაში, გაგრაში — 5-ჯერ და ა. შ. ყურადღებას იქცევს ისეთი მაჩვენებელიც, როგორიცაა მიგრაციის ინტენსივობა (მიგრაციის მოცულობის შეფარდება მოსახლეობის რიცხოვნობასთან). ხუთწლიანი პერიოდისათვის მიგრაციის ინტენსივობის საშუალო წლიური მაჩვენებელია ტყვარჩელისათვის 13,8%, ფო-

თისათვის 7,9%, ცხინვალისათვის 6,0%, ზესტაფონისათვის 5,0%, გორისათვის — 4,1% ხაშურისათვის 4,0%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საშუალო ქალაქებში მიგრაციული პროცესების არაეფექტიანობა განსაკუთრებულ ეკონომიკურ, სოციალურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ დანაკარგს აძლევს საზოგადოებას, ეს კი მოითხოვს შემდგომ გაღრმავებულ კვლევა-ძიებას.

4. დემოგრაფიული სიტუაციის სხვა ასპექტები*

(სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე, შრომის ხასიათი, სოციალური სტრუქტურა, ეროვნული შემადგენლობა)

ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის ხასიათი უშუალო ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ რეგიონის სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ამავე დროს, თავის მხრივ, სქესობრივ, სოციალურ სტრუქტურას, შრომის ხასიათს, განათლების დონეს, ოჯახურ მდგომარეობას სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებიც განსაზღვრავენ. მაგალითად, არიან ქალაქები, სადაც ჭარბობენ მამაკაცები, ან ქალები, რაც დამოკიდებულია ქალაქის სამრეწველო დარგობრივ ფუნქციაზე; ან საგანმანათლებლო კერების არსებობა ხელს უწყობს განათლების დონის ამაღლებას; ან წარმოების ავტომატიზებული და მექანიზებული დარგების არსებობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების მდგომარეობა, ქალაქის სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა განაპირობებს შრომის ხასიათის ამა თუ იმ მდგომარეობას. ეროვნული შემადგენლობა უპირატესად ისტორიული კატეგორიაა.

ასაკობრივი სტრუქტურა. უკანასკნელ აღწერათშორისო პერიოდში საქართველოს საშუალო ქალაქების ასაკობრივ სტრუქტურაში შეინიშნება არასასურველი ტენდენცია: თანდათანობითი გადასვლა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებისაკენ და 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდობის ხვედრითი წონის შემცირება. საშუალო ქალაქები დემოგრაფიული დაბერების მიხედვით შეიძლება დავაჯგუფოთ ედვარდ როსეტის შკალით[8].

I. დემოგრაფიული ახალგაზრდობა — w_{60} 8%-ზე ნაკლებია

1970 წ.	1979 წ.
ტყიბული	ჭიათურა
ჭიათურა	ტყიბული
ტყვარჩელი	გორი
გორი	

[8] Россет Э., Процесс старения населения, М., 1968, с. 69.

* დემოგრაფიული სიტუაციის დახასიათებისათვის გამოყენებულია 1970 და 1979 წლების მოსახლეობის საკავშირო აღწერის მასალები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II. დემოგრაფიული დაბერების ზღვართან მყოფი W_{60}-8 — 10%

1970 წ.	1979 წ.
ცხინვალი	ცხინვალი
ზუგდიდი	

III. საკუთრივ დემოგრაფიული დაბერება W_{60} = 10—12%

1970 წ.	1979 წ.
ფოთი	ტყვარჩელი
ცხაკაია	ზუგდიდი
ხაშური	ფოთი
სამტრედია	ხაშური
ზესტაფონი	ცხაკაია
თელავი	თელავი
გაგრა	მახარაძე
მახარაძე	

IV. დემოგრაფიული სიბერე
W_{60} = 12% და მეტი

1970 წ.	1979 წ.
—	გაგრა

მაშასადამე, 1970 — 1979 წლების პერიოდში დემოგრაფიულად ახალგაზრდა საშუალო ქალაქებიდან ქ. ტყვარჩელი გადავიდა საკუთრივ დემოგრაფიული დაბერების სტადიაში, ხოლო ქ. გაგრა საკუთრივ დემოგრაფიული დაბერებიდან — დემოგრაფიული სიბერის სტადიაში; ქ. ზუგდიდი კი 1970 წელს დემოგრაფიული დაბერების ზღვართან იდგა და 1979 წლისათვის საკუთრივ დემოგრაფიული დაბერების ჯგუფში გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ საშუალო სიდიდის ქალაქების ნახევარზე მეტი ორივე აღწერის დროისათვის საკუთრივ დემოგრაფიული დაბერების სტადიაში იმყოფებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საშუალო ქალაქში ხანშიშესულთა თაობამ მოიმატა (ცხრ. 10).

წარმოდგენილი ცხრილი თვალნათლივ გვიჩვენებს საქართველოს საშუალო ქალაქებში მიმდინარე (მართალია, სხვადასხვა დონით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 10

საქართველოს საშუალო ქალაქების ახალგაზრდა (20 წლამდე) და ხანშიშესულთა (60 წელს გადაცილებულთა) ხვედრითი წონა დინამიკაში 1970 და 1979 წლები (%-ით)

ქალაქი	ახალგაზრდა თაობა		ხანშიშესულთა თაობა	
	1970 წ.	1979 წ.	1970 წ.	1979 წ.
გორი	38,3	37,1	7,4	7,9
ფოთი	34,5	32,4	10,0	11,6
ზუგდიდი	37,2	33,4	9,5	11,2
ცხინვალი	39,8	36,7	8,2	9,9
სამტრედია	33,3	33,3	10,9	12,5
ხაშური	36,8	35,9	10,9	11,5
ცხაკაია	37,3	34,0	10,6	11,3
ჭიათურა	37,4	36,6	5,9	7,5
თელავი	34,5	35,3	11,5	11,8
გაგრა	27,6	28,3	11,1	14,8
მახარაძე	35,1	32,1	11,3	12,9
ტყიბული	38,7	32,9	5,3	7,7
ტყვარჩელი	40,0	33,4	6,6	10,0
ზესტაფონი	35,1	32,0	10,6	12,9

ინტენსივობით) ერთიან დემოგრაფიულ პროცესს, რომელიც გამოიხატება ახალგაზრდობის ხვედრითი წონის შემცირებით და ხანშიშესულთა ხვედრითი წონის მატებით. ამ პროცესს განსაზღვრავს, ერთი მხრივ, შობადობის დონის დაქვეითების ზოგადი პროცესი და, მეორე მხრივ, მიგრაციული პროცესის ადგილობრივი თავისებურებები, აგრეთვე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა, რაც მედიცინის მიღწევებისა და სოციალური პროგრესის უშუალო შედეგს წარმოადგენს.

ოჯახური მდგომარეობა. ოჯახური მდგომარეობა მოსახლეობის კვლავწარმოების ერთგვარ სარკეს წარმოადგენს. საქართველოს საშუალო ქალაქებში მამაკაცების დაახლოებით ორი მესამედი, ხოლო ქალების დაახლოებით ნახევარზე მეტი დაოჯახებულია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქორწინებაში მყოფი ქალების საგრძნობლად დაბალი ხვედრითი წონა მამაკაცებთან შედარებით; ამასთან ერთად, მამაკაცებში რამდენადმე მეტია იმათი წილი, ვინც არასოდეს არ ყოფილა ქორწინებაში. მეტად მკვეთრად არის გამოხატული ქალებში ქვრივებისა და განქორწინებულების მაღალი ხვედრითი წონა მამაკა-

ცებთან შედარებით (ქვრივის დაახლოებით 6—8-ჯერ, განქორწინებულებისა — 2—5-ჯერ) (ცხრ. 11):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 11

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობა (16 წლის ზევით) ოჯახური მდგომარეობის მიხედვით 1979 წ. (%-ით)

ქალაქი	მამაკაცი					ქალი				
	სულ	ქორწინებაში მყოფი	არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	ქვრივი	განქორწინებული	სულ	ქორწინებაში მყოფი	არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	ქვრივი	განქორწინებული
გორი	100,0	71,8	25,2	1,8	1,2	100,0	58,8	22,8	12,8	5,6
ფოთი	100,0	68,4	27,0	2,1	2,5	100,0	58,7	15,7	19,0	6,6
ზუგდიდი	100,0	67,9	27,5	2,6	2,0	100,0	59,0	20,2	16,0	4,8
ცხინვალი	100,0	71,1	24,6	1,8	2,5	100,0	60,4	20,3	13,5	5,8
სამტრედია	100,0	72,1	23,7	2,4	1,8	100,0	62,0	15,6	17,7	4,7
ხაშური	100,0	74,5	22,1	2,3	1,1	100,0	65,0	15,7	15,9	3,4
ცხაკაია	100,0	71,6	24,7	2,2	1,5	100,0	57,8	19,8	17,4	5,0
ჭიათურა	100,0	71,0	26,3	1,8	0,9	100,0	63,3	21,3	11,9	3,5
თელავი	100,0	70,3	25,4	2,3	2,0	100,0	57,3	22,5	14,6	5,6
გაგრა	100,0	74,4	18,2	2,7	4,7	100,0	54,4	13,5	21,7	10,4
მახარაძე	100,0	72,3	23,9	2,6	1,2	100,0	57,5	17,3	18,9	6,3
ტყიბული	100,0	71,6	25,7	1,7	1,0	100,0	63,2	18,1	13,3	5,4
ტყვარჩელი	100,0	75,1	20,4	2,0	2,5	100,0	58,2	15,1	18,6	8,1
ზესტაფონი	100,0	74,3	21,3	2,1	2,3	100,0	66,0	18,4	11,5	4,1

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით საქართველოს საშუალო ქალაქები, ცხადია, ზოგად კანონზომიერებასაც ექვემდებარება: ქალებისა და მამაკაცების მიმართ განსხვავებანი საერთოდ ცნობილია. ხანშიშესულთა შორის მამაკაცების გარდაცვალება უფრო ხშირია, რაც ქვრივი ქალების ხვედრით წონას ზრდის. ამასთან, განქორწინებულ ქალებს უფრო მეტად უჭირთ მეორედ გათხოვება, ვიდრე მამაკაცებს მეორედ დაქორწინება.

ს ქ ე ს ო ბ რ ი ვ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა. ქალების სიჭარბე მამაკაცებთან შედარებით ყველა საშუალო ქალაქისათვის არის დამახასიათებელი. განსაკუთრებით ეს ითქმის ცხაკაიას, გორის, თელავის, მახარაძის მიმართ. ცხადია, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ქალაქებში სახალხო მეურნეობის ისეთი დარგების განვითარება, რომელიც უპი-

რატესად ქალის შრომას მოითხოვს, რის გამოც მიგრაციებში ქალების სიჭარბე ხვედრითი წონის მატებაზე გავლენას ახდენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული შემადგენლობა. ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის, დასახლებული პუნქტის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა განპირობებულია შორეული თუ ახლო ისტორიული წარსულით. ამრიგად, საქართველოს საშუალო ქალაქების ეროვნული სტრუქტურის ფორმირების პროცესი ისტორიული თვალით უნდა განვჭვრიტოთ. ეს სპეციალური კვლევისა და მსჯელობის საგანია.

1970 და 1979 წლების აღწერათა შედარებითი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს საშუალო ქალაქებში, გარდა ცხინვალისა და ტყვარჩელისა, ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა მატულობს და შესაბამისად არამკვიდრი მოსახლეობის წილი მცირდება. ეს მოვლენა უშუალოდ უკავშირდება მიგრაციულ ძვრებს; სწორედ ამიტომ მიგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად საბჭოთა სოციალურ-დემოგრაფიულ მეცნიერებაში ეროვნული წარმომავლობაა მიჩნეული.

უნდა ითქვას, რომ ეთნიკური ფაქტორის როლი მიგრაციაში უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება.

ეთნიკური სტრუქტურისა და უკანასკნელ ათწლეულში მისი ცვლილებების საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შესაბამის ცხრილს (ცხრ. 12). რუსი, სომეხი, ოსი, ბერძენი და აზერბაიჯანელი ეროვნების წარმომადგენლები გვხვდება ყველა ქალაქში. აფხაზები მხოლოდ ტყვარჩელსა და გაგრაში და ერთეულები ზოგიერთ ქალაქში. თუმცა ცხრილში ცალკე არ არის გამოყოფილი, მაგრამ არის მონაცემები, რომლის მიხედვით უკრაინელები ყველა საშუალო სიდიდის ქალაქში ცხოვრობენ, აგრეთვე ებრაელები; ქურთები კი მხოლოდ თელავში.

განათლების დონე. ქალაქების სოციალური განვითარების დონის ერთ-ერთი არსებითი მაჩვენებელია მოსახლეობის განათლების სტრუქტურა, მისი პროგრესული ხასიათის ცვლილებები. „განათლების სისტემის სოციალური მიზანია შეიქმნას პირობები ქვეყნის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის, შრომითი და მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების უზრუნველსაყოფად ახალგაზრდობის სოციალური აქტივობის ფორმირებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის სრულყოფისათვის“[9]. ამავე დროს, განათლება, როგორც

---

[9] Шуруев А. С., Роль высшего и среднего специального образования в подготовке новых пополнений интеллигенции; в сб. «Социальные проблемы формирования пополнений интеллигенции», М., 1980, с. 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საშუალო ქალაქების ეროვნული შემადგენლობა
1970 და 1979 წლები (%-ით)

ქალაქი	სულ	ქართველი		აფხაზი		ოსი		სომეხი		რუსი		აზერბაიჯანელი		ბერძენი		სხვა	
		1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
გორი	100,0	69,4	72,6	—	—	12,0	13,0	5,4	4,8	7,5	6,1	0,2	0,2	0,2	0,2	5,3	3,1
ფოთი	100,0	65,1	69,1	—	—	0,2	0,3	1,0	0,8	25,3	23,7	0,1	0,2	0,3	0,2	8,0	6,3
ზუგდიდი	100,0	87,5	91,7	—	—	0,1	0,1	0,4	0,3	9,2	6,3	0,3	0,2	0,1	0,1	2,4	1,3
ცხინვალი	100,0	18,1	16,1	—	—	68,8	72,8	2,5	2,0	3,9	5,0	0,1	0,1	0,1	0,1	6,5	3,9
სამტრედია	100,0	85,4	90,2	—	—	0,2	0,2	3,2	2,8	9,0	5,3	0,2	0,1	0,1	—	1,9	1,4
ხაშური	100,0	86,0	88,9	—	—	3,4	4,5	4,1	3,2	4,2	2,2	0,3	0,1	0,4	0,3	1,6	0,8
ცხაკაია	100,0	83,7	87,1	—	—	0,1	0,2	1,3	0,9	8,8	7,7	0,2	0,2	0,1	0,1	5,8	3,8
ჭიათურა	100,0	93,3	95,3	—	—	0,2	0,1	1,0	1,0	3,6	2,3	0,1	0,1	0,3	0,3	1,5	0,9
თელავი	100,0	76,8	79,8	—	—	0,5	0,6	9,3	8,0	7,9	6,7	0,5	0,5	0,1	0,1	4,9	4,3
გაგრა	100,0	22,0	26,0	5,8	9,0	0,4	0,4	17,3	20,5	42,1	35,0	0,2	0,2	1,4	1,7	10,8	7,2
მახარაძე	100,0	77,4	82,9	—	—	0,2	0,2	8,4	7,0	10,3	7,7	0,1	0,1	0,2	0,2	3,4	1,9
ტყიბული	100,0	86,7	90,3	—	—	0,6	0,5	0,9	0,6	8,6	6,6	0,2	0,2	0,3	0,2	2,7	1,6
ტყვარჩელი	100,0	26,1	24,0	30,5	36,9	0,8	0,8	2,2	1,4	32,1	28,6	0,2	0,2	0,9	0,7	7,2	7,4
ზესტაფონი	100,0	89,0	92,5	—	—	0,3	0,3	1,1	0,9	5,4	4,5	0,1	0,1	0,1	0,1	4,0	1,6

ზოგადი, ისე პროფესიული, პიროვნების განვითარების საფუძველიც არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ აღწერათაშორისო პერიოდში (1970—1979 წწ.) საგრძნობლად გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წონა, განსაკუთრებით კი იმ ქალაქებში, სადაც უმაღლესი სასწავლებლები არსებობს (გორი, თელავი, ცხინვალი): 1979 წლისათვის უმაღლესი განათლების მქონეთა წილი ცხინვალში უდრის 14,6%, გორში — 11,4%, თელავში — 14,1%, მახარაძეში 10,7%, ზესტაფონში — 10,7%, ჭიათურაში — 10,0%. შესაბამისი მაჩვენებელი ყველაზე ნაკლებია ტყვარჩელში (4,3%) და ტყიბულში (6,7%). მაგრამ 1970 წელთან შედარებით ყველა საშუალო ქალაქში უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წონა გაიზარდა. ზრდის ტემპი კი ასეთია (ცხრ. 13):

ცხრილი 13

საქართველოს სსრ საშუალო ქალაქებში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონეთა ზრდის ტემპი (1970—1979 წწ.) (%-ით)

ქალაქი	1979 წელს 1970 წელთან შედარებით	
	უმაღლესი განათლება	საშუალო სპეციალური განათლება
1	2	3
გორი	146	151
ფოთი	148	175
ზუგდიდი	134	158
ცხინვალი	152	140
სამტრედია	101	137
ხაშური	126	147
ცხაკაია	136	168
ჭიათურა	154	132
თელავი	138	121
გაგრა	118	129
მახარაძე	135	141
ტყიბული	156	152
ტყვარჩელი	187	156
ზესტაფონი	135	175

როგორც ვნახეთ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქალაქში უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წონა სხვასთან შედარებით მცირეა, სამაგიეროდ ზრდის ტემპით ყველა დანარჩენს ასწრებს (ტყვარჩელი — 187%, ტყიბული — 156%).

ცხრილი 14
ერეკლეული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის განათლების დონის ცვლილებები 1970—1979 წწ. პერიოდში (%-ით).

ქალაქი	სულ	უმაღლესი		დაუმთავრებელი უმაღლესი		საშუალო სპეციალური		საშუალო		არასრული საშუალო		დაწყებითი		არა აქვს დაწყებითი	
		1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
გორი	100,0	7,8	11,7	2,3	2,3	6,1	9,2	20,8	27,0	13,9	14,1	16,8	15,4	32,3	20,3
ფოთი	100,0	4,7	7,0	1,4	1,2	6,5	7,4	23,2	31,2	17,7	15,5	18,3	13,8	28,2	23,9
ზუგდიდი	100,0	7,0	9,4	1,3	1,2	8,2	13,0	25,4	34,1	13,6	10,1	16,1	13,2	28,4	19,0
ცხინვალი	100,0	9,6	14,6	2,5	3,4	5,8	8,1	2 ,2	23,9	13,8	13,3	16,6	13,5	31,5	23,2
სამტრედია	100,0	7,9	8,0	1,1	1,1	9,0	12,3	28,9	34,1	11,7	11,0	17,9	14,1	23,5	19,4
ხაშური	100,0	5,3	6,7	1,0	0,8	7,8	11,5	24,0	30,7	15,2	13,7	16,6	13,9	30,1	22,7
ცხაკაია	100,0	6,1	8,3	1,2	1,2	8,7	14,6	26,5	33,8	12,7	9,9	17,3	11,7	27,5	20,5
ჭიათურა	100,0	6,5	10,0	1,4	1,3	8,5	11,2	24,5	32,7	15,2	12,6	15,9	13,9	28,0	18,3
თელავი	100,0	10,2	14,1	3,4	1,7	7,7	9,3	22,6	30,2	12,1	11,3	15,7	12,6	28,3	20,8
გაგრა	100,0	7,8	9,2	1,2	1,3	8,5	11,0	16,5	19,5	19,6	19,5	20,0	17,5	26,4	22,0
მახარაძე	100,0	7,9	10,7	1,1	0,9	7,5	10,6	23,7	32,7	12,4	11,3	19,5	14,5	27,9	19,3
ტყიბული	100,0	4,3	6,7	0,9	1,0	9,0	13,7	22,0	31,1	17,0	14,2	18,0	15,3	28,1	18,0
ტყვარჩელი	100,0	2,3	4,3	0,7	0,8	5,0	7,8	13,8	18,8	19,9	22,6	21,7	21,1	36,6	24,6
ზესტაფონი	100,0	8,1	10,9	1,2	0,9	7,6	13,2	28,1	34,4	12,7	9,3	14,9	14,1	27,4	17,2

ასეთივე ჩქარი ტემპით იზრდება საშუალო სპეციალური განათლების მქონეთა ხვედრითი წონა. ზემოაღნიშნული მოვლენა სავსებით კანონზომიერია საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობის პირობებში.

ცხადია, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონეთა ხვედრითი წონის ზრდა შესაბამისად იწვევს განათლების დაბალ საფეხურზე მდგომი მოსახლეობის ხვედრითი წონის შემცირებას (ცხრ. 14).

წარმოდგენილი ცხრილის დეტალური ანალიზი გვარწმუნებს თუ როგორ მაღლდება მოსახლეობის განათლების დონე. ამავე დროს, თვითონ ეს მოვლენა დიდ სოციალურ და ეკონომიკურ რეზერვს წარმოადგენს, რომელიც, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, სათანადოდ არ არის გამოყენებული.

სოციალური პროგრესის დამადასტურებელია საკუთრივ მუშა-მოსამსახურეთა განათლების მაღალი დონე (ცხრ. 15).

ცხრილი 15

საქართველოს რესპუბლიკური და ავტონომიური დაქვემდებარების საშუალო ქალაქების მუშა-მოსამსახურეთა, განათლების დონე. (1979 წ.). (%-ით)

ქალაქი	სულ	უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური	
		მუშა	მოსამსახურე
გორი	100,0	8,8	51,2
ფოთი	100,0	7,1	46,4
ზუგდიდი	100,0	9,9	50,4
ტყიბული	100,0	7,7	55,2
ჭიათურა	100,0	8,0	49,1
ცხინვალი	100,0	8,4	52,8
გაგრა	100,0	7,2	46,1
ტყვარჩელი	105,0	3,3	43,4

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა შორის პროფესიული ცოდნის მაღალი კვალიფიკაცია სოციალური და ეკონომიკური შემდგომი პროგრესის უდიდესი სტიმულატორი და საყრდენია.

ამასვე ადასტურებს განათლების დონის მაჩვენებლები შრომის ხასიათის მიხედვით ზემოაღნიშნული რანგის ქალაქებში (ცხრ. 16).

გონებრივ და ფიზიკურ შრომაში დასაქმებულთა შორის სხვაობა განათლების დონის მიხედვით თანდათან მცირდება. სოციალურად

ცხრილი 16

საქართველოს რესპუბლიკური და ავტონომიური დაქვემდებარების საშუალო ქალაქების მოსახლეობის განათლების დონე შრომის ხასიათის მიხედვით (უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშ. სპეციალური განათლება). 1979 წ. (%-ით)

ქალაქი	უპირატესად გონებრივ შრომაში დასაქმებული	უპირატესად ფიზიკურ შრომაში დასაქმებული
გორი	78,4	12,8
ფოთი	68,7	11,3
ზუგდიდი	77,8	15,0
ტყიბული	79,4	11,1
ჭიათურა	74,1	12,7
ცხინვალი	81,2	12,8
გაგრა	66,0	11,4
ტყვარჩელი	63,1	5,1

ერთგვაროვანი საზოგადოების მშენებლობის გზაზე ეს პროცესი დაჩქარდება.

სოციალური შემადგენლობა. განვითარებული სოციალიზმის პირობებში საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალურმა სტრუქტურამ რაოდენობრივი და არსებითი, თვისებრივი ცვლილებები განიცადა. შეიქმნა ადგილობრივი კვალიფიციური მუშათა კადრი, მექანიზებული და ავტომატიზებული შრომის დანერგვა თანდათან სდევნის წარმოებიდან მძიმე ფიზიკურ, ხელით შრომას, შრომის ხასიათის დადებითი ცვლილებები კი თვით პიროვნების განვითარებას უწყობს ხელს. ამავე დროს, იზრდება ადგილობრივი მშრომელი ინტელიგენციის რიგები.

წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვა, საქალაქო მეურნეობის განვითარება ხელს უწყობს შრომითი რესურსების გადანაწილებას მატერიალური წარმოებიდან არამატერიალურ წარმოებაში. დადგენილია, რომ რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო მეტია არამატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წონა. ეს ტენდენცია საშუალო ქალაქებშიც დასტურდება (ცხრ. 17).

გასაგებია, რომ გაგრა, როგორც საკურორტო ქალაქი, განსაკუთრებით გამოირჩევა არამატერიალურ სფეროში (უპირატესად მომსახურების დარგში) დასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონით. საქართველოს ყველა საშუალო ქალაქში მეტად სწრაფად იზრდება დასაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკური და ავტონომიური დაქვემდებარების საშუალო ქალაქების მოსახლეობის განაწილება მატერიალურ და არამატერიალურ წარმოებაში დასაქმების მიხედვით 1979 წ. (%-ით)

ქალაქი	დასაქმებულია მატერიალური წარმოების სფეროში	დასაქმებულია არამატერიალური წარმოების სფეროში
გორი	69,3	30,7
ფოთი	69,7	30,3
ზუგდიდი	70,9	29,1
ტყიბული	70,9	29,1
ჭიათურა	68,0	32,0
ცხინვალი	55,6	44,4
გაგრა	50,1	44,9
ტყვარჩელი	74,3	25,7

მებულთა ხვედრითი წონა. ჭარბი შრომითი რეზერვების დასაქმების უზრუნველყოფა სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პირობაა. დასაქმებულთა ხვედრითი წონის ზრდა განსაკუთრებით შეიმჩნევა გორში, ზუგდიდში, ტყიბულში, ჭიათურაში, ხაშურში, ცხაკაიაში, ტყვარჩელში, გაგრასა და ცხინვალში. ამასთან ერთად, უკანასკნელ აღწერათშორისო პერიოდში მკვეთრად შემცირდა ან პრაქტიკულად აღარც გვხვდება პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულნი. საგრძნობლად შემცირდა ცალკეული პირების კმაყოფაზე მყოფთა ხვედრითი წონა. სამაგიეროდ რამდენადმე გაიზარდა პენსიონერთა რაოდენობა. (აგრეთვე, სტიპენდიანტთა რიცხვი იმ ქალაქებში, სადაც უმაღლესი სასწავლებლები არსებობს — გორი, თელავი, ცხინვალი) (ცხრ. 18).

როგორც ვნახეთ, საქართველოს საშუალო ქალაქებისათვის დამახასიათებელი დემოგრაფიული კლიმატი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც ამ ქალაქების განვითარების შედეგიც არის და საფუძველიც.

ამრიგად, საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია და მისი განვითარების ტენდენციები მიგვითითებს იმ ფასდაუდებელი რეზერვის არსებობაზე, რაც სწრაფად და სწორი მეცნიერული ორგანიზაციული მიდგომით გამოყენებული უნდა იქნეს აღნიშნული რანგის ქალაქების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული აქტივიზაციის ეფექტიანად წარმართვის საქმეში.

ცხრილი 18
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის განაწილება არსებობის წყაროების მიხედვით 1970—1979 წწ. (%-ით)

ქალაქი	სულ	მათ შორის დასაქმებული მოსახლეობა		სხვა წყარო: აქედან									
				დასაქმებულია პირადადამხმარე მეურნეობაში		პენსიონერი		სტიპენდიანტი		ცალკეული პირების კმაყოფაზე		არსებობის სხვა საშუალება და არ აჩვენა	
		1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979	1970	1979
ბორი	100,0	48,6	54,0	0,2	—	6,1	7,8	0,8	3,0	43,3	35,1	1,0	0,1
ფოთი	100,0	51,2	54,4	1,2	0,1	9,4	11,4	1,1	1,2	37,1	32,8	—	0,1
ზუგდიდი	100,0	46,9	53,5	2,1	0,1	7,2	9,9	0,4	1,2	43,4	35,1	—	0,2
ცხინვალი	100,0	43,6	49,3	0,3	0,1	8,5	10,3	1,0	3,5	46,6	36,6	—	0,2
სამტრედია	100,0	52,6	52,9	0,7	0,2	9,9	11,9	1,4	1,0	35,2	33,8	0,2	0,2
ხაშური	100,0	41,6	50,2	0,3	—	11,0	11,0	0,6	1,4	46,3	37,2	0,2	0,2
ცხაკაია	100,0	45,1	50,7	0,9	0,1	8,9	10,3	0,5	1,4	44,3	37,2	0,3	0,3
ჭიათურა	100,0	52,1	56,5	0,1	—	7,6	8,9	0,4	0,3	38,6	33,9	1,2	0,4
თელავი	100,0	47,2	51,1	0,9	—	9,7	12,3	0,2	4,1	40,7	32,2	1,3	0,3
გაგრა	100,0	54,4	52,8	0,6	0,3	11,6	15,8	0,3	0,3	32,0	30,6	1,1	0,2
მახარაძე	100,0	48,6	56,2	0,8	0,1	11,2	12,8	0,2	1,6	39,2	29,6	—	—
ტყიბული	100,0	47,7	54,6	0,1	—	7,0	9,5	0,4	2,6	44,7	33,2	0,1	0,1
ტყვარჩელი	100,0	44,5	50,5	0,1	—	8,8	13,4	0,2	0,6	46,0	35,4	0,4	0,1
ზესტაფონი	100,0	48,1	51,6	1,4	0,1	9,3	13,0	0,9	0,7	40,3	34,3	—	0,3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლა

1. კვლევის მეთოდები და ხერხები

მიგრაციის ოფიციალური სტატისტიკა, ჯერ ერთი, სერიოზული ხარვეზიანობით ხასიათდება, მეორე, არ იძლევა შესაძლებლობას ვიცოდეთ ცალკე რეგიონების მიხედვით მიგრაციული ნაკადების მიმართულებები, მიგრანტთა სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა, მიგრაციის გამომწვევი ფაქტორები და მიზეზები, მოტივაცია; ამრიგად, ჩვენთვის სრულიად უცნობია მიგრაციული პროცესების ფორმირების თანმიმდევრული პროცესები რეგიონების მიხედვით. ოფიციალურ სტატისტიკურ წყაროებზე დაფუძნებული ცოდნა მიგრაციის შესახებ არსებითად არასრულია და, ცხადია, ასეთ ვითარებაში მიგრაციული კონცეფციის, მიგრაციული პოლიტიკის შემუშავების საკითხი უნდა მოიხსნას. კონკრეტული სოციოლოგია სწორედ ის მეცნიერული დარგია, რომელიც კომპლექსური მიდგომის გამოყენებით, მის მიერ მოპოვებული სოციალური სტატისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის მონაცემების სპეციალური ხერხებით დამუშავების საფუძველზე ადგენს ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროცესის, კანონზომიერებებს, ფაქტიურ მდგომარეობას და მოსალოდნელ სიტუაციას. ეს კი სოციოლოგიურ კვლევით მასალას მიგრაციული პოლიტიკის საფუძვლების დამუშავების დროს პირველწყაროსა და საიმედო დასაყრდენის მნიშვნელობას ანიჭებს[1].

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაციული პროცესების კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევა ფართოდ მოფიქ-

---

1 იხ. უფრო დეტალურად ა. კ ა ც ა ძ ე, სოციალურ-დემოგრაფიული პროცესები და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და კვლევის საკითხები. კრებ. „საზოგადოებრივი აზრი და სოციალური განვითარების პროცესების კონკრეტული შესწავლა“, რედ. მ. გეგეშიძე, თბ., 1978, გვ. 31—64.

რებული გეგმით წარიმართა, რომლის რეალიზაცია მოხდა 1979, 1980 და 1981 წლებში.

კვლევის ობიექტად საქართველოს ქალაქების ის ჯგუფი შეირჩა, რომლის მოსახლეობა 20-დან 60 ათასამდე აღწევდა და საშუალო სიდიდის ქალაქების კატეგორიაში ხვდებოდა. საქალაქო განსახლების სისტემაში საშუალო ქალაქი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული თავისებურებებით გამოირჩევა, რომელთაც სკკ პარტიის XXV და XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, ნეგატიური მიგრაციული პროცესების რეგულატორის როლი დაეკისრათ. ამრიგად, კვლევას თეორიულ-მეცნიერულთან ერთად გამოყენებითი-პრაქტიკული მნიშვნელობაც მიეცა.

შერჩევის მეორე საფეხურზე საქართველოს 14 საშუალო ქალაქიდან გამოიყო 4 ქალაქი: სატრანსპორტო-სამრეწველო ფუნქციის მქონე ქალაქები — სამტრედია და ხაშური, მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობით და ისტორიული ტრადიციებით მდიდარი, ტიპური საშუალო ქალაქი გორი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრი, ქალაქი ცხინვალი.

ამრიგად, გაღრმავებული კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის წრეში მოხვდა: სამტრედია, ხაშური, გორი, ცხინვალი*, აგრეთვე, მათ ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მოქცეული სასოფლო რეგიონები და ერთი მცირე ქალაქი კასპი მისი სასოფლო რეგიონით, რომელიც მდებარეობს მსხვილ და ტიპურ საშუალო ქალაქს შორის (ეს კი მიზნად ისახავდა დაგვედგინა რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისისა და საშუალო ქალაქის გორის მიგრაციული მიზიდულობის ძალა და თავისებურება).

კვლევის საგნად იქცა აღნიშნული ტიპის ქალაქების მოსახლეობის მიგრაციული პროცესები, მისი კანონზომიერება და განვითარების ტენდენციები.

კვლევის ერთეულად გამოყოფილ იქნა შრომისუნარიან ასაკში მყოფი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (მიგრანტი და მკვიდრი).

სამუშაო ჰიპოთეზა ითვალისწინებდა კონკრეტულად დაგვედგინა: აქვს თუ არა (და სახელდობრ როგორი) საშუალო ქალაქისა და მის მაორგანიზებელ არეალში მოქცეულ სასოფლო დასახლებების მოსახლეობას, აგრეთვე დიდსა და საშუალო ქალაქს შორის მოქცეულ მცირე ქალაქისა და მისი სასოფლო რეგიონის მოსახლეობას მიგრაციული ქცევის მასშტაბის, მიმართულების, მიგრანტთა სტრუქტურის, მოტი-

---

* ქ. ცხინვალში გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს მონაწილეობით (თანამონაწილე ჯ. კაპანაძე).

ვაციის და მიგრაციული ქცევის ფორმირების მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერჩევის შემდგომი ეტაპი ითვალისწინებდა ქალაქის მაპროფილებელი სახალხო მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო დარგებისა და სასოფლო დასახლებათა მიხედვით შერჩევას.

საქალაქო დასახლებებში შეირჩა:

1. ს ა მ ტ რ ე დ ი ა

საკონსერვო სათაო ქარხანა
აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა
ხის დამმუშავებელი კომბინატი
ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დაწესებულებები

2. ხ ა შ უ რ ი

მინის ქარხანა
პურკომბინატი
ხორცისა და რძის კომბინატი
საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა
მექანიკური ქარხანა
ჯანმრთელობის დაცვის და კულტურის სფეროს
დაწესებულებები

3. გ ო რ ი

ბამბეულის კომბინატი
საკონსერვო ქარხანა
ქარხანა „ანალიზხელსაწყო"
მომსახურების და განათლების სფერო

4. ც ხ ი ნ ვ ა ლ ი

ელექტრომრეწველობა, საფეიქრო მრეწველობა

5. კ ა ს პ ი

ცემენტის ქარხანა,
ქარხანა „ელექტროაპარატი"
კულტურისა და განათლების სფეროს დაწესებულებები

გარდა ამისა, საკვლევი ქალაქების ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო რეგიონებიდან შეირჩა:

1. ს ა მ ტ რ ე დ ი ა

სასოფლო საბჭოები: დიდი ჯიხაიში, იანეთი, მელაური, ოფეთი. გამოჩინებული, საჯავახო.

3. ხ ა შ უ რ ი

სასოფლო საბჭოები: გომი, ალი, ხცისი, წაღვლი, ავლევი, ცხრამუხა, ცოცხნარა, ოსიაური, ქვიშხეთი.

3. გ ო რ ი

სასოფლო საბჭო: ვარიანი, შინდისი, ახალუბანი, ატენი, ფიროსმანი, დულეთი, დიცი, ნიქოზი, შავშვები, ძევერა, ბერბუკი, კარალეთი, ტირძნისი, ტინისხიდი, ბოშური, მეჯვრისხევი, მერეთი, სკრა, ქვახვრელი

4. ც ხ ი ნ ვ ა ლ ი

ჯავის რაიონის ყველა სასოფლო საბჭო

ზნაურის რაიონის ყველა სასოფლო საბჭო

ლენინგორის რაიონის ყველა სასოფლო საბჭო

ცხინვალის სასოფლო რაიონის ყველა სასოფლო საბჭო

სულ სამხრეთ ოსეთის 41 სასოფლო საბჭო

5. კ ა ს პ ი

ყველა სასოფლო საბჭო

ამრიგად, სულ 93 სასოფლო საბჭოში ჩატარდა დოკუმენტური გამოკვლევა სოფლის მოსახლეობის ფაქტიური და ქანქარისებური მიგრაციისა. სპეციალური კითხვარების (სამი სახის) გამოყენებით შესწავლილ ქნა საზოგადოებრივი აზრი.

1. ქ. ს ა მ ტ რ ე დ ი ა შ ი

„მოსალოდნელი მიგრაცია“ — 362

„ქანქარისებური მიგრაცია“ — 134

„მიგრანტი ქალაქში“ — 169

2. ქ. ხ ა შ უ რ შ ი

„მოსალოდნელი მიგრაცია“ — 388

„ქანქარისებური მიგრაცია“ — 297

„მიგრანტი ქალაქში“ — 118

3. ქ. გ ო რ შ ი

„მოსალოდნელი მიგრაცია“ — 365

„მიგრანტი ქალაქში“ — 172

4. ქ. ც ხ ი ნ ვ ა ლ შ ი

„თქვენი აზრი მიგრაციის შესახებ“ — 218

5. ქ. კ ა ს პ შ ი

„მოსალოდნელი მიგრაცია“ — 162

6. კ ა ს პ ი ს რაიონის სოფლებში (ყარაღაჯის, ახალქალაქის, ლამისყანის, ქვემოჭალის სას. საბჭოები)

„მოსალოდნელი მიგრაცია“ — 163

„ქანქარისებური მიგრაცია“ — 363

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ამოღებულ იქნა და დამუშავდა: „მოსალოდნელი მიგრაცია“ — 1658

„ქანქარისებური მიგრაცია“ — 794

„მიგრანტი ქალაქში“ — 459

სულ — 2911

კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ქვეშ მოექცა ჩვენ მიერ მოპოვებული სოციალური ინფორმაცია, რომელიც სოფლის მოსახლეობის 1496 მიგრანტს შეეხება და 2911 რესპონდენტს, სულ— 17 875.

რესპონდენტების შერჩევა მოხდა შემდეგნაირად:

1. მიგრანტთა ადაპტაციისა და ქანქარსებური მიგრაციის კვლევის დროს წარმოება-დაწესებულებების კადრების განყოფილებაში დაცული პირადი ბარათების მიხედვით მოხდა მიგრანტთა 10%-იანი შერჩევა.

2. მოსალოდნელი მიგრაციის კვლევის დროს ეკონომიკურად აქტიურ შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობიდან მოხდა 5%-იანი შერჩევა. შერჩევა მექანიკური ხასიათისა იყო. გენერალური ერთობლიობის არამკვეთრი განსხვავებულობა არ ქმნიდა უფრო დიდი მასივის შერჩევის აუცილებლობას, ამიტომაც გენერალური ერთობლიობიდან საშუალო კვადრატული გადახრის მაჩვენებელი არ იყო მნიშვნელოვანი. ამრიგად, რეპრეზენტატულობის მოთხოვნები მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი.

გამოკვლევა მიმდინარეობდა სრული სიმშვიდის, კეთილგანწყობის ატმოსფეროში. აქვე მადლობა უნდა გადავუხადოთ გორის, სამტრედიის, ხაშურის, კასპის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და მისი რაიონების (ჯავა, ზნაური, ცხინვალის, ლენინგორის) პარტიულ ხელმძღვანელობას გამოკვლევის ჩატარების დროს აქტიური მხარდაჭერისა და დახმარებისათვის. აგრეთვე, ზემოაღნიშნული დაწესებულებების, მათი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დროული და კვალიფიციური თანამშრომლობისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ამრიგად, კვლევაში გამოყენებულ იქნა:

1. მოსახლეობის საკავშირო აღწერის მასალები

2. შრომითი რესურსების საქალაქო და რაიონული ინსპექტურის მასალები.

3. საწარმო-დაწესებულებათა კადრების განყოფილებების მასალები

4. სასოფლო საბჭოებში დაცული მასალები

5. საარქივო მასალა.
6. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სოფლის მოსახლეობის მიგრაციული კავშირები და საშუალო ქალაქი

საქართველოს საშუალო ქალაქებს ინტენსიური მიგრაციული კავშირი, როგორც ირკვევა, იმავე რეგიონის სოფლის მოსახლეობასთან აქვს. მაგრამ საკუთრივ სოფლის მოსახლეობის მიგრაციული ნაკადი მხოლოდ საშუალო ქალაქისაკენ არ მიემართება.

ჩვენ მიერ მოპოვებული სოციალურ-დემოგრაფიული ინფორმაცია საშუალებას იძლევა დავადგინოთ და გავზომოთ სოფლის მოსახლეობის მიგრაციის მიმართულებები, საშუალო ქალაქზე მიგრაციული დაწოლის ხარისხი, მიგრანტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები. ამრიგად, სამეცნიერო ბრუნვაში სრულიად ახალი და უცნობი მასალა შემოვიდა.

სამოცდაათიანი წლების მანძილზე სოფლის მოსახლეობის მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიულ პრობლემას, მიგრაციის მეთოდოლოგიურ და მეთოდიკურ საკითხებს საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევები მიეძღვნა[2].

სპეციალურმა გამოკვლევებმა მრავალ საყურადღებო პრობლემას მოჰფინა შუქი. ზოგადი კანონზომიერებები და ადგილობრივი თავისებურებები, რომლებიც განაპირობებენ და განსაზღვრავენ მიგრაციულ პროცესებს, რამდენადმე გამოიკვეთა, რასაც თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. კვლევის მეთოდოლოგიური და მეთოდიკური მიდგომა უფრო და უფრო იხვეწება.

სოფლის მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებში ორი ფორმაა წამყვანი: მუდმივი და ქანქარისებური („სოფელი—ქალაქი"). სოფლის

---

[2] В. Ш. Джаошвили, Население Грузии, Тб., 1968; Миграция сельского населения: цели, задачи и методы регулирования, Новосибирск, 1969; Миграция сельского населения, под ред. Т. И. Заславской, М., 1970; ა. კაცაძე, მთის მოსახლეობის თანამედროვე მიგრაცია, თბ., 1977. В. И. Староверов, Город или деревня, М., 1972; Л. Л. Рыбаковский, Региональный анализ миграции, М., 1973; В. И. Переведенцев, Методы изучения миграции населения, М., 1975; Социальные проблемы миграции. Под ред. Л. Л. Рыбаковского, М., 1976; Социальные факторы и особенности миграции населения СССР, М., 1978; Методология и методика системного изучения советской деревни. Под ред. Т. И. Заславской, Новосибирск, 1980 и др.

მიგრაციული კავშირები სოციალური და დემოგრაფიული შინაარსის მხრივ მრავალასპექტიანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. მუდმივი მიგრაცია (გამავალი ნაკადი)

სასოფლო დასახლებებიდან გამავალი მიგრაციული ნაკადის სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურის დადგენას მიგრაციის მექანიზმის ახსნაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის მოსახლეობის მუდმივ მიგრაციაში თითქოს ყველა რაიონის მიხედვით უპირატესად მამაკაცები მონაწილეობენ (ცხრ. 19).

ცხრილი 19

სოფლის მოსახლეობის მიგრანტთა განაწილება
სქემის მიხედვით. 1970—1980 წწ. (%-ით)

რაიონი	სქესი		
	მამრობითი	მდედრობითი	სულ
გორი (მთის ზოლი)	61,4	38,6	100,0
გორი (ბარის ზოლი)	46,6	53,4	100,0
სამტრედია	66,1	33,9	100,0
ხაშური	83,2	16,8	100,0
ჯავა	55,1	44,9	100,0
ცხინვალი	68,9	31,1	100,0
ზნაური	67,0	33,0	100,0
ლენინგორი	50,2	49,8	100,0

მიგრაციულ ნაკადში მამაკაცთა უპირატესობა აიხსნება სახალხო მეურნეობაში დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით სამუშაო ძალის მოთხოვნილებებით. სწორედ ამით არის განპირობებული გორის რაიონის სასოფლო ზონის მიგრანტთა შორის ქალების სიჭარბე მამაკაცებთან შედარებით. ეს გამონაკლისი გამოწვეულია გორში ბამბეულის კომბინატის არსებობით. აღნიშნული საწარმო ძირითადად ქალების შრომას მოითხოვს და, ბუნებრივია, სამუშაოდ განსაკუთრებით ქალებს იზიდავს, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციულ ნაკადში ფემინიზაციის პროცესის გაძლიერება თანდათან მკვეთრად იჩენს თავს.

მიგრანტთა ასაკობრივი სტრუქტურა ზოგად კანონზომიერებას ემორჩილება, ამიტომ მიგრაციული ნაკადი ძირითადად ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისაგან შედგება (ცხრ. 20).

მაგრამ მიგრანტთა ასაკობრივ სტრუქტურაში გარკვეული განსხვავებანი რაიონების მიხედვით გამოწვეულია, ჯერ ერთი, თვით სასოფ-

ლო რეგიონში ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარე ნეგატიური დემოგრაფიული პროცესებით (შობადობის დაქვეითება, მიგრაციული პროცესების გაძლიერება), მეორე მხრივ, ურბანიზებულ გარეგნოსთან კავშირის შესაძლებლობებით. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ზოგიერთ მთის რეგიონში ოჯახით მიგრაციის ხშირი შემთხვევაა, რაც მიგრაციულ ნაკადში მოხუცებულთა და ბავშვთა ხვედრით წონას ზრდის.

ცხრილი 20

მიგრანტთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფისა და სქესის მიხედვით 1970—1980 წწ. (%-ით)

ასაკობრივი ჯგუფი (დაბადებულია) და სქესი		რაიონი							
		გორი (მთის ზოლი)	გორი (ბარის ზოლი)	სამტრედია	ხაშური	ჯავა	ცხინვალი	ზნაური	ლენინგორი
1960 წ. შემდეგ	მამრობითი	26,3	4,9	22,2	6,2	30,0	10,1	16,i	25,3
1950—59		31,5	51,4	38,9	20,4	17,0	41,7	33,0	18,0
1940—49		14,2	35,0	25,9	24,5	19,0	26,2	12,3	13,5
1930—39		12,9	7,3	9,9	31,8	25,1	11,5	20,7	19,2
1920—29		9,1	0,7	2,5	14,5	6,1	4,3	10,2	8,2
1910 და ადრე		6,0	0,7	0,6	2,6	2,8	6,2	7,7	15,8
სულ		100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
1960 წ. შემდეგ	მდედრობითი	31,2	10,9	40,0	17,3	25,6	15,3	24,3	30,6
1950—59		19,5	58,2	24,0	17,3	19,2	30,2	27,2	22,4
1940—49		11,0	22,1	24,0	21,8	15,1	17,3	17,2	11,2
1930—39		13,7	6,1	8,0	30,8	17,3	16,2	17,8	16,2
1920—29		11,6	1,2	1,3	10,5	7,2	5,1	6,3	5,3
1910 და ადრე		13,0	1,5	2,7	2,3	15,6	15,9	7,2	14,3
სულ		100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

მიგრანტთა უმრავლესობა დაოჯახებულია (ცხრ. 21).

წარმოდგენილი ცხრილი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ დაოჯახებულ მიგრანტთა წილი ყველაზე დიდია, არც ისე მცირეა გაუთხოვართა და უცოლოთა ხვედრითი წონა.

განათლების სტრუქტურაზე გარკვეულ გავლენას ახდენს გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე (ცხრ. 22).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 21

მიგრანტთა განაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით 1970—1980 წწ. (%-ით)

რაიონი	ოჯახური მდგომარეობა					
	დაოჯახებული	არ არის დაოჯახებული	ქვრივი	განქორწინებული	ცნობა არ არის	სულ
გორი (მთის ზოლი)	47,1	47,9	3,2	1,8	—	100,0
გორი (ბარის ზოლი)	70,2	27,8	0,8	1,2	—	100,0
სამტრედია	25,6	14,0	—	—	60,4	100,0
ხაშური	82,7	16,4	0,9	—	—	100,0
ჯავა	70,7	28,8	0,5	—	—	100,0
ცხინვალი	59,6	33,4	—	—	7,0	100,0
ზნაური	62,3	37,0	0,7	—	—	100,0
ლენინგორი	72,4	27,1	0,5	—	—	100,0

მიგრაციული პროცესების კვლევაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს მიგრანტის სოციალური სტრუქტურის, სოციალური მდგომარეობის ცვლილებაზე დაკვირვებას. კვლევამ დაადასტურა მიგრაციის, როგორც სოციალური განვითარების ფაქტორის, არსებითი

ცხრილი 22

მიგრანტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით 1970—1980 წწ. (%-ით).

განათლების დონე	რაიონები							
	გორი (მთის ზოლი)	გორი (ბარის ზოლი)	სამტრედია	ხაშური	ჯავა	ცხინვალი	ზნაური	ლენინგორი
უმაღლესი (დამთავრებული და დაუმთავრებელი)	1,6	7,9	7,2	7,6	10,8	8,3	6,8	2,3
საშ. სპეციალური	4,2	8,7	10,7	10,0	2,3	2,0	4,7	0,9
პროფტექნიკური	3,2	3,2	—	—	—	—	—	0,1
საშუალო	19,3	62,7	20,1	60,7	41,3	48,5	62,1	31,2
არასრული საშუალო	26,7	12,3	2,6	13,8	16,2	15,1	4,7	16,9
დაწყებითი და არა აქვს დაწყებითი	45,0	5,2	0,3	7,9	29,4	14,2	14,2	48,6
ცნობა არ არის	—	—	59,1	—	—	11,9	7,5	—
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

მნიშვნელობა. მიგრანტთა უმრავლესობამ სასოფლო-სამეურნეო დაბალი კვალიფიკაციის შრომის სფეროდან მიგრაციის შედეგად გადაიცვლა კვალიფიციური და მაღალკვალიფიციური შრომის, აგრეთვე ბუნებრივი შრომის სფეროში (ცხრ. 23).

ცხრილი 23

მიგრანტთა განაწილება ახალ საცხოვრებელ გარემოში მიგრანტთა შრომის ხასიათის მიხედვით 1970 — 1980 წწ. (%-ით)

შრომის ხასიათი	ფაიონი							
	გორი (მთის ზონა)	გორი (ბარის ზონა)	სამტრედია	ხაშური	ჯავა	ცხინვალი	ზნაური	ლენინგორი
სასოფლო-სამეურნეო (ფიზიკური შრომა)	29,4	4,5	0,7	3,8	28,0	57,3	2,9	56,0
ინდუსტრიული შრომა (კვალიფიციური ფიზიკური შრომა)	29,6	68,2	53,2	48,9	20,0	13,3	54,7	19,2
გონებრივი შრომა	7,4	14,2	8,1	9,7	9,3	4,7	30,1	19,7
პენსიონერი	7,1	0,3	3,1	2,5	0,5	3,4	5,7	3,0
მოსწავლე	19,6	3,1	2,2	3,0	4,1	11,2	6,6	2,1
ცნობა არ არის	6,9	9,7	32,7	32,1	38,1	10,1	—	—
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი სასოფლო რეგიონიდან გამოსულ მიგრანტთა სასოფლო-სამეურნეო შრომაში დასაქმების მაღალი ხვედრითი წონა. ეს შეეხება გორის (მთის ზოლი), ჯავის, ცხინვალისა და ლენინგორის რაიონის სოფლის მოსახლეობას. სწორედ ამ რაიონებიდან უპირატესად გორის რაიონის ბარის ზონაში, აგრეთვე ჩრდილო ოსეთის სასოფლო რაიონებში სახლდებიან და, ბუნებრივია, მათი მომავალი ცხოვრება ისევ სასოფლო-სამეურნეო ფიზიკურ შრომას დაუკავშირდა. გორის რაიონის ბარის ზოლის, სამტრედიისა და ხაშურის რაიონების სოფლის მოსახლეობის კი, პირიქით, ძლიერი მიგრაციული კავშირები სწორედ არასასოფლო-სამეურნეო შრომასთან არის დაკავშირებული. ცხადია, მიგრაციის სოციალური შედეგები ასეთ შემთხვევაში დადებითია, ხოლო თვით მთის ზოლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით უარყოფითი, რადგან მიგრაცია ამ შემთხვევაში უკავშირდება მთის გაუკაცრიელების ნეგატიურ პროცესს, მთა კი მეცხოველეობის განვითარების ფასდაუდებელი რეზერვია, აგრეთვე, ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის შემდგომი გაფართოების ბაზისს წარმოადგენს, სოფლის მოსახლეობის გამავალი მიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციული ნაკადის მიმართულების დადგენა სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი აუცილებელი ასპექტია.

საშუალო ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაქვემდებარებაში მყოფი თითოეული სასოფლო რეგიონი მისთვის დამახასიათებელი მიგრაციული კავშირებით გამოირჩევა. ამ შემთხვევაში მოვლენის განმაპირობებელ ფაქტორად გვევლინება როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სტერეოტიპული მიგრაციული ქცევის ერთგვარი ავტომატურობა, ისე მიგრაციული გადაწყვეტილების რეალიზაციის შესაძლებლობები (ცხრ. 24).

ცხრილი 24

მიგრანტთა განაწილება მიგრაციული ნაკადის მიმართულების მიხედვით 1970 — 1980 წწ. (%-ით)

მიგრაციული ნაკადის მიმართულება	რაიონი: გორი (მთის ზოლი)	რაიონი: გორი (ბარის ზოლი)	მიგრაციული ნაკადის მიმართულება	რაიონი: სამტრედია	მიგრაციული ნაკადის მიმართულება	რაიონი: ხაშური
1	2	3	4	5	6	7
თბილისი	1,3	29,6	თბილისი	15,7	თბილისი	12,9
რუსთავი	1,3	3,7	რუსთავი	1,5	რუსთავი	4,4
გორი	20,4	36,8	ქუთაისი	4,9	ხაშური	53,1
იმავე რაიონის სოფელი	34,2	5,2	ბათუმი	5,4	სურამი	17,0
მეზობელი რაიონის ქალაქი	11,6	2,4	ფოთი	0,5	იმავე რაიონის სოფელი	0,6
მეზობელი რაიონის სოფელი	7,9	2,1	დას. საქართველოს სოფელი	2,2	გორი	1,5
აღმ. საქ. სხვა რაიონი	13,7	2,6	სამტრედია	52,3	ბორჯომი	0,6
დას. საქ. სხვა რაიონი	—	2,1	კულაში	9,0	აღმ. საქართველოს ქალაქი	2,9
ჩრდილო ოსეთი	9,3	1,6	რესპუბლიკის გარეთ	3,4	აღმ. საქართველოს სოფელი	2,1
რესპუბლიკის გარეთ	0,3	6,5	ცნობა არ არის	5,1	დას. საქართველოს ქალაქი	2,3
სხვა	—	7,4	—	—	დას. საქართველოს სოფელი	0,3
სულ	100,0	100,0	სულ	100,0	რესპ. გარეთ	2,3
					სულ	100,0

მიგრაციული ნაკადის მიმართულება	რ ა ი ო ნ ი			
	ჯავა	ცხინვალი	ზნაური	ლენინგორი
ცხინვალი	43,7	44,0	35,9	5,9
თბილისი	0,6	11,1	16,1	9,4
რუსთავი	—	5,9	0,9	1,0
გორი	—	3,2	2,8	2,2
კასპი	—	0,1	—	10,6
აღმ. საქართველოს ქალაქი	—	1,8	7,5	5,2
აღმ. საქართველოს სოფელი	—	3,8	—	15,6
ოლქის სოფელი	3,6	0,9	—	15,1
ჩრდილო ოსეთი	46,7	20,8	23,6	35,0
სხვა რეგიონები რესპუბლიკის გარეთ	4,2	6,3	10,4	—
ცნობა არ არის	1,2	2,1	2,8	—
სულ	100.0	100,0	100,0	100,0

წარმოდგენილი ცხრილების ფონზე მკვლევრის წინაშე მეტად საინტერესო სურათი იშლება. გორის რაიონის მთის ზოლის მოსახლეობის მიგრაციული ნაკადი ძირითადად იმავე რაიონის ბარის ზოლში მიემართება, აგრეთვე გორში, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში (უპირატესად მეზობელ რაიონებში), ოსების ერთი ნაწილი — ჩრდილო ოსეთში; რაც შეეხება გორის რაიონის ბარის ზოლის მოსახლეობას, მისი მიგრაციული კავშირები ყველაზე მეტად გორთანაა, შემდეგ თბილისთან, მცირე მასშტაბის მიგრაციული გადასვლები გვხვდება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, აგრეთვე რესპუბლიკის გარეთ.

სამტრედიის რაიონის სოფლის მოსახლეობის მიგრანტთა ნახევარზე ცოტა მეტი სამტრედიაში ჩამოვიდა, ხოლო მეხუთედზე ცოტა ნაკლები — თბილისში.

სამტრედიის რაიონის სოფლის მოსახელობა საცხოვრებლად და სამუშაოდ გადადის აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, კულაშში.

ხაშურის რაიონის სასოფლო რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული ქცევისათვის დამახასიათებელია რაიონული ცენტრისაკენ დიდი ლტოლვა, აგრეთვე მის მეზობლად მდებარე დაბა სურამისაკენ. თბილისთან კავშირი საშუალო ინტენსივობისაა. მცირე მასშტაბის მიგრაციული კავშირები დასტურდება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებთან და სასოფლო დასახლებებთან.

სამხრეთ ოსეთის საოლქო ცენტრი — საშუალო სიდიდის ქალაქი ცხინვალი ოლქის სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან მიგრაციულ ნაკადს ღებულობს. მხოლოდ ეს არ ითქმის ლენინგორის რაიონზე, რომელიც ოლქის სხვა სასოფლო რეგიონებისაგან გეოგრაფიულად განსხვავებულ გარემოში მდებარეობს და უფრო მეტად ოლქის სასოფლო და აგრეთვე კასპის, მცხეთის და ჩრდილო ოსეთის რეგიონებს უკავშირდება.

როგორც დავრწმუნდით, საშუალო ქალაქების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო დასახლებებიდან გამავალი მიგრაციული ნაკადები უპირატესად, თუმცა სხვადასხვა ინტენსივობით, უკავშირდება საშუალო ქალაქებს: საგრძნობი მასშტაბის მიგრაციული ჯგუფები გადადიან მეზობლად მდებარე სოციალური და ეკონომიკურად აქტივიზირებულ ქალაქებში; ხოლო, მანძილის მიუხედავად, ყველა რეგიონიდან თბილისისაკენ მოედინება განსხვავებული სიძლიერის ნაკადი.

მთის ზოლიდან მოსახლეობის ოჯახით მიგრაციის არასასურველი ტენდენცია, სამწუხაროდ, დღესაც დასტურდება.

მიგრაციული ნაკადის სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა: სქესი, ასაკი, განათლება, შრომის ხასიათი მიგვითითებს მიგრაციის სოციალურად დიდ პოტენციურ ძალაზე, რომლის რაციონალური გამოყენება საზოგადოებრივი განვითარების დაუფასებელ რეზერვს წარმოადგენს.

ბ. ქანქარისებური ფორმის მიგრაცია

მიგრაციის ქანქარისებური ფორმა („სოფელი-ქალაქი") ურბანიზაციის თანმხლები მოვლენაა, რომელსაც ზრდის ტენდენცია ახასიათებს, მისი თეორიული საკითხები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დამუშავებული; ერთი ცხადია, აღნიშნული ფორმის მიგრაციას საფუძვლად უდევს შრომითი საქმიანობა და მას დიდი სოციალური დატვირთვა აქვს. ქანქარისებური მიგრაციის მექანიზმის ახსნა აქტუალურ სოციალურ-დემოგრაფიულ პრობლემათა წრეში ექცევა.

ქანქარისებური მიგრაციის კვლევის საქმეში არსებულ მდგომარეობას კარგად ასახავს ი. ტაბორინსკაია:

„ქანქარისებული მიგრაციის მკვლევართა შორის გარკვეულ პესიმიზმს ბადებს საჭირო საინფორმაციო ფაქტოგრაფიული მასალის არარსებობა. ნაშრომიდან ნაშრომში გადადის თეზისი იმის შესახებ, რომ არსებობს თუ არა შესაძლებლობა შევისწავლოთ აღნიშნული პროცე-

სი და შევასრულოთ ეს ამოცანა სტატისტიკური ბაზის შეზღუდულობის გამო"[3].

ამავე დროს, იგივე ავტორი მიუთითებს, რომ უკანასკნელ ათწლეულში დიდად გაიზარდა ინტერესი შრომითი ქანქარისებური მიგრაციისადმი, დღემდე არ დამუშავებულა აღნიშნული პროცესის ზოგადი თეორია და მისი რაოდენობრივი გაზომვის და ანალიზის მეთოდები, არ არის მიღწეული ერთიანი შეხედულება მისი გენეზისის და განვითარების ტენდენციების შესახებ: ქანქარისებური მიგრაციის არსის გაგებები მეტად წინააღმდეგობრივია[4]. სინანულით მიუთითებენ იმაზეც, რომ ქანქარისებური მიგრაციის არც რაოდენობრივი და არც თვისებრივი მახასიათებლების მაჩვენებლები მკვლევართა განკარგულებაში არ არის. ეს კი მეტად აძნელებს მეცნიერულ კვლევა-ძიებას[5].

საქართველოს საშუალო ქალაქებში ქანქარისებური მიგრაციის მძლავრი ნაკადები შემოდის. ეს განსაკუთრებით ითქმის ხაშურისა და სამტრედიის მიმართ. გორი და, განსაკუთრებით, ცხინვალი ამ მხრივ, შედარებით ნაკლები ინტენსივობით გამოირჩევა. გორსა და ცხინვალს საკუთარი შრომითი რესურსი გააჩნია (გორში ძირითადად საფეიქრო მრეწველობა იზიდავს გარედან მუშახელს).

ჩვენ მიერ მოპოვებული და დამუშავებული კვლევის მასალები საშუალებას გვაძლევს დასკვნების სახით წარმოვადგინოთ შემდეგი:

1. ქანქარისებური ფორმის მიგრაციაში უპირატესად მამაკაცები მონაწილეობენ (ხაშურში — 82,8%, სამტრედიაში — 73,0%, გორში — 71,0%, ცხინვალში — 83,3%).

2. მიგრანტების ასაკობრივი სტრუქტურა, აგრეთვე, სქესის მიხედვით რამდენადმე განსხვავებულია. მაგალითად, 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ქალები უფრო აქტიურად მონაწილეობენ ქანქარისებურ მიგრაციაში, ვიდრე მამაკაცები, შემდეგ — 25—29 და შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში — 60 წლამდე მამაკაცები ჭარბობენ, 60 წლის ზევით კი ისევ ქალები მატულობენ. ეს აიხსნება ქალების სოციალური როლით ოჯახში. გათხოვებამდე ისინი სწავლასა და შრომით საქმიანობაში მამაკაცებზე უფრო მეტ აქტივობას ამჟღავნებენ, შემდეგ კი, დაოჯახების, შვილებზე ზრუნვის და ოჯახურ მოვალეობათა შესრულების გამო, საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის ნაკლები შესაძლებლობები აქვთ.

გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ქ. გორში შემავალ მიგრაციულ ნაკადში 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდობის მაღალი ხვედრითი წონა.

---

[3] Таборинская И. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

[4] იქვე, გვ. 6.

[5] Хорев Б. С., Проблемы городов, М., 1975, с. 330.

ეს, ცხადია, დაკავშირებულია გორში საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების კერების არსებობასთან (ცხრ. 25).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგრანტთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფისა და სქესის მიხედვით. ქანქარისებური მიგრაცია 1978—1980 წწ. (%-ით)

ასაკობრივი ჯგუფი (წელი)	გორი		სამტრედია		ხაშური	
	მამრ.	მდედრ.	მამრ.	მდედრ.	მამრ.	მდედრ.
16—19	14,3	19,5	0,7	1,9	0,3	1,5
20—24	19,6	35,2	5,2	10,0	3,9	15,8
25—29	21,8	20,3	15,7	16,5	20,4	17,3
30—39	25,1	11,6	25,5	20,6	24,5	21,8
40—49	14,1	8,5	27,9	23,4	31,8	30,8
50—59	4,8	4,1	17,5	18,4	14,5	10,5
60—	0,3	0,8	5,5	7,2	2,6	2,3
ცნობა არ არის	—	—	2,0	2,0	—	—
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

ქანქარისებური მიგრაცია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მხოლოდ ცხინვალის სასოფლო რეგიონშია მკვეთრად გამოკვეთილი. აქ ყველაზე აქტიური 20—29 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ჩანან, თუმცა 30—39 და 40—49 წლის ასაკობრივი ჯგუფებიც საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი.

3. დაოჯახებულთა ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად ჭარბობს, თუმცა ეს მაჩვენებელი ქალებში საგრძნობლად ნაკლებია.

4. ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთა განათლების დონე ბევრად მაღალია, ვიდრე მუდმივი მიგრანტებისა. აქ შესამჩნევად ჭარბობენ საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონენი.

5. სოფლის მოსახლეობის ქანქარისებური მიგრაციისათვის დამახასიათებელია განსხვავებული სოციალურ-პროფესიული სტრუქტურა, რასაც განსაზღვრავს სასოფლო დასახლების ხასიათი. იმ სოფლიდან გამომავალი მიგრაციული ნაკადი უფრო კვალიფიციური სოციალურ-პროფესიული სტრუქტურის მქონეა, რომელსაც ურბანიზებულ გარემოსთან აქტიური კავშირი აქვს (მაგალითად, ხაშურის რაიონში, ერთი მხრივ, ქვიშხეთი, მეორე მხრივ, ცოცხნარა).

სოციალურ-პროფესიულ სტრუქტურასთან დაკავშირებული მონაცემები დავალაგეთ და გავიანგარიშეთ უკანასკნელ პერიოდში მიღე-

ბული შკალის მიხედვით[6]. წარმოვადგენთ სოციალურ-პროფესიულ ჯგუფებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა.

II. დაბალი კვალიფიკაციის მუშა.

III. კვალიფიცირებული და მაღალკვალიფიცირებული მუშა.

IV. მოსამსახურე—უკავია თანამდებობა, რომელიც არ მოითხოვს საშუალო სპეციალურ განათლებას.

V. მოსამსახურე — უკავია თანამდებობა, რომელიც მოითხოვს საშუალო სპეციალურ განათლებას.

VI. მოსამსახურე — უკავია თანამდებობა, რომელიც მოითხოვს უმაღლეს განათლებას და არ ექვემდებარება VII და VIII ჯგუფებს.

VII. მაღალი კვალიფიკაციის წამყვანი ინჟინრები, სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებების ხელმძღვანელები კვლევით ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, აკადემიის მეცნიერი თანამშრომლები, შემოქმედებითი შრომის (კულტურა, ხელოვნება) მუშაკები.

VIII. დიდი შრომითი კოლექტივების (200 კაცზე მეტი) ხელძღვანელები.

მოპოვებული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილე ქალი უფრო მეტად არის დასაქმებული ისეთ სფეროში, რომელიც საშუალო სპეციალურ განათლებას მოითხოვს;

ყველაზე დიდი ხვედრითი წონით გამოირჩევა მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული კვალიფიცირებული მუშები; ეს შეეხება განსაკუთრებით მამაკაცებს (ცხრ. 26).

საქართველოს საშუალო ქალაქების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო რეგიონების მოსახლეობის ქანქარისებური მიგრაციული ნაკადების მიმართულება თავისებურებებით ხასიათდება. სამტრედიისა და ხაშურის სასოფლო დასახლებები ძირითადად მისსავე რაიონულ ცენტრებთან არიან დაკავშირებული, ჯავისა და ცხინვალის რაიონები — ცხინვალთან, ხოლო გორის სოფლის მოსახლეობა განსხვავებულ სურათს იძლევა (ცხრ. 27).

გორის სოფლის მოსახლეობის რაიონის გარეთ ინტენსიური ქანქარისებური მიგრაციის არსებობა აიხსნება, ჯერ ერთი, მოხერხებული სატრანსპორტო კავშირებით, მეორე, გორში კვალიფიციური შრო-

---

[6] Васильева Э. К., Социально-экономическая структура населения СССР, М., 1978, с. 95, 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 26

მიგრანტთა განაწილება სქესისა და სოციალურ-პროფესიული ჯგუფების მიხედვით. ქანქარისებური მიგრაცია 1978—1980 წწ. (%-ით)

სოციალურ-პროფესიული ჯგუფი	რ ა ი ო ნ ი					
	გორი		სამტრედია		ხაშური	
	მამრ.	მდედრ.	მამრ.	მდედრ.	მამრ.	მდედრ.
I	0,1	0,3	1,0	—	5,3	—
II	13,2	12,4	28,4	35,2	38,1	40,6
III	36,2	10,2	46,5	17,1	43,5	32,3
IV	7,6	5,7	11,3	7,5	6,1	5,3
V	5,5	21,7	6,0	33,3	4,1	16,5
VI	8,5	8,8	5,7	6,2	1,7	3,8
VII	0,8	—	0,2	—	0,5	0,7
VIII	0,2	—	—	—	—	—
სტუდენტები და მოსწავლეები	27,9	40,9			—	—
ცნობა არ არის	—	—	0,9	0,7	0,7	0,8
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

მითი რესურსების გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გორსა და, განსაკუთრებით, თბილისში მომავალ ქანქარისებურ მიგრაციულ ნაკადში მკვეთრად ჭარბობენ ქალები.

ცხრილი 27

მიგრანტთა განაწილება სქესისა და მიგრაციის მიმართულების მიხედვით გორის რაიონი. ქანქარისებური მიგრაცია 1980 წ. (%-ით)

მიგრაციის მიმართულება	ს ქ ე ს ი	
	მამრობითი	მდედრობითი
გორი	19,6	50,8
თბილისი	14,3	35,7
მეზობელი რაიონების ქალაქები	21,8	5,2
აღმ. საქართველოს სხვა ქალაქი	14,1	1,7
იმავე რაიონის სოფელი	25,1	3,0
სხვა	5,1	3,6
ს უ ლ	100,0	100,0

გორის სასოფლო რეგიონიდან ქანქარისებური მიგრაციის თბილისურ ნაკადში გამოირჩევიან რკინიგზაში დასაქმებულნი (სავაგო-

ნო დეპო, რკინიგზის თეთრეულის ბაზა, საორთქლმავლო დეპო, ელ-მავალსაშენებელი ქარხანა, სატვირთო სადგური), აგრეთვე მეტრო-პოლიტენში. პროფესიების მიხედვით ყურადღებას იპყრობენ ჭარ-მოების კვალიფიციური მუშები, ექთნები, სანიტრები, დამლაგებ-ლები, დარაჯები, მძღოლები, მმართველობის სფეროს საშუალო და დაბალი რგოლის წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორში შემომავალ ქანქარისებურ მიგრაციულ ნაკადში გვხვდება გონებრივი და ფიზიკური კვალიფიციური შრომის წარმომადგენლები, რომელთა დასაქმება სპეციალობის მიხედვით სასოფლო გარემოში პრაქტიკულად არ ხერხდება. მოსახლეობის გეოგრაფიის სპეციალის-ტებმა, ეკონომისტებმა სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს ამ პრობ-ლემას (ვ. გუჯაბიძე, მ. ტუხაშვილი). ასეთი სახის გამოკვლევა ორ საშუალო ქალაქში: ხაშურსა და სამტრედიაში ჩავატარეთ. კითხვარი, რომლის გამოყენებით შევისწავლეთ ქანქარისებურ მიგრაციასთან და-კავშირებული საზოგადოებრივი აზრი, კითხვათა ბლოკებისაგან შედ-გება, რომელთაგან თითოეული შესასწავლი მოვლენის გარკვეული ას-პექტის გაშუქებას ითვალისწინებს. მიგრანტთა დემოგრაფიული და სოციალური მახასიათებლების გარდა უნდა დაგვედგინა:

I. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და დახარჯული დრო, რო-მელიც საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე მიმოსვლას სჭირდება; მგზავრობით გამოწვეული დაღლილობის ხარისხი; სატრან-სპორტო კავშირების სახეობა და მგზავრობის პირობების გაუმჯო-ბესებასთან დაკავშირებული წინადადებები და სურვილები.

II. ქანქარისებური მიგრაციის ინტენსივობა.

III. ქანქარისებური მიგრაციის წარმომქმნელი მიზეზები.

IV. მუდმივი მიგრაციული ტენდენციების ინტენსივობა და მისი გამომწვევი მიზეზები.

მოკლედ წარმოვადგენთ ქანქარისებური ფორმის მიგრაციასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს:

ქანქარისებურ მიგრაციაში უპირატესად სპეციალობის მქონენი მონაწილეობენ (სამტრედიაში — 79,9%, ხაშურში — 73,7%). მიგ-რანტთა სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა რამდენადმე ოპტი-მალურია და მიგრაციის ამ არხით საშუალო ქალაქში შემოდის მეტად აქტიური და საჭირო შრომითი რესურსი.

მიგრანტთა უმეტესობა ორივე ქალაქში ძირითადად ავტობუსით მგზავრობს, სამტრედიაში დანარჩენი (ე. ი. ვინც ავტობუსით არ მგზა-ვრობს) უპირატესად საკუთარ ავტომანქანას იყენებს, ხოლო ხაშურში — მატარებელს (ცხრ. 28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 28

სამგზავრო სატრანსპორტო კავშირები.
ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

ტრანსპორტის სახეობა	ქ ა ლ ა ქ ი		
	სამტრედიაში	ხაშურში	ს უ ლ
ავტობუსი	75,4	72,7	73,5
მატარებელი	6,0	17,2	12,7
საკუთარი ავტომანქანა	17,2	6,1	10,5
არ უპასუხა	1,4	4,0	3,3
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

ქანქარისებური მიგრაციის ოპტიმიზაციის საკითხებს უკავშირდება სამგზავრო დაღლილობის მინიმუმამდე დაყვანა. ხაშურში ბევრად მაღალია იმათი ხვედრითი წონა, ვინც ყოველდღიური მგზავრობით გამოწვეულ დაღლილობას უჩივის (ცხრ. 29).

ცხრილი 29

სამგზავრო დაღლილობის ინტენსივობა. ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

სამგზავრო დაღლილობის ინტენსივობა	ქ ა ლ ა ქ ი		
	სამტრედია	ხაშური	ს უ ლ
მეტად იღლება	16,4	30,3	26,0
არც ისე იღლება	38,8	43,4	42,0
არ იღლება	44,0	23,6	29,9
არ უპასუხა	0,8	2,7	2,1
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

აღსანიშნავია, რომ უფრო მეტად იღლება ის, ვინც მატარებლით მგზავრობს. ეს შეეხება ორივე ქალაქს (ცხრ. 30).

სამგზავრო დაღლილობაზე, ცხადია, გავლენას ახდენს მგზავრობაზე დახარჯული დრო. მგზავრობაზე დახარჯული დროის მოდალური მაჩვენებელი ორივე ქალაქისათვის 30—60 წუთია, მაგრამ 60 წუთზე მეტი მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (ცხრ. 31).

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილენი სამგზავრო დაღლილობის მინიმუმამდე დაყვანისა და მგზავრობის კომფორტის უზრუნველსაყოფად წინადადებებსა და სურვილებს გვთავაზობენ. ყველაზე მეტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 30

ტრანსპორტის სახეობა და სამგზავრო დაღლილობის ინტენსივობა ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

ტრანსპორტის სახეობა	სამგზავრო დაღლილობის ინტენსივობა									
	სამტრედია					ხაშური				
	მეტად იღლება	არც ისე იღლება	არ იღლება	არ უპასუხა	სულ	მეტად იღლება	არც ისე იღლება	არ იღლება	არ უპასუხა	სულ
მატარებელი	37,5	37,5	25,0	—	100,0	43,2	33,3	19,6	3,9	100,0
ავტობუსი	17,8	41,6	39,6	1,0	100,0	30,6	47,2	21,3	0,9	100,0
საკუთარი ავტომანქანა	4,3	26,1	69,6	—	100,0	—	33,3	61,1	5,6	100,0

ცხრილი 31

მგზავრობაზე დახარჯული დრო. ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

მგზავრობაზე დახარჯული დრო	ქ ა ლ ა ქ ი		
	სამტრედია	ხაშური	სულ
20 წუთამდე	6,0	8,1	7,4
20—30 წუთი	15,7	15,5	15,5
30—60 წუთი	38,1	33,7	35,0
60 წუთი და მეტი	29,1	31,3	30,6
არ უპასუხა	11,1	11,4	11,5
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მოითხოვენ წესიერი ავტობუსისა და კეთილმოწყობილი საავტომობილო გზის საკითხის მოგვარებას (ცხრ. 32).

ქანქარისებური მიგრაციის რაციონალიზაციის ღონისძიებათა დასახვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ისეთი სიტუაცია, როცა ადამიანი ვერ შოულობს სამუშაოს იქ, სადაც ცხოვრობს, სადაც მისი შრომა უფრო ეფექტიანი იქნებოდა; ან ისეთი შემთხვევა, როცა ასეთი შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ „ადამიანი და სამუშაო ერთმანეთს არ ხვდება“.

გამოკითხულთა მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ მათ საცხოვრებელ ადგილას მოიძებნება მათთვის შესაფერისი სამუშაო (სამტრედიაში 41,8%, ხაშური — 46,8%) (ცხრ. 33).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 32

მგზავრობის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნები. ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

მგზავრობის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნები	ქ ა ლ ა ქ ი		
	სამტრედია	ხაშური	სულ
საავტომობილო გზების შეკეთება, კეთილმოწყობა	6,7	15,5	12,8
წესიერი ავტობუსით უზრუნველყოფა. გრაფიკის მოწესრიგება	29,9	4,7	14,8
ადგილობრივი მატარებლების გრაფიკის შეთანხმება მუშაობასთან	—	33,7	23,2
არაფერი	25,4	31,3	29,5
არ უპასუხა	38,0	14,8	19,7
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

ცხრილი 33

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასურველი სამუშაოს არსებობა ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა	ქ ა ლ ა ქ ი		
	სამტრედია	ხაშური	სულ
არსებობს	41,8	46,8	43,2
არ არსებობს	43,3	39,7	40,8
უძნელდება პასუხის გაცემა	8,2	6,7	7,2
არ უპასუხა	6,7	6,8	8,8
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

საგულისხმოა, რომ დიდია იმათი ხვედრითი წონა, რომელთაც აქვთ სპეციალური საშუალო და უმაღლესი განათლება და მათთვის სასურველი სამუშაო არ მოიძებნება მათ საცხოვრებელ ადგილზე (ცხრ. 34).

ქანქარისებური მიგრაციული ქცევის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაგვარია; ძირითადი კი სპეციალობის მიხედვით მუშაობა და სასურველი სამუშაოს არარსებობაა იქ, სადაც მიგრანტი ცხოვრობს. მაშასადამე, ძირითადი მიზეზი დასაქმებაა და ამიტომაც სპეციალურ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრილი 34

სასურველი სამუშაოს არსებობა საცხოვრებელი ადგილისა და განათლების დონის მიხედვით. ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით),

განათლების დონე	სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა									
	სამტრედია					ხაშური				
	არსებობს	არ არსებობს	ეჭვნეულდება პასუხის გაცემა	არ უპასუხა	სულ	არსებობს	არ არსებობს	ეჭვნეულდება პასუხის გაცემა	არ უპასუხა	სულ
დაწყებითი	33,3	33,3	33,3	—	99,9	60,0	40,0	—	—	100,0
არასრული საშუალო	71,4	28,6	—	—	100,0	55,6	33,3	11,1	—	100,0
ზოგადი საშუალო	56,3	31,2	—	12,5	100,0	46,6	26,6	17,9	8,9	100,0
პროფტექნიკური	35,3	35,3	23,5	5,9	100,0	50,0	39,5	10,5	—	100,0
საშუალო სპეციალური	38,3	51,0	4,3	6,4	100,0	52,7	40,9	2,2	4,2	100,0
უმაღლესი	46,3	48,8	4,9	—	100,0	44,8	49,4	3,4	2,4	100,0

ლიტერატურაში გაჩნდა ტერმინი „შრომითი მიგრაცია", რომელიც რამდენადმე სინონიმურია „ქანქარისებური მიგრაციისა" (ცხრ. 35).

ცხრილი 35

ქანქარისებური მიგრაციის მიზეზები 1979 წ. (%-ით)

მიგრაციის მიზეზი	სამტრედია	ხაშური	სულ
მუშაობა სპეციალობის (პროფესიის) მ ხედვით	23,9	23,6	25,1
საცხოვრებელ ადგილზე ვერ იშოვა სასურველი სამუშაო	22,4	23,9	23,4
წარმოებები რაიონში ძირითადად თავმოყრილია ქალაქში	11,2	6,7	8,1
ოჯახური მდგომარეობა	3,7	3,7	5,1
მუშაობა სტაჟის გამო	1,5	2,0	1,9
სამსახური მეტად ახლოა ჩემს სოფელთან	8,2	9,4	9,0
კარგი ხელფასია	0,7	6,7	4,9
მხოლოდ ამ ქალაქში იყო მისთვის სასურველი სამუშაო	2,2	1,3	1,6
არ უპასუხა	26,2	22,7	20,9
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების დონე გავლენას ახდენს მიგრაციის მიზეზებზე. ორივე ქალაქში მიზეზად „მუშაობას სპეციალობის მიხედვით“ უფრო მეტად ასახელებენ უმაღლესი განათლების მქონენი, აგრეთვე საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური განათლების მქონენი.

რესპონდენტებს მიეცათ საკონტროლო კითხვა: „რით არის კარგი რაიონულ ცენტრში მუშაობა“. კითხვამ „ნაწილობრივ იმუშავა“. პასუხთა შორის გამოირჩა „მუშაობა სპეციალობის მიხედვით“ და „კარგი სამუშაო პირობები და კარგი ხელფასი“ (ცხრ. 36).

ცხრილი 36

ქალაქში მუშაობის უპირატესობანი. ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

ქალაქში მუშაობის უპირატესობანი	ქ ა ლ ა ქ ი		
	სამტრედია	ხაშური	ს უ ლ
მუშაობა სპეციალობის მიხედვით	12,7	15,5	14,6
კულტურული დაწესებულებები უკეთესად მუშაობს	3,7	1,7	2,3
საცხოვრებელთან ახლოსაა ქალაქი	5,2	9,4	8,1
კარგი სამუშაო პირობებია, კარგი ხელფასია	26,9	13,8	17,9
უპირატესობას ვერ ხედავს	3,0	12,5	9,5
არ უპასუხა	48,5	47,1	47,6
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

ქანქარისებური მიგრაციის ინტენსივობაზე მიგვითითებს მიგრაციის აღნიშნულ ფორმაში ოჯახის წევრთა მონაწილეობა (ცხრ. 37).

ცხრილი 37

ქალაქისებურ მიგრაციაში მონაწილე ოჯახის წევრთა რაოდენობა 1979 წ. (%-ით)

ოჯახის წევრთა რიცხვი, რომლებიც მონაწილეობენ ქანქარისებურ მიგრაციაში	სამტრედია	ხაშური	ს უ ლ
ერთი წევრი	32,1	34,0	33,6
ორი წევრი	19,4	15,8	16,9
სამი და მეტი წევრი	0,7	5,4	3,7
არ უპასუხა	47,8	43,8	45,8
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ჩანს, ოჯახთა მეექვსედის ორი წევრი მონაწილეობს ქანქარისებურ მიგრაციაში. ცხადია, აღნიშნული მაჩვენებელი არ ეკუთვნის მცირე.

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეობა არც მაინცდამაინც ბევრს აკმაყოფილებს. აღნიშნული მდგომარეობით სამტრედიაში კმაყოფილია 23,1%, ხოლო ხაშურში — 15,2% (ცხრ. 38).

ცხრილი 38

მომავლის გეგმები ქანქარისებურ მიგრაციასთან დაკავშირებით 1979 წ. (%-ით)

მომავლის გეგმები	სამტრედია	ხაშური	სულ
ამ მდგომარეობით კმაყოფილია	23,1	15,2	17,6
აპირებს სწავლის გაგრძლებას, სპეციალობის შეძენას	2,2	6,4	6,1
აპირებს სამუშაოს გამოცვლას	7,5	8,4	8,1
არავითარი გეგმა არა აქვს	1,5	7,7	5,8
ჯერ არ იცის როგორ მოიქცეს მომავალში	18,7	14,8	16,0
არ უპასუხა	47,0	47,5	46,4
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მართალია, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს „აღნიშნული მდგომარეობით კმაყოფილებას", მაგრამ თავისთავად ეს მონაცემი არ არის მნიშვნელოვანი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ნახევარმა კითხვას პასუხი არ გასცა.

მიგრაციული ტენდენციების გარკვევისათვის ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნების მიგრაციულ განწყობას — მხოლოდ მის სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული, სად ისურვებდა მუდმივ ცხოვრებას. ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთა დაახლოებით მეხუთედი მის მუდმივ საცხოვრებელს — მშობლიურ სოფელს მიიჩნევს სასურველად. ხოლო ყველაზე მეტად სასურველ საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევენ ქალაქს, სადაც მუშაობენ. მეტად საყურადღებოა, რომ საკმაოა იმათი ხვედრითი წილიც, ვინც თბილისს ირჩევს (სამტრედია — 16,4%, ხაშური — 20,9%). ჩანს, რომ ხაშურის სიახლოვე თბილისთან გავლენას ახდენს მიგრაციული ნაკადის მიმართულების ფორმირებაზე (ცხრ. 39).

საკუთარ სოფელში დარჩენა უფრო ნაკლებად სურთ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს, ისინი მიისწრაფვიან გადავიდნენ მუდმივ საცხოვრებლად როგორც რაიონულ ცენტრში, ისე დიდ ქალაქში (თბილისში). ეს შეეხება ორივე ქალაქს. მაშასადამე, სქესი გავლენას ახდენს მიგრაციული ნაკადის მიმართულებაზე (ცხრ. 40).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 39

სასურველი საცხოვრებელი ადგილი. ქანქანისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

სასურველი საცხოვრებელი ადგილი	ქ ა ლ ა ქ ი		
	სამტრედია	ხაშური	სულ
საკუთარი სოფელი	24,6	27,9	26,9
საკუთარი რაიონული ცენტრი	50,7	39,1	42,7
თბილისი	16,4	20,9	19,5
სხვა	3,7	4,4	4,2
არ უპასუხა	4,6	7,7	6,7
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მიგრაციისაკენ მისწრაფება უფრო ინტენსიურად ჩანს 20-24 და 25—29 წლის ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებში. 40 წლიდან კი აღნიშნული ტენდენცია კლებულობს.

ცხრილი 40

რესპონდენტთა განაწილება სასურველი საცხოვრებელი ადგილისა და სქესის მიხედვით. ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

სასურველი საცხოვრებელი ადგილი	ქ ა ლ ა ქ ი			
	სამტრედია		ხ ა შ უ რ ი	
	სქესი		სქესი	
	მამრ.	მდედრ.	მამრ.	მდედრ.
საკუთარი სოფელი	33,3	21,0	36,5	23,7
საკუთარი რაიონული ცენტრი	43,8	58,0	38,1	43,6
თბილისი	16,7	17,3	19,8	23,7
სხვა	4,2	3,7	5,6	3,8
არ უპასუხა	2,0	—	—	5,2
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთა ერთ ნაწილს გადაწყვეტილი აქვს გამოიცვალოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ზოგს ჯერ არ გადაუწყვეტია, ხოლო გამოკითხული მასივის ნახევარზე მეტი არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას (ცხრ. 41).

ვისაც გადაწყვეტილი აქვს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, ძირითად მიზეზად ასახელებს ცხოვრებისა და მუშაობის უკეთეს პირობებს, ოჯახურ პირობებს და უძნელდება ყოველდღიური შორი მგზავრობა (ცხრ. 42).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 41

რესპონდენტთა განაწილება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისადმი დამოკიდებულების მიხედვით. ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისადმი დამოკიდებულება	ქალაქი		
	სამტრედია	ხაშური	სულ
აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	11,2	19,9	19,5
არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	56,7	58,2	54,8
ჯერ არ გადაუწყვეტია	28,4	21,5	24,4
არ უპასუხა	3,7	0,4	1,3
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

ცხრილი 42

საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზეზები. ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

მიზეზები	ქალაქი		
	სამტრედია	ხაშური	სულ
ახლო ექნება სამსახური	2,2	4,0	3,5
მოსწონს დიდ ქალაქში ცხოვრება	0,7	1,7	1,4
ოჯახური პირობები	2,2	3,0	2,8
ექნება ცხოვრებისა და შრომის უკეთესი პირობები	3,0	3,4	3,2
სურს გააგრძელოს სწავლა	—	0,7	0,5
სხვა მიზეზები	—	1,3	0,9
არ უპასუხა ან არ სურს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა	91,9	85,9	87,7
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა უფრო მეტად სურს იმას, ვინც დაოჯახებულია (სამტრედიაში — 2,3 პუნქტით, ხაშურში —5,8 პუნქტით) (ცხრ. 43).

ვინც მეტად იღლება მგზავრობით, ის უფრო მეტად არის ორიენტირებული საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისადმი. საყურადღებოა, რომ ვინც საწარმოში მუშაობს 5 წელზე მეტი (სადაც გამოკითხვა ჩატარდა), ის ნაკლებ ინტერესს იჩენს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისადმი.

ცხრილი 43

რესპონდენტთა განაწილება მიგრაციული გადაწყვეტილებისა და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით. ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

მიგრაციული გადაწყვეტილება	სამტრედია		ხაშური	
	ოჯახური მდგომარეობა			
	უცოლო (გაუთხოვარი)	ცოლიანი (გათხოვილი)	უცოლო (გაუთხოვარი)	ცოლიანი (გათხოვილი)
აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	11,9	9,6	23,1	16,3
არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	45,2	67,5	43,1	69,9
ჯერ არ გადაუწყვეტია	38,1	21,7	33,1	12,8
არ უპასუხა	4,8	1,2	0,7	1,0
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0

მიგრაციული გადაწყვეტილების ფორმირებაში განათლების ფაქტორსაც აქვს მნიშვნელობა. საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონენი უფრო ძლიერ მიგრაციულ ლტოლვას ამჟღავნებენ. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ ასეთივე ტენდენციებს უფრო მეტად გონებრივი შრომის ადამიანები იჩენენ.

გამოკითხულთა უმრავლესობას სურს, რომ მათი შვილები მუდმივად ცხოვრობდნენ საკუთარ რაიონულ ცენტრში, აგრეთვე რესპუბლიკის დედაქალაქში (ცხრ. 44).

ცხრილი 44

რესპონდენტთა განაწილება შვილებისათვის სასურველი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ქანქარისებური მიგრაცია 1979 წ. (%-ით)

შვილებისათვის სასურველი საცხოვრებელი ადგილი	ქ ა ლ ა ქ ი		
	სამტრედია	ხაშური	ს უ ლ
საკუთარი სოფელი	15,7	10,8	12,3
საკუთარი რაიონული ცენტრი	34,3	26,3	27,8
თბილისი	20,1	25,6	23,9
სხვა	6,7	7,7	7,4
არ უპასუხა	23,2	29,6	27,6
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

შვილებისათვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად რაიონული ცენტრის სასურველად მიჩნევა ახსნილია იმით, რომ შვილები შედარებით ახლოს ეყოლებათ და სოფელთან შედარებითაც ცხოვრების პირო-

ბები უკეთესი ექნებათ, ხოლო თბილისში ცხოვრების უპირატესობას ხედავენ კულტურის მაღალ დონეში, ცხოვრების უკეთეს პირობებში, განათლების მიღებისა და დაწინაურების პერსპექტივების არსებობაში.

ამრიგად, საზოგადოებრივი აზრის მონაცემები შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა:

ქანქარისებური მიგრაციული კავშირების მასშტაბები და მისი მოქმედების რადიუსი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

სატრანსპორტო-სამრეწველო საშუალო ქალაქები ზოგადთან ერთად ლოკალური თავისებურებებით ხასიათდება ქანქარისებური მიგრაციის ფუნქციონირების და მისი განვითარების ტენდენციების თვალსაზრისით (საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებს შორის სატრანსპორტო კავშირის სახეები, სამგზავრო დაღლილობის ინტენსივობა, მგზავრობაზე დახარჯული დრო, ქანქარისებური მიგრაციის მიზეზები, ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთა მიგრაციული განწყობა და მიგრაციული გადაწყვეტილებები, ქანქარისებურ მიგრანტთა სოციალური მოთხოვნები).

ქანქარისებური მიგრაციის რაციონალიზაციის მიზნით საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს:

ს ა მ ტ რ ე დ ი ა ში:

1. დაწესდეს სამარშრუტო ტაქსის მიმოსვლა ტოლები — სამტრედია;
2. გაიხსნას სატროლეიბუსო მიმოსვლა სამტრედიასა და მის მომიჯნავე სოფლებს შორის;
3. გაიზარდოს სამტრედიასა და მის სასოფლო დასახლებებთან დამაკავშირებელი ავტობუსების რიცხვი;
4. ავტობუსის მძღოლებმა დაიცვან მოძრაობის გრაფიკი;
5. ავტობუსები ხაზზე გამოდიოდეს წესიერ მდგომარეობაში.

ხ ა შ ურ ში:

1. უფრო ხშირად მოძრაობდეს მატარებელი ხაშურსა და სურამს შორის;
2. შეკეთდეს საავტომობილო გზები, რომლითაც სასოფლო დასახლებები უკავშირდება ხაშურს;
3. სამარშრუტო ავტობუსები ხაშური — სურამი გადიოდეს მინის ქარხნის ტერიტორიაზე გავლით;
4. მოწესრიგდეს საავტობუსო მოძრაობის გრაფიკი;
5. პიკის საათებში გაიზარდოს ავტობუსების რიცხვი;
6. სურამის ახალ უბანში დაინიშნოს ახალი სამარშრუტო ავტობუსი;
7. გამოიყოს სამსახურებრივი ავტობუსი ხაშური — მექანიკური ქარხანა — ქვიშხეთი.
8. დაინიშნოს სამარშრუტო ტაქსი საგალანტერიო ფაბრიკამდე.

სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სასურველი მიმართულებით დაჩქარებული განვითარებისათვის მიგრაციის ქანქარისებური ფორმის მნიშვნელობას არსებითი ხასიათი აქვს. მიგრაციის ეს ფორმა:

1. ხელს უწყობს სოფლის მოსახლეობის სოციალურ- პროფესიული დონის ამაღლებას.
2. აჩქარებს ურბანიზაციის პროცესს საერთოდ და, კერძოდ, ურბანიზაციას სოფლად.
3. აქტიურდება ქალაქური ცხოვრების წესის ტრანსლირება სოფლად.
4. ხელს უწყობს შრომითი რესურსებით სამრეწველო-ინდუსტრიული დარგების უზრუნველყოფის პროცესს.

ქანქარისებური მიგრაცია აყენებს რიგ პრობლემებს:

1. ფერხდება სოფლის მეურნეობის განვითარება შრომითი რესურსების ნაკლებობის გამო.
2. გართულებულია სატრანსპორტო კავშირები.
3. ქანქარისებური მიგრაცია სტაციონარული მიგრაციის თავისებურ სტიმულატორს წარმოადგენს, რაც სოფლად ნეგატიური სოციალ-დემოგრაფიული პროცესების გაღრმავებას უწყობს ხელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მესამე

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაცია და სოციალური ადაპტაციის პრობლემა

1. კვლევის მეთოდი

საბჭოთა სოციოლოგიურ მეცნიერებაში მიგრაციის სოციალური ადაპტაციის პრობლემა ერთ-ერთი რთული და დაუმუშავებელი უბანია. მონოგრაფია, რომელიც სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონს (ციმბირი) შეეხება, ჯერჯერობით ერთადერთია[1] და უპირატესად დემოგრაფიული სტატისტიკის ხერხებით შესრულებულ გამოკვლევას წარმოადგენს (თუმცა მარტივი კითხვარიც არის გამოყენებული). ჩვენ შევეცადეთ ამ მიმართულებით კვლევის გაღრმავებას, შემუშავდა შესაბამისი კითხვარი, რომლის მიხედვით გამოკითხვა ჩატარდა გორში (1980 წ.), ხაშურში (1979 წ.) და სამტრედიაში (1979 წ.). უფრო ადრე თბილისში (1978 წ.).

კითხვარი ითვალისწინებს საქართველოს ქალაქში შემოსული მიგრანტის როგორც სოციალურ-დემოგრაფიული პორტრეტის დადგენას, ისე ადაპტაციური პროცესების ბუნების გარკვევას.

კითხვარი 8 ძირითადი ბლოკისაგან შედგება:

1. დემოგრაფიული ცნობები;
2. მიგრაციის ფორმა, მიმართულება, ინტენსივობა;
3. მიგრაციის მიზეზები;
4. მიგრანტის მიგრაციული და საწარმოო მობილობის დონე;
5. **სამუშაო სიტუაცია;**
6. სოციალურ-პროფესიული სიტუაცია და პროფესიული მობილობის შესაძლებლობები,
7. ადაპტაციის სოციალური პროცესები;
8. მიგრანტის განმეორებითი მიგრაციული გადაწყვეტილებების ინტენსივობა, მისი მიზეზები და ტერიტორიული მიმართულება.

კითხვარი ღია და დახურული კითხვებისაგან შედგება. ღია კითხვების სიჭარბე აუცილებელი გახდა, რათა რესპონდენტს მეტი შესაძლებლობა მისცემოდა შეუზღუდავად გადმოეცა თავისი აზრი დასმულ კითხვასთან დაკავშირებით.

---

[1] Заинчковская Ж. А., Новоселы в городах, М., 1972.

დაინტერესებულ მკვლევართათვის წარმოვადგენთ არსებითად ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარის ნიმუშს; ადაპტაციის სოციალური პროცესისადმი მიძღვნილი კითხვათა ბლოკები პირველად ჩვენ [illegible] მუშავეთ.

1. თუ შეიძლება გვიპასუხეთ, რამდენი წელია, რაც თბილისში ცხოვრობთ.....

2 თბილისში ცხოვრობთ:

დროებით.....

მუდმივად.....

3. თბილისში ჩამოსული ბრძანდებით:

ორგანიზებული შეგროვების წესით.....

გადმოგიყვანეს სამუშაოდ.....

სასწავლო დაწესებულების განაწილებით.....

საზოგადოებრივი მოწოდებით.....

თქვენი სურვილით.....

4. გვითხარით, საიდან ჩამოხვედით თბილისში:

რესპუბლიკა.....

ქალაქი.....

რაიონი.....

სოფელი.....

5. როდის (მიუთითეთ წელი) მიიღეთ გადაწყვეტილება გადმოსვლის შესახებ.....

6. როდის შესძელით (მიუთითეთ წელი) სისრულეში მოგეყვანათ ეს გადაწყვეტილება.....

7. თბილისში ჩამოხვედით:

მხოლოდ თქვენ.....

თქვენი ოჯახის რამდენიმე წევრი.....

მთელი ოჯახი.....

8. თუ თქვენი გადაწყვეტილება თბილისში გადმოსვლის შესახებ მაშინვე ვერ შეასრულეთ, რამ შეგიშალათ ხელი:

.....

9. თუ შეიძლება ვრცლად მიგვითითოთ, რა იყო თქვენი თბილისში გადმოსვლის მიზეზი, ან მიზეზები:.....

.....

10. რამდენი ხანია, რაც აღნიშნულ საწარმოში მუშაობთ:.....

.....

1. თუ ადრე სხვაგან გიმუშავიათ, გთხოვთ გვითხრათ სად და რამდენ ხანს:.....

1. .....

2. .....

3. .....
4. .....
5. .....

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. თუ სხვა წარმოება-დაწესებულებაში გიმუშავიათ, რა იყო ძირითადი მიზეზი თქვენი იქიდან წამოსვლის:.....

13. ამჟამად სადაც მუშაობთ, გაკმაყოფილებთ თუ არა:

	მაკმაყოფილებს	არც ისე მაკმაყოფილებს	არ მაკმაყოფილებს	მიძნელდება პასუხის გაცემა
1. სამუშაოს შინაარსი				
2. სამუშაოს შესაფერისობა კვალიფიკაციასთან, ცოდნასთან				
3. დატვირთულობა				
4. სამუშაოს შემოქმედებითი მხარე				
5. მუშაობაში დამოუკიდებლობა				
6. პროფესიული წინსვლის შესაძლებლობა				
7. შრომის პირობები (ხმაური, სისუფთავე და სხვ.)				
8. ხელფასის ოდენობა				
9. ხელმძღვანელებთან დამოკიდებულება				
10. ხელქვეითებთან დამოკიდებულება				
11. (კოლექტივი წევრებთან) ამხანაგებთან დამოკიდებულება				

14. გაქვთ თუ არა სპეციალობა:

დიახ.....

არა.....

ამჟამად ვეუფლები.....

15. თუ სპეციალობა გაქვთ, სად შეიძინეთ:.....

.....

16. როგორ ფიქრობთ, ამ საწარმოში შეიძლება თუ არა გქონდეთ ისეთი სამუშაო, რომელიც უფრო შეგეფერებათ:

კი.....

არა.....

მიძნელდება პასუხის გაცემა.....

17. თუ შეიძლება გვითხარით, ჩამოსვლის შემდეგ როგორ მოაწყვეთ თქვენი ცხოვრება.

კარგად.....

არც ისე კარგად.....

ცუდად.....
მიძნელდება პასუხის გაცემა.....

18. თბილისში გადმოსვლით სახელდობრ რას მოელოდით, რისი იმედი გქონდათ?

.....

19. გაგიმართლდათ თუ არა იმედი?

დიახ.....

არა.....

ნაწილობრივ.....

მიძნელდება პასუხის გაცემა.....

20. რისი იმედი არ გაგიმართლდათ?.....

.....

21. რისი იმედი გაგიმართლდათ:.....

.....

22. ხომ არ აპირებთ თბილისიდან საცხოვრებლად და სამუშაოდ სხვაგან გადასვლას:

დიახ.....

არა.....

ჯერ არ გადამიწყვეტია.....

23. თუ აპირებთ თბილისიდან სხვაგან გადასვლას, გვითხარით რა არის მიზეზი, ან მიზეზები.....

24. თუ აპირებთ თბილისიდან სხვაგან გადასვლას, გვითხარით სად:.....

25. როგორ შეაფასებთ თქვენს საცხოვრებელ პირობებს თბილისში:

საცხოვრებელი პირობები თბილისში	კარგია	არაუშავს	არ ვარგა	მიძნელდება პასუხის გაცემა
1. ბუნებრივ-კლიმატური პირობები				
2. საბინაო პირობები				
3. სავაჭრო მომსახურება				
4. საყოფაცხოვრებო მომსახურება				
5. სამედიცინო მომსახურება				
6. კულტურულ დაწესებულებათა მუშაობა				
7. სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა				
8. სხვა პირობები (დაასახელეთ და შეაფასეთ)				

ეროვნული
ბიბლიოთეკა

26. როგორ შეაფასებთ თქვენს საცხოვრებელ პირობებს ძველ საცხოვრებელში:

საცხოვრებელი პირობები	კარგია	არა უშავს	ან კარგი ან	მიძნელდება პასუხის გაცემა
1. ბუნებრივ-კლიმატური პირობები				
2. საბინაო პირობები				
3. სავაჭრო მომსახურება				
4. საყოფაცხოვრებო მომსახურება				
5. სამედიცინო მომსახურება				
6. კულტურულ დაწესებულებათა მუშაობა				
7. სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა				
8. სხვა პირობები (დაასახელეთ და შეაფასეთ)				

27. როგორია თქვენი საბინაო პირობები თბილისში
კომუნალური ბინის ნაწილი.....
იზოლირებული კომუნალური ბინა.....
საკუთარი სახლის ნაწილი.....
საკუთარი სახლი.....
ნაქირავები ბინა.....
საერთო საცხოვრებელი.....
ნათესავის ბინაში დროებით.....

28. როგორი იყო თქვენი პირობები ძველ საცხოვრებელში:
კომუნალური ბინის ნაწილი.....
იზოლირებული კომუნალური ბინა.....
საკუთარი სახლის ნაწილი.....
საკუთარი სახლი.....
ნაქირავები ბინა.....
საერთო საცხოვრებელი.....
ნათესავის ბინაში დროებით.....

29. მხოლოდ თქვენს სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული, სად ისურვებდით მუდმივ ცხოვრებას:.....

30. რატომ? .....

31. თუ შეიძლება გვითხარით თქვენი ეროვნება:.....
.....

32. სქესი:
მამრობითი.....

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდედრობითი.....

33. ასაკი:.....

34. ოჯახური მდგომარეობა:

უცოლო (გაუთხოვარი).....

ცოლიანი (გათხოვილი).....

ქვრივი.....

განქორწინებული.....

35. რამდენი სულისაგან შედგება თქვენი ოჯახი:.....

.....

36. თუ გყავთ შვილები, გვითხარით რამდენი:.....

მათ შორის სკოლამდელი ასაკისა:.....

37. რამდენია თქვენი საშუალო თვიური ხელფასი:.....

.....

38. თქვენი განათლება:

დაწყებითი.....

არასრული საშუალო.....

საშუალო.....

საშუალო სპეციალური.....

პროფტექნიკური.....

დაუმთავრებელი და დამთავრებული უმაღლესი.....

39. დაბადების ადგილი:

რესპუბლიკა.....

ქალაქი.....

რაიონი.....

სოფელი.....

40. სპეციალობა (პროფესია), რომლის მიხედვითაც ამჟამად მუშაობთ.....

უღრმეს მადლობას მოგახსენებთ!

2. საშუალო ქალაქში შემოსული მიგრანტის სოციალური და დემოგრაფიული პორტრეტი

საშუალო ქალაქში შემოსული მიგრანტის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების ცოდნა მიგრაციული ქცევის ფორმირების პროცესის გაგებაში არსებითი მნიშვნელობის მქონეა. ამიტომ აუცილებელია პირველ რიგში დავადგინოთ მიგრანტის ტიპური სახე.

სქესის მიხედვით მიგრანტთა უმრავლესობა მდედრობითს მიეკუთვნება. ეს აიხსნება, ჯერ ერთი, სამივე ქალაქში (გორი, სამტრედია, ხაშური) საფეიქრო და კვების მრეწველობის დარგების საწარ-

მოთა არსებობით, მეორე, სოფლიდან ქალაქში გათხოვების ხშირი შემ-თხვევებით (ცხრ 45).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 45

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება სქესის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

ქალაქი	სქესი			სულ
	მამრობითი	მდედრობითი	არ უპასუხა	
გორი	23,2	72,9	3,9	100,0
სამტრედია	36,4	63,6	—	100,0
ხაშური	39,0	58,5	2,5	100,0

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით ჭარბობენ ისინი, ვისაც ჯერ საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, მაგრამ საკუთარი ოჯახის მქონეთა ხვედრითი წონაც მაღალია (ცხრ. 46).

ცხრილი 46

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

ოჯახური მდგომარეობა	ქალაქი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
უცოლო (გაუთხოვარი)	52,5	61,8	54,2
ცოლიანი (გათხოვილი)	34,5	33,6	28,8
ქვრივი	4,0	2,7	5,9
განქორწინებული	2,8	1,8	8,5
არ უპასუხა	6,2	0,1	2,6
სულ	100,0	100,0	100,0

მიგრანტთა ასაკობრივი სტრუქტურაც ახალგაზრდულია. წამყვანია 30 წლამდე მიგრანტთა ხვედრითი წონა (გორში — 57,1%, სამტრედიაში — 47,3%, ხაშურში — 35,6%). შუახნის თაობის მიგრანტები განსაკუთრებით ხაშურში გვხვდება (ცხრ. 47).

მიგრანტთა ოჯახები ძირითადად ორ და სამსულიანია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მრავალსულიანი ოჯახები უფრო ნაკლებად არიან ორიენტირებულნი მიგრაციისადმი, ვიდრე მცირე ოჯახები (ცხრ. 48).

რეგიონალური დემოგრაფიული სიტუაცია გავლენას ახდენს ოჯახის ზომაზე. ამას ადასტურებს სამტრედიაში 2 სულიანი მიგრანტი ოჯახების მაღალი ხვედრითი წონა. მოდალურია ორშვილიანი ოჯახები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 47

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით 1979—1980 წწ. (%-ით)

ასაკობრივი ჯგუფი (წელი)	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
20-მდე	8,5	—	—
20—24	29,4	18,2	11,0
25— 29	19,2	29,1	24,6
30— 39	16,4	13,3	32,2
40— 49	6,8	9,1	13,6
50— 59	2,3	11,8	9,3
60 წელს ზევით	1,1	—	—
არ უპასუხა	16,3	18,2	9,3
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

აქაც შეიმჩნევა ადგილობრივი თავისებურებები, ხაშურში, მაგალითად, მიგრანტები შედარებით მრავალშვილიანები არიან.

ცხრილი 48

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება ოჯახის ზომის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

ოჯახის ზომა (სულადობა)	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
2	19,2	72,7	5,1
3	10,7	20,0	2,5
4	13,6	1,8	9,3
5 და მეტი	15,8	5,5	44,1
არ უპასუხა	40,7	—	39,1
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მიგრანტთა უმრავლესობის განათლების დონე საკმაოდ მაღალია. ყურადღებას იქცევს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური და ზოგადი საშუალო განათლების მქონეთა მაღალი ხვედრითი წონა (ცხრ. 49).

შრომის ხასიათი, განათლების მაღალ დონესთან ერთად, მიუთითებს იმაზე, რომ მიგრაცია საზოგადოების განვითარების მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, პიროვნების განვითარების საფუძველიცაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 49

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

განათლების დონე	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
დაწყებითი	1,1	1,8	1,8
არასრული საშუალო	1,7	4,5	4,5
ზოგადი საშუალო	40,7	20,0	20,0
საშუალო სპეციალური	15,8	23,6	23,6
პროფტექნიკური	6,2	4,5	4,5
დამთავრებული და დაუმთავრებელი უმაღლესი	31,6	42,7	42,7
არ უპასუხა	2,9	2,9	2,9
სულ	100,0	100,0	100,0

მიგრანტთა შორის მაღალია წარმოებასთან დაკავშირებული კვალიფიციური ფიზიკური შრომისა და წარმოებასთან დაკავშირებული გონებრივი შრომის ადამიანები (ცხრ. 50).

ცხრილი 50

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება შრომის ხასიათის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

შრომის ხასიათი	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
გონებრივი შრომა (წარმოებასთან დაკავშირებული)	31,6	41,3	44,6
გონებრივი შრომა (სოციალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული)	3,4	15,1	11,3
მექანიზებული შრომა	23,7	20,1	22,0
უპირატესად ხელით შრომა (კვალიფიციური)	13,6	10,2	10,1
უპირატესად ხელით შრომა (არაკვალიფიციური)	22,6	4,3	6,0
არ უპასუხა	5,1	9,0	6,0
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მიგრანტთა ხელფასის დონე უპირატესად 100—150 მანეთის ფარგლებში თავსდება. მცირეხელფასიანების ხვედრითი წონა მეტად მცირეა (ცხრ. 51).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 51

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება ხელფასის ოდენობის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

ხელფასის ოდენობა (მანეთი)	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
70-მდე	2,8	2,7	—
70—100	31,1	23,6	16,9
100—150	32,2	40,9	48,3
150—200	14,2	22,7	21,2
200 და მეტი	6,2	2,7	10,2
არ უპასუხა	13,5	7,4	3,4
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მიგრანტთა უმრავლესობა საშუალო ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო დასახლების მკვიდრია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ შეინიშნება სამტრედიაზე ვანის რაიონის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის რაიონების, ხაშურზე ზემო იმერეთისა და სამხრეთ საქართველოს რაიონების, გორზე ქარელისა და სამხრეთ ოსეთის რაიონების მოსახლეობის მიგრაციული დაწოლაც (ცხრ. 52).

ცხრილი 52

საშუალო ქალაქში შემოსული მიგრაციული ნაკადის მიმართულება 1979—1981 წწ. (%-ით)

მიგრაციული ნაკადის მიმართულება	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
იმერეთი	6,8	15,8	28,8
გურია	1,7	4,5	—
კახეთი	1,1	2,9	—
სამეგრელო	1,7	12,7	—
ქართლი	4,0	9,1	11,9
რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი	0,6	2,7	—
აჭარა	—	4,5	—
სამხრეთ-საქართველი	4,5	1,8	13,6
იმავე რაიონის სოფელი	53,1	35,1	39,8
სამხრეთ ოსეთი	2,8	—	—
რესპუბლიკის გარედან	7,9	3,6	1,7
თბილისი	1,7	3,9	2,1
არ უპასუხა	14,1	3,4	2,1
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მიგრანტთა უდიდესი უმრავლესობა ქართველია. დანარჩენთა შორის გამოირჩევა რუსი (გორი, ხაშური), სომეხი (ხაშური, სამტრედია), ოსი (გორი, ხაშური). მცირეა ებრაელისა და უკრაინელის ხვედრითი წონა (ცხრ. 53).

ცხრილი 53

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება ეროვნების მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

ეროვნება	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
ქართველი	71,2	86,4	73,7
რუსი	9,0	1,8	9,3
სომეხი	1,1	5,5	5,1
ებრაელი	—	0,9	0,8
ოსი	7,9	2,7	5,9
უკრაინელი	2,3	—	0,8
სხვა	1,1	0,9	1,7
არ უპასუხა	7,4	1,8	2,7
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა უმრავლესობამ მიგრაციული აქტი ინდივიდუალურად განახორციელა, თუმცა ხაშურში ოჯახით მიგრაციას საგრძნობი ხვედრითი წონა აქვს. არის ოჯახის ნაწილობრივი მიგრაციის შემთხვევები (ცხრ. 54).

ცხრილი 54

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება ინდივიდუალურ და ოჯახით მიგრაციის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

ჩამოვიდა	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
მხოლოდ თვითონ	71,2	53,6	47,5
ოჯახის რამდენიმე წევრი	6,2	12,7	7,6
ოჯახი მთლიანად	16,4	33,7	43,2
არ უპასუხა	6,2	—	1,7
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მიგრანტის სოციალური სახის სრული წარმოდგენისათვის აუცილებელია ვიცოდეთ რა არხით შემოვიდა ქალაქში საცხოვრებლად და

სამუშაოდ (მიგრაციის ფორმა), რამდენი წელია რაც ჩამოვიდა და რამდენი წელია მუშაობს აღნიშნულ საწარმოში. ფლობს თუ არა პროფესიას და თუ ფლობს სად დაეუფლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგრანტთა უმრავლესობა საშუალო ქალაქში ჩამოსახლებულია უკანასკნელი 3—5 წლის მანძილზე; საგრძნობია, აგრეთვე, 1—2 წლის ჩამოსულები, აგრეთვე 12 წელზე მეტი ხნის ჩამოსახლებულნი. როგორც ჩანს, ადაპტაციის ყველაზე მძიმე პერიოდი 6—10 წელია და ამ პერიოდში ხდება განმეორებითი მიგრაციული გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოსახლებისა და საწარმოში მუშაობის ხანგრძლივობის შედარებითი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საწარმოში მუშაობის ხანგრძლივობა უფრო მეტია, ვიდრე ცხოვრებისა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მიგრანტების ნაწილი ადრე ქანქარისებური მიგრაციის გზით იყო დაკავშირებული საშუალო ქალაქთან და შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვიდა (ცხრ. 55).

ცხრილი 55

საშუალო ქალაქებში შემოსულ მიგრანტთა განაწილება ჩამოსვლისა და საწარმოში მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

წელი	ქალაქი					
	გორი		სამტრედია		ხაშური	
	ცხოვრობს	საწარმოში მუშაობს	ცხოვრობს	საწარმოში მუშაობს	ცხოვრობს	საწარმოში მუშაობს
1—2	22,6	29,4	23,6	29,1	9,3	13,0
3—5	44,1	40,7	27,3	32,7	27,1	39,2
6—9	8,5	5,1	7,3	6,4	21,2	22,2
10—11	4,0	7,9	7,3	11,8	10,2	5,2
12 და მეტი	16,4	11,3	33,6	19,1	28,8	18,3
არ უპასუხა	4,4	5,6	0,9	0,9	3,4	1,7
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

მიგრანტთა შორის დიდი უმრავლესობა საშუალო ქალაქში გადმოვიდა საცხოვრებლად საკუთარი სურვილით და ინიციატივით. მაშასადამე, მიგრაციის თვითრეგულირებადი ფორმა საშუალო ქალაქის მოსახლეობის ფორმირების ერთ-ერთი არსებითი წყაროა. არც ისე უმნიშვნელო რაოდენობითაა სწავლის დამთავრების შემდეგ განაწილებით მოსული და სამუშაოდ გადმოყვანილი ახალგაზრდობა (ცხრ. 56).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 56

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება მიგრაციის ფორმის მიხედვით 1979 — 1981 წწ. (%-ით)

მიგრაციის ფორმა	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
ორგანიზებული შეგროვება	3,4	1,8	—
სამუშაოდ გადმოყვანა	7,3	10,0	8,5
სასწავლო დაწესებულების მიერ განაწილება	11,3	18,2	11,9
საზოგადოებრივი მოწოდება	3,4	1,8	—
საკუთარი სურვილი	71,2	68,2	76,3
არ უპასუხა	3,4	—	3,3
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მიგრანტთა 3—4 მეხუთედი სპეციალობას ფლობს. სოფლიდან შემოსულ მიგრანტთა ერთი ნაწილი ან არ ფლობს რაიმე პროფესიას, ან ამჟამად უშუალოდ წარმოებაში ეუფლება (ცხრ. 57).

ცხრილი 57

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება სპეციალობის ფლობის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

სპეციალობის ფლობა	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
სპეციალობას ფლობს	67,8	81,8	78,8
სპეციალობა არა აქვს	20,3	17,3	16,9
ამჟამად ეუფლება სპეციალობას	7,4	0,9	2,5
არ უპასუხა	4,5	—	1,8
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

აღსანიშნავია, რომ გორში შემოსულ მიგრანტთაგან ყველაზე მეტმა სპეციალობა თვითონ გორში შეიძინა, შემდეგ თბილისში, ხოლო სამტრედიასა და ხაშურში შემოსულმა — უპირატესად თბილისში და შემდეგ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. გორში შემოსულ მიგრანტთაგან რესპუბლიკის გარეთ სპეციალობა შეიძინა 5,1%-მა (ცხრ. 58).

ამრიგად, ჩვენს წინაშე წარმოდგენილია საშუალო ქალაქში შემოსული თანამედროვე მიგრანტი ასაკის, სქესის, ეროვნების, ოჯახური მდგომარეობის, განათლების, ოჯახის ზომის, მიგრაციის ფორმის, მიმართულების, პროფესიული ცოდნის, ხელფასის ოდენობის მიხედვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრილი 58

საშუალო ქალაქში შემოსული მიგრანტთა განაწილება სპეციალობის შეძენის ადგილის მიხედვით 1979—1980 წწ. (%-ით)

სპეციალობის შეძენის ადგილი	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
ძველი საცხოვრებელი	1,7	5,5	4,2
თბილისი	9,6	30,9	40,7
რესპუბლიკის სხვა ქალაქი	5,1	11,8	3,4
სადაც ამჟამად ცხოვრობს	33,3	25,5	27,9
რესპუბლიკის გარეთ	5,1	—	—
არ უპასუხა ან არა აქვს სპეციალობა	45,2	26,3	23,8
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მიგრანტთა ასეთი სტრუქტურა მიგვითითებს იმ დიდი სოციალური და დემოგრაფიული რეზერვის არსებობაზე, რომელიც საშუალო ქალაქს გააჩნია და რომელსაც, როგორც ირკვევა, მაქსიმალურად ვერ იყენებს. მიგრანტთა დამაგრების კოეფიციენტი, როგორც სათანადო აღგილას ვნახეთ, ნათლად გვაჩვენებს იმაში, რომ საშუალო ქალაქში შემოსული მიგრანტთა ნაწილი, ადგილობრივ მკვიდრთან ერთად, ტოვებს საშუალო ქალაქს და სხვაგან მიილტვის საცხოვრებლად და სამუშაოდ. აქ მთელი სიმწვავით დგება საქართველოს საშუალო ქალაქებში მიგრანტთა სოციალური ადაპტაციის ნორმალიზაციის საკითხი.

3. მიგრანტის სოციალური ადაპტაციის პროცესები

შევეცადოთ მიგრანტის სოციალურ ადაპტაციასთან დაკავშირებით გავარკვიოთ პროცესის ძირითადი მაჩვენებლები და თავისებურებები, რათა მოვლენა უფრო სრულად და ცხოვრებისეულად წარმოვიდგინოთ.

რამ უბიძგა ადამიანს, რა გარემოებებმა აიძულა იგი მიეღო მიგრაციული გადაწყვეტილება საშუალო ქალაქში ჩამოსვლის შესახებ? (ცხრ. 59).

როგორც ვხედავთ, ჩამოსახლების მიზეზთა იერარქიაში წამყვანი ადგილი უჭირავს ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას, შვილების მომავალზე ზრუნვას, სოციალური დაწინაურებისაკენ ლტოლვას.

ამასთან ერთად, შეინიშნება ქალაქის სპეციფიკის მნიშვნელობაც მიგრაციული მიზიდულობის მხრივ. მაგალითად, უმაღლესი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრილი 59

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება მიგრაციის მიზეზების მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

მიგრაციის მიზეზი	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
სპეციალობის შეძენა, საინტერესო სამუშაო	2,3	1,8	1,7
უკეთესი სამუშაო პირობები	28,8	21,8	22,0
სწავლა უმაღლესი, საშ. სპეციალურ საასწავლებელში და მიღებული სპეციალობით მუშაობა	22,0	1,8	1,7
მუშაობა განაწილების მიხედვით, სამუშაოდ გადმოყვანა	9,6	20,9	15,3
ოჯახური მდგომარეობა, შვილების მომავალზე ზრუნვა	4,0	17,3	11,0
ოჯახის შექმნა, საბინაო საკითხის მოწესრიგება	6,2	25,5	31,4
ცხოვრების უკეთესი პირობები	3,4	3,4	2,5
უპირს პასუხის გაცემა	1,1	2,7	6,8
სხვა	2,2	—	—
არ უპასუხა	20,4	4,8	7,6
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

საშუალო სპეციალური სასწავლებლების არსებობის გამო გორი განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენს შემომავალ მიგრაციულ ნაკადზე.

ზემოაღნიშნულ ზოგად მაჩვენებლებთან ერთად კვლევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს საკუთრივ სოციალური მოლოდინის სტრუქტურას. ამრიგად, მიგრაციული გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, სოციალური მოლოდინის სფეროში ექცევა. იმედები, რომელიც მიგრაციულ განზრახვასა და აქტს უდევს საფუძვლად, ზოგჯერ ნაწილობრივ მართლდება, ზოგჯერ — მთლიანად, სახანდისხან კი მიგრაციული ნაბიჯი მცდარი აღმოჩნდება. ცხადია, საშუალო ქალაქებში არ არის მოლოდინის რეალიზაციის ერთნაირი შესაძლებლობები, ამიტომ იმედის გამართლების მაჩვენებლებიც განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ქალაქებში ყველაზე მეტად ურბანიზებულ ქალაქს გორი წარმოადგენს, როგორც ჩანს, ადაპტაციური სიძნელეები ყველაზე მეტად აქ იჩენს თავს (ცხრ. 60).

აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს მიგრანტთა იმედის გამართლების არც თუ მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე. როგორც ითქვა, ეს განსაკუთრებით გორს შეეხება.

ცხრილი 60

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება მიგრაციასთან დაკავშირებული იმედების გამართლების მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

იმედების გამართლება	ქალაქი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
იმედი გაუმართლდა	39,0	58,2	49,2
იმედი არ გაუმართლდა	20,9	7,3	18,6
იმედი ნაწილობრივ გაუმართლდა	23,7	24,5	25,4
უძნელდება პასუხის გაცემა	9,1	10,0	5,9
არ უპასუხა	7,3	—	0,9
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

იმედის გაუმართლებლობა ძირითადად უკავშირდება შემდეგს: „ვერ გააგრძელა სწავლა", „არ მუშაობს სპეციალობის მიხედვით", „ვერ მიიღო ბინა", „ოჯახი ვერ შექმნა, ან ოჯახმა არ გაუმართლა".

უნდა აღინიშნოს, რომ სოციოლოგიური კითხვარის რეალიზაციის დროს შეინიშნება ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერი, რომლის გადალახვა ხანდისხან ძნელდება. ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა ამგვარმა დაბრკოლებამ, რაც გამოიხატა იმაში, რომ ამ ტიპის კითხვებს მნიშვნელოვანმა ნაწილმა დუმილით უპასუხა (ცხრ. 61).

ცხრილი 61

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება სოციალური მოლოდინის გამართლების მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

იმედი არ გამართლდა	ქალაქი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
ვერ შეიძინა სპეციალობა, კვალიფიკაცია ვერ აიმაღლა	0,6	5,5	0,8
რასაც ელოდა, არაფერმა არ გაუმართლა	4,0	1,8	1,7
არ მუშაობს სპეციალობის მიხედვით, სამუშაო პირობები არ აკმაყოფილებს	3,4	3,6	3,4
მატერიალურად არ არის უზრუნველყოფილი	0,6	—	0,8
ვერ შექმნა ოჯახი, ან ოჯახმა არ გაუმართლა	1,1	3,6	3,4
ქალაქით არ არის კმაყოფილი	—	—	0,8
სწავლა ვერ გააგრძელა	5,7	4,5	1,7
ბინა ვერ მიიღო	2,8	5,5	7,6
არ უპასუხა, ან იმედი გაუმართლდა	81,8	75,5	79,8
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

სოციალური მოლოდინის სტრუქტურაში, რომლის დადგენას კვლევაში საკონტროლო მნიშვნელობაც ჰქონდა, წამყვანია ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების სურვილი, ოჯახის შექმნა და დასაქმება სპეციალობის მიხედვით (ცხრ. 62).

ცხრილი 62

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება სოციალური მოლოდინის სტრუქტურის მიხედვით 1979 — 1981 წწ. (%-ით)

სოციალური მოლოდინი	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
მუშაობა სპეციალობის მიხედვით	5,7	9,1	8,5
კვალიფიკაციის ამაღლება, სპეციალობის შეძენა	1,2	10,9	4,2
მეტი ანაზღაურება	2,3	0,9	1,7
ცხოვრების უკეთესი პირობები	9,6	15,5	10,9
ოჯახის შექმნა	2,8	15,5	10,2
უკეთესი სამუშაო პირობები	6,2	23,6	16,9
სწავლის გაგრძელება	13,6	2,7	2,5
ბინის მიღება	5,7	—	—
არ უპასუხა	52,9	21,8	45,1
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

ამ შემთხვევაშიც ჩანს, რომ სოციალურ მოლოდინთან დაკავშირებული კითხვა ბევრმა უპასუხოდ დატოვა. მაშასადამე, კითხვები, რომლებიც გარკვეულ ღრმა და რეტროსკოპულ გააზრებას მოითხოვს ხშირად უპასუხოდ რჩება. ეს, ერთი მხრივ, გამოსაკითხი მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკვლევებისადმი ადაპტაციური სიძნელეებით აიხსნება, მეორე მხრივ, მოსახლეობის ერთი ნაწილის მეცნიერული კვლევის საჭიროებებისადმი ერთგვარი ინდიფერენტიზმით, რაც მოითხოვს დროს, სოციოლოგიური კვლევის ტრადიციების შექმნასა და დამკვიდრებას და საჭირო მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას.

სოციალური მოლოდინის გამართლება, მიგრაციით გამოწვეული იმედების აღსრულება, ცხადია, მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სოციალური ადგილგადანაცვლების კონკრეტულ ფორმაში გამოიხატა: დაეუფლა სპეციალობას, აიმაღლა კვალიფიკაცია, მიიღო ბინა, შექმნა ოჯახი, თანამდებობრივად დაწინაურდა, შრომისა და ცხოვრების პირობები გაიუმჯობესა და, შესაბამისად, ადრინდელ საცხოვრებელთან შედარებით მათი ახალი საცხოვრებლით კმაყოფილების დონეც ამაღლდა.

სამუშაოს პირობებით კმაყოფილების დონე ოპტიმალური მაჩვენებლებით არ გამოირჩევა: ეს შეეხება როგორც შრომის პირობებს, ისე პროფესიული დაწინაურებისა და შრომით კოლექტივში ფსიქოლოგიურ კლიმატს (ცხრ. 63).

ცხრილი 63

საქართველოს საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა სამუშაო პირობებით კმაყოფილების დონე 1979—1981 წწ. (%-ით)

სამუშაო პირობები	კმაყოფილების მაჩვენებელი		
	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
სამუშაოს შინაარსი	61,4	78,0	70,0
სამუშაოს შესაფერისობა კვალიფიკაციასთან	56,5	66,0	69,0
დატვირთულობა	56,5	66,0	64,0
სამუშაოს შემოქმედებითი მხარე	50,5	48,0	59,0
მუშაობაში დამოუკიდებლობა	66,0	53,0	59,0
პროფესიული წინსვლის შესაძლებლობა	37,8	36,0	44,0
შრომის პირობები (ხმაური, სისუფთავე და სხვ.)	38,5	47,0	40,0
ხელფასის ოდენობა	41,9	49,0	26,0
ხელმძღვანელებთან დამოკიდებულება	74,4	75,0	74,0
ხელქვეითებთან დამოკიდებულება	76,2	62,0	54,0
კოლექტივის წევრებთან დამოკიდებულება	97,7	78,0	28,0

მიგრაციული გადაწყვეტილების ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამუშაო პირობებით კმაყოფილების დონეს. ამ მხრივ დიდი მასშტაბის სოციალური რეზერვები გამოუყენებელია. შრომის პირობები არსებით გაუმჯობესებას მოითხოვს გორის ბამბეულის კომბინატში, ხაშურის მინის ტარის ქარხანაში, ხაშურის მექანიკურ ქარხანაში, სამტრედიის ზოგიერთ საწარმოში. არსებით ყურადღებას მოითხოვს ბრძოლას ხმაურთან, მტვერთან, შრომის სწორი ორგანიზაცია, სამუშაო ადგილის რაციონალური მოწესრიგება, მიკროკლიმატის კომფორტი და სხვა.

რესპონდენტებმა შეაფასეს საცხოვრებელი პირობების ცალკეული შემადგენელი ელემენტები ძველი და ახალ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დადასტურდა, რომ სამტრედიაში ძველ საცხოვრებელთან შედარებით ნაკლებ დადებითად შეფასდა: ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურება. უფრო მაღალია სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობის მაჩვენე-

ბელი, აგრეთვე საბინაო პირობები. გორში მხოლოდ რამდენადმე მაღალია სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა და კულტურის დაწესებულებათა მუშაობის დონე.

ხაშურში უფრო მეტად დადებითად შეფასდა ძველ საცხოვრებელთან შედარებით მხოლოდ ბუნებრივ-კლიმატური პირობები, დანარჩენი ელემენტები მკვეთრად ნაკლები დადებითი ნიშნით ხასიათდება (ცხრ. 64).

ცხრილი 64

საქართველოს საშუალო ქალაქებში შემოსულ მიგრანტთა საცხოვრებელი პირობები ძველი და ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 1979 — 1981 წწ. (%-ით)

საცხოვრებელი პირობები	დადებითი შეფასების მაჩვენებელი					
	ქ ა ლ ა ქ ი					
	გორი		სამტრედია		ხაშური	
	ახალი საცხოვ.	ძველი საცხოვ.	ახალი საცხოვ.	ძველი საცხოვ.	ახალი საცხოვ.	ძველი საცხოვ.
ბუნებრივ-კლიმატური პირობები	17,0	83,1	41,8	50,9	76,3	61,9
საბინაო პირობები	38,4	56,3	51,8	50,9	44,9	58,5
სავაჭრო მომსახურება	22,3	32,2	21,8	35,5	5,9	37,3
საყოფაცხოვრებო მომსახურება	34,2	33,6	22,7	40,9	11,9	35,6
სამედიცინო მომსახურება	38,1	42,6	45,5	47,3	23,7	39,0
კულტურის დაწესებულებათა მუშაობა	50,4	38,1	42,7	43,6	9,3	38,1
სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა	35,6	28,0	38,2	21,4	13,6	27,1
სხვა	58,8	47,1	9,1	10,0	4,2	7,6

ხაშურში არ ჩანს, რომ მიგრანტებს გაეუმჯობესებინათ საბინაო პირობები, პირიქით, აქ ბევრად უფრო მეტია ნაქირავებ ბინაში, ვიდრე ძველ საცხოვრებელში იყო. სამტრედიაში პირიქით (ცხრ. 65). გორში საბინაო პირობების მხრივ მიგრანტთა მდგომარეობა არ არის კარგი: აქ უფრო მეტი ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში და ნაქირავებ ბინაში.

სინთეზური მაჩვენებლის მიხედვით საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთაგან თავისი ცხოვრება კარგად მოაწყო: სამტრედიაში 72,7%-მა, ხაშურში — 55,1%-მა, ხოლო გორში — 44,1%-მა. აქ კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ გორში მიგრაციული სიძნელეები განსაკუთრებით იჩენს თავს (ცხრ. 66).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 65

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა საბინაო პირობები ძველსა და ახალ საცხოვრებელში 1979 — 1981 წწ. (%-ით)

საბინაო პირობები	ქალაქი					
	გორი		სამტრედია		ხაშური	
	ძველი საცხოვ.	ახალი საცხოვ.	ძველი საცხოვ.	ახალი საცხოვ.	ძველი საცხოვ.	ახალი საცხოვ.
კომუნალური ბინის ნაწილი	3,4	4,5	7,3	6,4	8,5	5,9
იზოლირებული კომუნალური ბინა	11,8	17,0	10,9	21,8	19,5	18,6
საკუთარი სახლის ნაწილი	18,1	6,3	6,4	9,1	16,9	5,9
საკუთარი სახლი	47,5	14,1	50,0	46,4	39,0	37,3
ნაქირავები ბინა	4,5	24,3	12,7	6,4	8,5	17,8
საერთო საცხოვრებელი	3,4	13,0	6,4	6,4	0,8	10,2
ნათესავთან დროებით	5,1	14,1	4,6	1,8	4,2	1,7
არ უპასუხა	6,2	6,7	1,7	1,7	2,6	2,6
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

ცხადია, ახალ საცხოვრებელ ადგილზე პირადი ცხოვრების კარგად მოწყობაზე გავლენას ახდენს ჩამოსახლების დროის ხანგრძლივობა —

ცხრილი 66

როგორ მოაწყო საშუალო ქალაქში შემოსულმა მიგრანტმა პირადი ცხოვრება 1979—1981 წწ. (%-ით)

როგორ მოაწყო ცხოვრება	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
კარგად	44,1	72,7	55,1
არც ისე კარგად	41,2	20,0	28,8
ცუდად	6,2	1,8	6,8
უძნელდება პასუხის გაცემა	4,5	5,5	8,5
არ უპასუხა	4,0	—	0,8
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

რაც უფრო დიდი დროა გასული ჩამოსახლებიდან, მით უფრო მეტია მათი ხვედრითი წონა, ვინც კარგად მოაწყო პირადი ცხოვრება (ცხრ. 67).

ცხრილი 67

რესპონდენტთა განაწილება ახალ საცხოვრებელში ჩამოსახლების დროისა და პირადი ცხოვრების მოწყობის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

ცხოვრება კარგად მოაწყო	ჩამოსახლების ხანგრძლივობა (წელი)				
	1—2	3—5	6—9	10—11	12 და მეტი
გორი	36,8	48,8	40,0	42,9	41,4
სამტრედია	50,0	75,9	88,9	75,0	81,1
ხაშური	36,6	50,0	52,0	66,7	66,7

მიგრაციის ფორმის მიხედვით პირადი ცხოვრება ყველაზე კარგად მოაწყეს სამუშაოდ გადმოყვანილებმა (გორში — 53,8%, სამტრედიაში — 81,8%, ხაშურში — 90,0%).

ირკვევა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში უფრო დიდია იმათი ხვედრითი წონა, ვინც კარგად მოაწყო პირადი ცხოვრება, ვიდრე მამაკაცებში. ამასთან ერთად, დაოჯახებულებში უფრო მეტია ამ მხრივ კმაყოფილი (ცხრ. 68).

ცხრილი 68

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება ოჯახური მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების კარგად მოწყობის მიხედვით. 1979—1981 წწ. (%-ით)

ოჯახური მდგომარეობა	ცხოვრება მოაწყო კარგად		
	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
უცოლო (გაუთხოვარი)	32,5	12,5	25,2
ცოლიანი (გათხოვილი)	66,3	87,5	74,8
ქვრივი	1,2	—	—
განქორწინებული	—	—	—
არ უპასუხა	—	—	—
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

ამასვე ადასტურებს მონაცემი, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ ინდივიდუალურად ჩამოსულ მიგრანტთა შორის ყველაზე ნაკლებია იმათი წილი, ვინც კარგად მოაწყო თავისი ცხოვრება ახალ საცხოვრებელ ადგილზე და ყველაზე მეტი კი — ვინც ოჯახით ჩამოვიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განმეორებითი მიგრაციული ტენდენციები საშუალო ქალაქში

საშუალო ქალაქში მიგრირებულთა სოციალური მოლოდინის გამართლებისა და სოციალური ადაპტაციის წარმოდგენილ მაჩვენებელთა ფართო სპექტრი მიგრაციული სიტუაციის ნათელ სურათს გვიხატავს, რომლის ფონზე უნდა განვიხილოთ აღნიშნული რანგის ქალაქების არამკვიდრი მოსახლეობის განმეორებითი მიგრაციული გადაწყვეტილების ფორმირების პროცესი.

კვლევის პროცესში ბუნებრივად დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მყარია შემოსული მიგრაციული ნაკადი, ხომ არ იჩენს თავს განმეორებითი მიგრაცია.

როგორც ირკვევა, იმიგრანტთა ერთი ნაწილი კვლავ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას (ცხრ. 69).

ცხრილი 69

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება განმეორებითი მიგრაციული განზრახვის მიხედვით 1979 — 1981 წწ. (%-ით)

მიგრაციული განზრახვა	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	13,0	9,1	11,9
არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	55,4	63,6	61,9
ჯერ არ გადაუწყვეტია	26,0	23,6	22,9
არ უპასუხა	5,6	3,7	3,3
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

მაშასადამე, გამოკითხულ მიგრანტთა უმრავლესობა (ნახევარზე მეტი) არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას, ხოლო თითქმის მეხუთედ მიღებული აქვს მიგრაციული გადაწყვეტილება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მეხუთედზე ცოტა მეტს ჯერ არ მიუღია ასეთი გადაწყვეტილება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გამოკითხულთა ამ ნაწილს შესაძლებელია მომავალში გაუჩნდეს საცხოვლებელი ადგილის გამოცვლის სურვილი.

მიგრაციულ გადაწყვეტილებას წინ უსწრებს მიგრაციული განწყობა. გამოკითხულთა 36,4% სამტრედიაში და 29,7%-მა ხაშურში უპასუხა, რომ მათზე რომ იყოს დამოკიდებული, ისურვებდნენ მუდმივად ეცხოვრათ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. საგრძნობმა ნაწილმა დაასახელა თბილისი, აგრეთვე სხვა ქალაქი (ცხრ. 70).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 70

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება სასურველი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

სად ისურვებდა მუდმივ ცხოვრებას	ქ ა ლ ა ქ		
	გორი	სამტრედია	ხაშური
სადაც ადრე ცხოვრობდა	9,6	7,3	10,2
სადაც ამჟამად ცხოვრობს	32,2	36,4	29,7
სოფელში, რომელიც არ არის მშობლიური	—	2,7	0,8
დიდ ქალაქში	11,9	14,5	13,6
რესპუბლიკის გარეთ	9,6	5,5	5,1
სადაც კარგი პირობები იქნება	—	1,8	1,7
თბილისში	9,6	17,3	25,4
არ უპასუხა	27,1	14,5	13,5
ს უ ლ	100,0	100,0	100,0

რესპუბლიკის გარეთ ცხოვრება სასურველად არაქართველმა რესპონდენტებმა მიიჩნიეს.

მეტად დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი ძველი საცხოვრებელი ადგილი.

განათლების დონე გავლენას ახდენს საცხოვრებელი ადგილის სასურველობაზე. უმაღლესი განათლების მქონენი უფრო მეტად თბილისს ირჩევენ სასურველ საცხოვრებელ ადგილად.

მიგრაციული გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს ახალ საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრების ხანგრძლივობა. ვინც უფრო დიდი ხანია აღნიშნულ ქალაქში ცხოვრობს, ის უფრო ნაკლებად აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას (ცხრ. 71).

ცხრილი 71

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება მიგრაციული გადაწყვეტილებებისა და სოციალური მოლოდინის გამართლების მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას არ აპირებს	ჩამოსახლების ხანგრძლივობა (წელი)				
	1—2	3—5	6—9	10—11	12 და მეტი
გორი	40,0	55,3	66,7	85,7	85,7
სამტრედია	42,3	66,7	66,7	75,0	72,2
ხაშური	18,2	52,5	60,0	66,7	80,6

მიგრაციული გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს იმიგრაციის ფორმა. სასწავლო დაწესებულებების განაწილებით ოჯახებსულთა შორის უფრო მეტია საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის მსურველი. ვისაც მიგრაციის მოლოდინი გაუმართლდა, ის ნაკლებად აპირებს კვლავ გამოიცვალოს საცხოვრებელი ადგილი (ცხრ. 72).

ცხრილი 72

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება მიგრაციული გადაწყვეტილებისა და სოციალური მოლოდინის გამართლების მიხედვით 1979—1981 წწ (%-ით)

მიგრაციული განზრახვა	იმედის გამართლება					
	გორი		სამტრედია		ხაშური	
	გამართლდა	არ გამართლდა	გამართლდა	არ გამართლდა	გამართლდა	არ გამართლდა
აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	9,0	30,6	7,8	12,5	5,2	9,1
არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	64,2	26,8	75,0	25,0	79,3	40,9
ჯერ არ გადაუწყვეტია	26,8	30,5	15,6	62,0	13,8	45,5
არ უპასუხა		12,1	1,6	—	1,7	4,5
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

შრომის ხასიათი გავლენას ახდენს მიგრაციული განზრახვის ფორმირებაზე. გონებრივი შრომის ადამიანები უფრო მეტად იჩენენ მიგრაციულ აქტივობას.

მიგრანტი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს საცხოვრებელი ადგილის კვლავ გამოცვლა, ძირითადად აპირებს თბილისში გადასვლას, მცირე ნაწილი უბრუნდება ძველ საცხოვრებელს (ცხრ. 73).

ცხრილი 73

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტთა განაწილება მიგრაციული გადაწყვეტილებისა და მიგრაციის მიმართულების მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

გადაწყვეტილი აქვს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა	მიგრაციის მიმართულება			
	ადრინდელი საცხოვრებელი ადგილი	თბილისი	სხვა, არ აპირებს, არ უპასუხა	ს უ ლ
გორი	4,5	0,6	94,9	100,0
სამტრედია	1,8	7,3	90,9	100,0
ხაშური	3,3	8,4	88,3	100,0

მიგრაციული გადაწყვეტილების მიღების მიზეზიდან აღსანიშნავია: მუშაობა სპეციალობის მიხედვით, შრომის უკეთესი პირობები, უბრუნდება მშობლიურ გარემოს.

ამრიგად, საშუალო ქალაქებში შემოსული მიგრაციული ნაკადის, კერძოდ, მიგრანტთა ადაპტაციის სოციალური საკითხების კონკრეტული კვლევის შედეგები იძლევა შესაძლებლობას გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. იმიგრაციული ნაკადი ძირითადად შემოდის რაიონის სასოფლო დასახლებებდან, აგრეთვე მოსაზღვრე რაიონების სასოფლო დასახლებებიდან. იმიგრანტთა ნაწილი შემოსულია დიდი ქალაქიდან სასწავლო დაწესებულების განაწილების ან სამუშაოდ გადმოყვანის წესით;

2. იმიგრაციით გამოწვეული სოციალური მოლოდინის გამართლება ძირითადად დასაქმების სფეროსთან არის დაკავშირებული. იმიგრანტთა დაახლოებით ნახევარს (სამტრედიაში უფრო მეტს) გაუმართლდა, რასაც ელოდა მიგრაციით.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისა და კვალიფიკაციის ამაღლების იმედები ნაკლებად არის გამართლებული. ხაშურში საბინაო პირობები იმიგრანტთა დიდი ნაწილისათვის არ გაუმჯობესებულა.

3. საცხოვრებელი და სამუშაო პირობებით კმაყოფილების დონე არ არის მნიშვნელოვნად მაღალი.

4. იმიგრანტთა ნაწილი (დაახლოებით მეათედი) აპირებს ხელმეორედ გამოიცვალოს საცხოვრებელი ადგილი.

ამრიგად, საშუალო ქალაქებში შემოსული იმიგრაციული ნაკადი აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ქალაქების ეკონომიკური აქტივიზაციისათვის. აღნიშნულ მიგრაციულ პროცესს ძირითადად სტიქიური ხასიათი აქვს, ამიტომ თავს იჩენს რიგი ადაპტაციური სიძნელეები. საშუალო ქალაქების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ აქტივიზაციაში ჩამორჩენა, ან შეფერხება უარყოფით გავლენას ახდენს მიგრაციული ნაკადის ეფექტიანად გამოყენებაზე.

საშუალო ქალაქში შემოსულ მიგრანტს ხელი უნდა შევუწყოთ, რათა, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გაიაროს ადაპტაციის პერიოდი. დაჩქარდეს მისი კვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბება. იგი არ უნდა მოხვდეს ისეთ სიტუაციაში, როცა მიგრანტი გ ა ო რ ე ბ ა ს განიცდის და კონფლიქტურ გარემოში ხვდება. ცხოვრებისა და შრომის პირობები მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს, რომ იგი ურბანიზებული გარემოს სრულფასოვან წევრად იქცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო საცხოვრებელში მცხოვრები უთუოდ მიგრანტია, ამასთანავე, უპირატესად საკუთარი ოჯახის არმქონე. საერთო საცხოვრებელში მუშათა ცხოვრების შესწავლა საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავწვდეთ მიგრაციული ტენდენციების ფორმირების სოციალურ ასპექტებს. ლენინგრადის „კიროვის ქარხნის" გაერთიანებაში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მუშათა დაუკმაყოფილებლობა მომარაგების სისტემით და მომსახურებით, საცხოვრებლის შინაგანაწესით, მაცხოვრებელთა შორის ურთიერთობით, საცხოვრებელში ადგილების განაწილებით, დიდად უწყობს ხელს საწარმოში მუშათა კადრების დესტაბილიზაციას[2].

გორის ბამბეულის კომბინატის საერთო საცხოვრებელში მოპოვებული მასალების მიხედვით გამოირკვა, რომ საცხოვრებელში თითქმის მხოლოდ ქალები ცხოვრობენ, მათგან სჭარბობენ 30 წლამდე ასაკის წარმომადგენლები, თუმცა შუახნისანიც საკმაოდ არიან (ცხრ. 74).

ცხრილი 74

საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ მიგრანტთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით. გორის ბამბეულის კომბინატი 1981 წ. (%-ით)

ასაკობრივი ჯგუფი (წელი)	%
20-მდე	9
20—24	21
25—29	17
30—39	38
40—49	14
50—59	1
სულ	100

საერთო საცხოვრებელში მყოფთაგან უმრავლესობას ზოგადი საშუალო განათლება აქვს. მოსალოდნელზე მცირეა პროფტექნიკური და საშუალო სპეციალური განათლების მქონენი (ცხრ. 75).

ეროვნების მიხედვით 80% ქართველია, 12%—რუსი, 7%—ოსი, 1%—სომეხი. აღსანიშნავია, რომ უმეტესობა მეზობელი რაიონისა და იმავე რაიონის სოფლებიდან არის ჩამოსული. ყურადღებას იქცევს

[2] Ющенко А.Н., Молодежь рабочих общежитий: Проблемы и решения, Ленинград, 1976, с. 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 75

საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ მიგრანტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით. გორის ბამბეულის კომბინატი 1981 წ. (%-ით)

განათლების დონე	%
არასრული საშუალო	25
ზოგადი საშუალო	52
საშუალო სპეციალური	5
პროფტექნიკური	15
დამთავრებული და დაუმთავრებელი უმაღლესი	3
ს უ ლ	100

ისიც რომ ჩამოსულები არიან სამხრეთ საქართველოდან, დასავლეთ საქართველოდან და რესპუბლიკის გარე რაიონებიდანაც.

ცხრილი 76

საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ მიგრანტთა განაწილება მიგრაციული ნაკადის მიმართულების მიხედვით.
გორის ბამბეულის კომბინატი 1981 წ. (%-ით)

მიგრაციული ნაკადის მიმართულება	%
სამხრეთ საქართველო	11
გორის რაიონის სოფელი	14
მეზობელი რაიონის ქალაქი	8
მეზობელი რაიონის სოფელი	28
აღმოსავლეთ საქართველო	11
დასავლეთ საქართველო	15
სამხრეთ ოსეთი	1
რესპუბლიკის გარე რაიონი	12
ს უ ლ	100

საერთო საცხოვრებელში ცხოვრების ხანგრძლივობის მიხედვით ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით წარმოდგენილია 1 წლამდე მცხოვრები და 15 წელზე მეტი ხნის წინ მოსულნი, რაც აიხსნება, ერთი მხრივ, ახალგაზრდობის სურვილით — დაეუფლოს პროფესიას და სწავლა გააგრძელოს და, მეორე მხრივ, შუახნის ქალების ცხოვრების

თავისებურებებით (ისინი აღარ თხოვდებიან და არც არსად წასასვ-
ლელი არა აქვთ) (ცხრ. 77).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 77

მიგრანტთა განაწილება საერთო საცხოვრებელში ცხოვრების ხანგრძლივობის მიხედვით
გორის ბამბეულის კომბინატი 1981 წ. (%-ით)

საერთო საცხოვრებელში ცხოვრების ხანგრძლივობა (წელი)	%
1 წლამდე	23
1—2	14
3—4	12
5—10	11
11—14	18
15 და მეტი	22
სულ	100

პროფესიის მიხედვით ძირითადად მრთველები და მქსოველები არიან.

ამრიგად, საერთო საცხოვრებლის ბინადარ მიგრანტთა ცხოვრების გაცნობა გვიჩვენებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოფლის მოსახლეობის მისწრაფებას, იმუშაოს და იცხოვროს ქალაქში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას საკუთარი საცხოვრებელი ბინა არ ექნა. იგი ხშირად აღარ ბრუნდება ძველ საცხოვრებელში და მისთვის არცთუ სახარბიელო პირობებში აგრძელებს ქალაქში ცხოვრებას და მუშაობას.

5. კადრების დენადობის მიგრაციული ასპექტი

კადრების დენადობას, გარდა იმისა, რომ შრომითი მიგრაციის თავისებურ ფორმას წარმოადგენს, მუდმივ მიგრაციასთან ახლო კავშირი აქვს, ზოგიერთი საწარმოდან მიდის საცხოვრებელი ადგილის გამოცვლასთან დაკავშირებით. კადრების დენადობის აჩქარება და მისი მასშტაბების ზრდა ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად იქცა, მაგალითად, ქ. გორში ბამბეულის კომბინატიდან 1957 — 1980 წლებში წავიდა 7125 კაცი, ხოლო ანალიზური ხელსაწყოების ქარხნიდან — 902. საწარმოდან წასვლის მიზეზების სტრუქტურის გაცნობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ წარმოებებში არ არის მუშათა დამაგრებისათვის საჭირო ხელშემწყობი პირობები (ცხრ. 78).

ცხრილი 78

კადრების დენადობის მიზეზები. ქ. გორი. 1975—1980 წწ.

კადრების დენადობის მიზეზები	ბამბეულის კომბინატი		„ანალიზელსაწყო"	
	აბს.	%-ით	აბს.	%-ით
პირადი განცხადება	2109	29,6	410	45,4
საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა	52	0,7	142	15,8
სამხედრო-სავალდებულო სამსახური	328	4,6	62	6,9
შრომის დისციპლინის დარღვევა, სამუშაოს თვითნებურად მიტოვება	4007	56,2	108	12,0
პენსიაზე გასვლა	462	6,5	26	2,9
გარდაცვალება	72	1,0	13	1,4
შტატების შემცირება	—	—	1	0,1
პატიმრობა	11	0,2	5	0,6
ავადმყოფობა	—	—	18	2,0
კომკავშირული საგზური	—	—	6	0,7
სხვა სამუშაოზე გადასვლა	—	—	57	6,3
სასწავლებლად წასვლა	84	1,2	54	5,9
სულ	7125	100,0	902	100,0

კადრების ასეთი ინტენსიური დენადობა მოითხოვს რეგულირებას როგორც საწარმოში სოციალური ღონისძიებების გატარების, ისე ურბანიზაციული პროცესების მეცნიერულად მართვის დანერგვის გზით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

მიგრაციული ტენდენციების სოციალური საფუძვლები საქართველოს სპეციფიკური საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაცია

1. მიგრაციული ტენდენციების კვლევის ხერხები და კვლევის შედეგები

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაციული ქცევის ფორმირების პროცესის კონკრეტულ-სოციოლოგიური ხერხებით კვლევის პირველი ცდა ითვალისწინებდა უპირატესად მკვიდრი მოსახლეობის მიგრაციული ტენდენციების შესწავლას ფართო მასივის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით.

კითხვარი „მოსახლეობის მოსალოდნელი მიგრაცია" საბჭოთა სოციოლოგიურ კვლევაში აპრობირებულია. ვარჩიეთ კითხვარი გამარტივებული სახით მიგვეწოდებინა გამოსაკითხი პირებისათვის, ამასთან, კვლევის ძირითად მიზანთან დაკავშირებული ნაწილი გაგვეღრმავებინა. ამგვარად, კითხვარის სტრუქტურა შემდეგი ბლოკებისაგან შედგება:

I. დემოგრაფიული ცნობები.

II. დასახლების ტიპი, როგორც სოციალური ღირებულება.

III. საცხოვრებელი პირობები.

IV. სოციალურ-პროფესიული სიტუაცია.

V. მიგრაციული გადაწყვეტილების მიზეზები და ინტენსივობა.

აღნიშნული კითხვარით მიღებულ სოციალურ-დემოგრაფიულ ინფორმაციას საკონტროლო დანიშნულებაც ჰქონდა.

რესპონდენტთა მასივი ძირითადად მკვიდრი ან ადაპტირებული მიგრანტია (ცხრ. 79).

დასახლებული პუნქტის ტიპი, როგორც სოციალური ღირებულება, მკვეთრად გამოხატულია და მას თითქმის სტერეოტიპული ხასიათი აქვს. მაგრამ გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედს სოფლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 79

რესპონდენტთა განაწილება საშუალო ქალაქებში ცხოვრების ხანგრძლივობის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

ქალაქში ცხოვრების ხანგრძლივობა (წელი)	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
5 წელი	9,3	7,2	10,1
5 წელზე მეტი	40,1	29,3	37,8
მკვიდრი	50,6	63,5	52,1
სულ	100,0	100,0	100,0

ცხოვრება უფრო მოსწონს. მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ საგრძნობ ნაწილს უძნელდება პასუხის გაცემა (ცხრ. 80).

ცხრილი 80

რესპონდენტთა განაწილება სასურველი საცხოვრებელი ადგილისადმი დამოკიდებულების მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

მოსწონს ცხოვრება	ქ ა ლ ა ქ ი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
ქალაქში	60,9	56,4	72,6
სოფელში	20,2	24,2	18,6
უძნელდება პასუხის გაცემა	18,9	19,4	8,8
სულ	100,0	100,0	100,0

ის, ვისაც ქალაქში ცხოვრება უფრო მოსწონს, პირველ რიგში ასახელებს ცხოვრებისა და შრომის უკეთეს პირობებს სოფელთან შედარებით. მცირე ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარება, მუშაობა სპეციალობის მიხედვით, სამუშაოს შოვნის მეტი შესაძლებლობა (ცხრ. 81).

სოფლად ცხოვრების უპირატესობანი გამოიხატება შემდეგში: ჯანსაღი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობა, მყუდროება, სიწყნარე (ცხრ. 82).

ამრიგად, გამოკითხვის მასალებში აისახა ობიექტურად მიმდინარე ურბანიზაციის პროცესი.

მიგრაციული ტენდენციების გარკვევის დროს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორების დადგენას, რაც განაპირობებს მიგრაციულ ქცევას. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქ-

ცხრილი 81

ქალაქში ცხოვრების უპირატესობანი 1979—1981 წწ. (%-ით)

ქალაქი	კულტურის მაღალი დონე, თავისუფალი დროის ორგანიზებულად გატარება	მუშაობა სპეც. მიხედვით, სამუშ. შოვნის წესაძლებ.	ცხოვრებისა და შრომის უკეთესი პირობები	შვილების უკეთესი აღზრდის წესაძლებლობა	უკეთესი ანაზღაურება	კარგი სამედ., სავაჭ., საყოფაც. მომს.	დაბადების და აღზრდის ადგილი მოსწონს	სამუშაოსთან ახლოსაა	მეტია "წესაძლებლობა განვითარების, თავის გამოჩენის	სხვა	არ უპასუხა, ან არ მოსწონს	სულ
გორი	20,0	0,3	8,3	1,2	0,3	6,8	13,3	—	0,9	3,6	44,8	100,0
სამტრედია	6,9	2,2	17,7	0,8	0,3	9,4	8,0	2,5	2,2	2,5	47,5	100,0
ხაშური	8,0	4,4	27,1	6,7	—	10,1	5,7	0,8	3,1	3,4	30,7	100,0

ცევს გამოსაკითხი პირების მიერ საცხოვრებელი პირობების, მისი ცალკეული კომპონენტის შეფასება:

1. ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს მაღალი შეფასება მიეცა ხაშურსა და გორში, ხოლო სამტრედიაში — მეტად დაბალი.

ცხრილი 82

სოფელში ცხოვრების უპირატესობანი 1979—1981 წწ. (%-ით)

სოფელში ცხოვრების უპირატესობანი	ქალაქი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
სიწყნარე, სუფთა ჰაერი	7,2	11,4	11,3
ეკონომიურად ცხოვრება ადვილია, საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი აქვს	5,6	5,8	4,6
იქ დაიბადა, უყვარს სოფლის ცხოვრება	6,2	4,7	3,6
პროფესია სოფლური აქვს	0,3	—	—
არ უპასუხა, ან არ მოსწონს სოფელში ცხოვრება	80,7	78,1	80,5
სულ	100,0	100,0	100,0

2. სასმელი წყლის ხარისხი საშუალო დადებითი ინდექსით გამოიხატა.

3. ქალაქის შიდა გზები მეტად დაბალი დადებითი მაჩვენებლით შეფასდა გორში, ხოლო სამტრედიაში და, განსაკუთრებით, ხაშურში — უარყოფითად.

4. სატრანსპორტო მომსახურება დაბალი დადებითი ინდექსით გამოიხატა გორში, ხოლო სამტრედიაში და, განსაკუთრებით, ხაშურში — უარყოფითად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურება შეფასდა უარყოფითად, განსაკუთრებით — ხაშურში.

6. სამედიცინო მომსახურება მცირე დადებითი მაჩვენებლით შეფასდა გორში, ხოლო სამტრედიასა და ხაშურში — უარყოფითად.

7. კულტურის დაწესებულებათა მუშაობა შეფასდა უარყოფითად ხაშურსა და სამტრედიაში, ხოლო გორში — მცირე დადებითი ინდექსით (ცხრ. 83).

ცხრილი 83

საცხოვრებელი პირობების შეფასება 1979—1981 წწ. (ინდექსით)

საცხოვრებელი პირობები	ქალაქი		
	გორი	სამტრედია	ხაშური
კლიმატი	0,6	0,2	0,7
სასმელი წყლის ხარისხი	0,7	0,4	0,5
შიდა გზების მდგომარეობა	0,2	—0,1	—0,3
სატრანსპორტო მომსახურება	0,2	—0,02	—0,4
სავაჭრო მომსახურება	—0,4	0,02	—0,5
სამედიცინო მომსახურება	0,1	—0,02	—0,1
საყოფაცხოვრებო მომსახურება	0,0	—0,2	—0,4
კულტურის დაწესებულებათა მუშაობა	0,1	—0,1	—0,3

როგორც ჩანს, საცხოვრებელი პირობებით კმაყოფილების დონე საქართველოს საშუალო ქალაქებში არ არის მაღალი. ეს მოვლენა ჯერ ერთი, უნდა აიხსნას მოსახლეობის მზარდი სოციალური მოთხოვნებით. მათი კულტურული ღირებულების მოხმარების სტრუქტურის პროგრესული ცვლილებებით და, მეორე, მიუხედავად სოციალიზმის პირობებში საშუალო ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაწინაურებისა, მათი განვითარების ტემპი და მართვის კულტურა ვერ უპასუხებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების საჭიროებებს.

მიგრაციული სიტუაციის ნათლად წარმოსადგენად შევეცადეთ დაგვედგინა გამოსაკითხ პირთათვის შვილების ფაქტიური და სასურველი საცხოვრებელი ადგილი.

გამოკითხვის მონაცემები მიგვითითებს იმაზე, რომ სამტრედიასა და ხაშურში შვილებისათვის ყველაზე მეტად სასურველ საცხოვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებელ ადგილად დიდი ქალაქი (თბილისი) მიაჩნიათ. გორისათვის შესაბამისი მაჩვენებელი მეორე ადგილზეა და უპირატესობას ანიჭებენ თვით ქალაქ გორს (ცხრ. 84).

ცხრილი 84

რესპონდენტთა განაწილება შვილებისათვის სასურველი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

ქალაქი	შვილებისათვის სასურველი საცხოვრებელი ადგილი					
	დიდი ქალაქი	რაიონული ცენტრი, სადაც ცხოვრობს	მშობლიური სოფელი	სხვა სოფელი	არ უპასუხა	სულ
გორი	31,4	46,9	5,2	0,9	15,6	100,0
სამტრედია	54,4	24,4	21,2	—	—	100,0
ხაშური	59,5	33,0	7,0	0,5	—	100,0

სასურველი საცხოვრებელი ფაქტიურისაგან განსხვავებულია. ეს გასაგებია, სურვილის აბსოლუტური რეალიზაცია გამორიცხულია. შვილების ფაქტიური საცხოვრებლის მონაცემები თავისთავად მრავლისმთქმელია— მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დიდ ქალაქში ცხოვრობს (ცხრ. 85).

ცხრილი 85

რესპონდენტთა განაწილება შვილების ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

ქალაქი	დიდი ქალაქი	რაიონული ცენტრი	მშობლიური სოფელი	სხვა სოფელი	არ უპასუხა	სულ
გორი	15,2	37,9	7,1	0,6	39,2	100,0
სამტრედია	28,6	42,8	27,5	1,1	—	100,0
ხაშური	25,4	61,0	18,7	0,9	—	100,0

საკუთრივ რესპონდენტთა მოსალოდნელი მიგრაციული ქცევა ერთი შეხედვით არ არის მნიშვნელოვანი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, საშუალოდ, გამოკითხულთა ერთი მეათედი გამოკითხვის მომენტისათვის უკვე მიგრაციულ მზადყოფნაშია, უნდა დავასკვნათ: საშუალო ქალაქების მოსახლეობის ლტოლვა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისაკენ ინტენსიურ ხასიათს ატარებს. რესპონდენტთა აღნიშნული ნაწილი აცხადებს, რომ მას სურს სხვა ქალაქში გადავიდეს საცხოვრებლად (ცხრ. 86).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპონდენტთა განაწილება მიგრაციული გადაწყვეტილების მიხედვით 1979—1981 წწ. (%-ით)

	მოსალოდნელი მიგრაციის მიმართულება				
	არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	გადაწყვეტილი აქვს სხვა ქალაქში გადასვლა	გადაწყვეტილი აქვს სოფელში გადასვლა	არ უპასუხა	სულ
გორი	85,7	6,2	3,7	4,4	100,0
სამტრედია	78,7	15,5	0,3	5,5	100,0
ხაშური	86,3	9,5	1,6	2,6	100,0

ყველაზე მეტად მიგრაციული გადაწყვეტილება სამტრედიის მოსახლეობაში დადასტურდა, ყველაზე ნაკლებად — გორის მოსახლეობაში. მიგრაციული გადაწყვეტილების მიზეზთა შორის ასახელებენ ცხოვრებისა და შრომის მათთვის არასასურველ პირობებს: დასვენებისა და გართობის საშუალებათა უკმარისობას; ოჯახურ მდგომარეობას; საბინაო საკითხის მოუწესრიგებლობას; სწავლის გაგრძელების შეუძლებლობას, ხოლო სოფლად გადასვლის მსურველნი: მოხუცებულობის პერიოდში მშვიდ ცხოვრებას სოფლის პირობებში.

ის, ვინც მიგრაციული გადაწყვეტილება მიიღო, საცხოვრებელი პირობების ცალკეულ კომპონენტებს განსაკუთრებით უარყოფითად აფასებს.

ირკვევა, რომ მიგრაციულ ტენდენციებს უფრო მეტად იჩენენ: 30 წლამდე ახალგაზრდები; ის, ვისაც საკუთარი ოჯახი ჯერ არ შეუქმნია; მდედრობითი სქესის წარმომადგენლები; 70-150 მანეთის ხელფასის მქონენი; გონებრივი შრომის ადამიანები.

მიგრაციული პროცესების რეგულირების აუცილებლობა მოითხოვს ქალაქების მართვაში გათვალისწინებულ იქნეს მოსახლეობის სოციალური მოთხოვნები:

ქ. გორი

1. კულტურის სასახლის მშენებლობის დაჩქარება
2. სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება
3. ტრანსპორტი მუშაობის გაუმჯობესება
4. ტელეფონიზაციის განვითარება
5. ქალაქის ზოგიერთ უბანში სასმელი წყლის მოწოდების მოწესრიგება
6. სკვერებისა და მწვანე ზოლის შექმნა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. ეზოების კეთილმოწყობა
8. კანალიზაციის ქსელის მოწესრიგება
9. ქუჩების კეთილმოწყობა
10. ქალაქში სანიტარული წესრიგის დამყარება

ქ. სამტრედია

1. ქალაქში წრიული სატრანსპორტო მოძრაობის დაწესება
2. სატროლეიბუსო მარშრუტის დაწესება
3. აიგოს სამშობიარო საავადმყოფოსათვის ახალი შენობა, აშენდეს ტიპური საავადმყოფო, აშენდეს საფერშლო ტექნიკუმის შენობა
4. მოეწყოს სპორტული მოედნები, აიგოს საცურაო აუზი, აიგოს სპორტული კომპლექსი
5. ქუჩებში ყველგან დაიდგას ლამპიონები
6. მოეწყოს კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა
7. დაიგოს შიდაგზებზე ასფალტი
8. აშენდეს უნივერსალური მაღაზია
9. აშენდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი
10. მოეწყოს მუსიკალური შადრევანი
11. სისტემატურად იწმინდებოდეს წყალგამტარი არხები
12. დაჩქარდეს კანალიზაციის ქსელის მშენებლობა
13. აშენდეს ახალი შენობა ბიბლიოთეკისათვის
14. გაიხსნას რაიმე საშუალო სპეციალური სასწავლებელი
15. აშენდეს ჩაის ფაბრიკა
16. აშენდეს ახალგაზრდობისათვის კულტურის სასახლე

ქ. ხაშური

1. კეთილმოეწყოს კულტურისა და დასვენების პარკი
2. მოეწყოს დასასვენებელი ადგილები
3. გაიხსნას რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის ფილიალი
4. გაიხსნას დიეტური კვების პროდუქტების მაღაზია
5. ქალაქი დანაგვიანებულია, სისტემატურად ხდებოდეს ნაგვის გატანა
6. ჩამოყალიბდეს ცურვის შემსწავლელი წრე, საჭადრაკო კლუბი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. აგროსამრეწველო საშუალო ქალაქის მოსახლეობის მიგრაციის ზოგიერთი თავისებურება

საშუალო ქალაქები ერთმანეთისაგან ფუნქციის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია. თუ, მაგალითად, სამტრედია და ხაშური უპირატესად სამრეწველო-სატრანსპორტო ფუნქციის მქონეა, გორი პოლიფუნქციური ქალაქის ტიპური ნიმუშია; თელავი და მახარაძე კი აგროსამრეწველო ქალაქების კატეგორიაში ხვდება. როგორც ე. ქვათაძე, შენიშნავს: „ქ. მახარაძის ტერიტორია იზრდებოდა ამ რეგიონის ტრადიციული სოფლების ტერიტორიისა და მოსახლეობის ქალაქთან მექანიკური შეერთების გზით, რომელმაც გამოიწვია ქალაქის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურაში გარკვეული თავისებურებანი... ქალაქის შემადგენლობაში შედის სამი კოლმეურნეობა: ზვანის, ექადიისა და ლაშეს, რომლის მოსახლეობა შეადგენს მთელი ქალაქის მოსახლეობის 13 პროცენტს[1]. ქ. მახარაძის მრეწველობა არსებითად კვებისა და მსუბუქი მრეწველობით არის წარმოდგენილი, ხოლო სოფლის მეურნეობა ჩაით და ციტრუსით.

ჩვენ მიერ 1973 წელს ქ. მახარაძეში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა მოსახლეობის მიგრაციის ძირითადი თავისებურებები (დამუშავდა შესაბამისი პერიოდის ე. წ. მოსახევი ტალონები). ირკვევა, რომ:

1. ქ. მახარაძიდან გამავალი მიგრაციული ნაკადი ძირითადად მიემართება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ცენტრალურ რუსეთში, ჩრდილო კავკასიაში, უკრაინაში.

2. ქ. მახარაძეში შემოსულ მიგრანტთა უმრავლესობა აჭარის მთიანეთიდან, გურიის მთის სოფლებიდან და რუსეთიდან არის.

3. შემომავალ მიგრაციულ ნაკადში ოდნავ ჭარბობენ მამაკაცები, ხოლო გამავალ ნაკადში — ქალები.

4. მიგრაციის მიზეზი ძირითადად სამუშაო ადგილის ძიება და სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებაა.

5. მიგრანტთა საშუალო ასაკი 30—40 წელია (ცხრ. 87).

---

[1] ე. ქ ვ ა თ ა ძ ე, საქართველოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხისათვის (ქ. მახარაძის მასალების მიხედვით), კრებ. „საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები“, თბ., 1976, გვ. 54.

ცხრილი 87

მიგრანტთა განაწილება სქესისა და საშუალო ასაკის მიხედვით 1973 წ. (%-ით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

	სქესი			
	მამრობითი		მდედრობითი	
	შემოვიდა	გავიდა	შემოვიდა	გავიდა
საშუალო ასაკი	30,6	33,7	39,8	33,5

ქ. მახარაძის მოსახლეობის მიგრაციასთან უშუალო კავშირშია საწარმოებში კადრების დენადობის ზრდა.

მაგალითად, 1971—1973 წლებში აბრეშუმძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკაში მიღებულ იქნა 555 მუშა, ხოლო ფაბრიკიდან წავიდა — 597, აქედან 60%-ზე მეტი — პირადი განცხადებით და 25%-ზე მეტი თვითნებურად. კადრების დიდ დენადობას ხელს უწყობს საბინაო ფაქტორი. ფაბრიკის 205 მუშა-მოსამსახურე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, ხოლო 194 კაცი — საერთო საცხოვრებელში. ასევე დიდია კადრების დენადობა ქ. მახარაძის რკინა-ბეტონის ქარხანაში. როგორც ირკვევა, ქარხნის მუშების სოციალური მოთხოვნები უკავშირდება საბინაო ფონდის მკვეთრ სიმცირეს, კულტურული და სპორტული ღონისძიებებისადმი უყურადღებობას, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაბალ დონეს, დარღვევებს შრომის ანაზღაურებაში.

უმაღლესი განათლების მქონეთა ერთ ნაწილს აქვს სურვილი, ხელშემწყობი პირობების გაჩენის შემთხვევაში, საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდეს თბილისში. ასეთ გადაწყვეტილებას ისინი ასაბუთებენ იმით, რომ ქ. მახარაძეში ვერ იშოვეს სამუშაო სპეციალობის მიხედვით, ან არ აკმაყოფილებთ სამუშაო პირობები.

აბრეშუმის ფაბრიკაში ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო პირობების გაუმჯობესებას; ზოგიერთ საამქროში უჩივიან ზემო სასუნთქი ორგანოების ქრონიკულ დაავადებებს, ნერვულ გადაღლილობას (ძაფსაღები საამქრო, საგრეხ-ავტომატური საამქრო).

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალაქში ცხოვრებას ამჯობინებს და მიუთითებენ, რომ ქალაქში „უფრო მაღალია კულტურის დონე“, „მომსახურება უკეთესია“, „თავისუფალი დრო მეტია“. სოფლის უპირატესობას კი ხედავენ შემდეგში: „მატერიალურად სოფელში ცხოვრება უფრო ადვილია“, „პატიოსანი შრომის ადამიანები იქ მეტია“, „ბუნება მშვენიერია“, „საცხოვრებელი ბინის ფართობი მეტია“, „სპეციალობა სოფელს უკავშირდება“.

იმ დროისათვის ქ. მახარაძეში შეიმჩნეოდა მიგრაციული პროცესების გაძლიერების უარყოფითი ტენდენციები.

აღსანიშნავია, რომ პოტენციურ მიგრანტთა შორის დიდია საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობა. მაგალითად: 1970 — 1972 წლებში 588 ახალგაზრდიდან, რომელმაც დაამთავრა ქ. მახარაძის ბინადარი საშუალო სკოლები, უმრავლესობა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში მოეწყო და სწავლას აგრძელებს სხვა გარემოში (ცხრ. 88).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 88

საშუალო სკოლადამთავრებულთა განაწილება საქმიანობის მიხედვით ქ. მახარაძე, 1970—1972 წწ. (%-ით) N=588

წელი	სულ %	სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში	სწავლობს საშ. სპეც. სასწავლებელში	მუშაობს	საბჭოთა არმიაშია	არ მუშაობს	დიასახლისია, ან სხვა რაიონშია
1970	100,0	33,9	7,6	11,5	20,8	11,5	14,7
1971	100,0	32,3	16,1	18,8	9,4	18,2	5,2
1972	100,0	12,7	14,8	39,0	—	31,4	2,1

ცხადია, ქ. მახარაძის ახალგაზრდობას ადგილზე უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა არა აქვს: არც იმის შესაძლებლობაა, რომ ფართო არჩევანი მიეცეს საშუალო სპეციალურ სასწავლებელში შესასვლელად. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, როცა აქაური ახალგაზრდობა სასურველი პროფესიის დაუფლების მიზნით დიდ ქალაქს უკავშირდება. როგორც ირკვევა, ასეთი ქალაქი მახარაძელი ახალგაზდობისათვის, უპირველეს ყოვლისა, თბილისია, შემდეგ ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი.

ქ. მახარაძის პირველი, მეორე და მესამე საშუალო სკოლების გამოსაშვები კლასების მოსწავლეებში ჩატარებულმა ელვა-კითხვარმა მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალურ-პროფესიული მიდრეკილებები გამოავლინა, რაც მათ მომავალ მიგრაციულ ქცევას უკავშირდება (ცხრ. 89).

დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების შემთხვევაში გამოკითხულთა 78,0%-მა ისურვა მშობლიურ რაიონულ ცენტრში ცხოვრება, 8,0%-მა მშობლიურ სოფელში. თბილისში ცხოვრება სასურველად მიიჩნია 11,0%-მა. სავსებით გასაგებია ახალგაზრდობის ასეთი დამოკიდებულება მათთვის სასურველი მომავალი საცხოვრებელი ადგილისადმი. მათში მეტად ძლიერია სიყვარული იმ გარემოსადმი, სადაც დაიბადნენ და აღიზარდნენ, ამასთან, მათი მომავალი სოციალური ქცევა ობიექტურად ნორმირებულია საზოგადოების განვითარების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრილი 89

მოსწავლის სოციალურ-პროფესიული ორიენტაცია ქ. მახარაძე 1973 წ. (%-ით) N=126

პროფესია, რომლის დაუფლება სურს	აბს.	%
დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის შრომა: მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი	1	0,8
სოფლის მეურნეობა	1	0,8
მომსახურების სფერო	1	0,8
მაღალი კვალიფიკაციის გონებრივი შრომა:		
ინჟინერი მრეწველობაში	36	28,1
სოფლის მეურნ. სპეციალისტი	7	5,5
ექიმი, პედაგოგი, იურისტი	72	56,3
სამეცნიერო მოღვაწეობა	3	2,3
მხატვრული შემოქმედებითი შრომა	7	5,4
ს უ ლ	128	100,0

შესაბამისად. ეს მათ გაცნობიერებული არა აქვთ. მათი პროფესიული არჩევანი კი თავისთავად მიგრაციას გულისხმობს, ჯერ დროებითს, შემდეგ — მუდმივს.

მოსწავლეთა უმეტესობას განზრახული აქვს სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში (64,8%), სქესის მიხედვით თითქმის თანაბრად; წარმოებაში მუშაობა 25,0%-ს — უპირატესად გოგონებს. მცირეა იმათი ხვედრითი წონა, ვინც სწავლისა და მუშაობის შეთავსებას აპირებს.

ქ. მახარაძის ირგვლივ მდებარე 7 სასოფლო საბჭოში (დვაბზუ, ლიხაური, გურიანთა, მაკვანეთი, ვაკიჯვარი, ცხემლისხიდი, მელექედური) მოპოვებული ქანქარისებური მიგრაციის მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ქ. მახარაძეშია დასაქმებული.

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთაგან 70,6% მამაკაცია; უცოლშვილოა — 12,0%, გაუთხოვარი — 29,3%; უმეტესობა 40 წლის ასაკამდეა (60, 5% — მამაკაცი, 73,4% — ქალი); ჭარბობენ ზოგადსაშუალო, აგრეთვე საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონენი.

დასაქმების ხასიათის მიხედვით გვხვდებიან მძღოლები, კანცელარიის მუშაკები, ექთნები, პედაგოგები, ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები, აგრონომები, ინჟინრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოსახლეობის მიგრაციის სოციალური ასპექტები საოლქო ცენტრის ფუნქციის მქონე საშუალო ქალაქში

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მოსახლეობა უკანასკნელ აღწერათაშორისო პერიოდში (1970 — 1979 წწ.) მნიშვნელოვან მიგრაციულ დანაკარგს განიცდის; საოლქო ცენტრი კი ბუნებრივ მატებასთან ერთად მექანიკური მოძრაობის არხით ღებულობს სოფლიდან მიგრაციულ ნამატს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ცხინვალის მოსახლეობის მატება ძირითადად ბუნებრივი ზრდის ხარჯზე მოხდა.

როგორც სათანადო ადგილას ითქვა, ქანქარისებური მიგრაცია სამხრეთ ოსეთის ოლქში არ არის ინტენსიური, სამაგიეროდ მუდმივი მიგრაცია, ამასთან ოჯახით მიგრაცია, ძლიერია. საოლქო ცენტრი, ქ. ცხინვალი, საკმაო მასშტაბის მიგრაციულ ძვრების არეალს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა საზოგადოებრივი აზრის მონაცემები.

საქართველოს ყველა დანარჩენი საშუალო ქალაქისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, ქ. ცხინვალის მოსახლეობა ინტენსიური მიდრეკილებას ამჟღავნებს მიგრაციისადმი. გამოკითხულთა 27,1% აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრები მუდმივად სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად (ძირითადად ოლქის გარეთ). ყურადღებას იქცევს ისიც, რომ გამოკითხულთა მოზრდილი შვილების მხოლოდ 46,4% ცხოვრობს ფაქტობრივად საოლქო ცენტრში, ოლქის გარეთ რესპუბლიკაში — 5,2%, ხოლო რესპუბლიკის გარეთ უფრო მეტი — 7,2%.

მიგრაციული ქცევის ფორმირების პროცესებს სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებს საცხოვრებელი პირობები. მოსახლეობა ქ. ცხინვალში უარყოფითად აფასებს:

სასმელი წყლით უზრუნველყოფას — 86,8%

სასმელი წყლის ხარისხს — 85,9%

საყოფაცხოვრებო მომსახურებას — 58,0%

სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა მომსახურებას— 81,9%

საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობას — 68,3%

საავტომობილო გზების მდგომარეობას — 77,3%

სამედიცინო მომსახურებას — 38,1%

კულტურის დაწესებულებათა მუშაობას — 43,9%.

ამასთან, მეტად მაღალი დადებითი მაჩვენებლით აღინიშნა ბუნებრივ-კლიმატური პირობები და მისი გავლენა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ცხადია, ასეთი სიტუაცია აჩქარებს მიგრაციულ პროცესებს. მიგრაციული გადაწყვეტილების მიღების მიზეზებიდან აღსანიშნავია (%-ით).

1. ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები — 14,3
2. სპეციალობის მიხედვით სამუშაოს არარსებობა — 5,7
3. მუდმივი სამუშაოს არარსებობა — 1,7
4. შრომის მძიმე პირობები — 3,1
5. შრომის დაბალი ანაზღაურება — 10,6
6. ცუდი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება — 21,8
7. ცუდი სამედიცინო მომსახურება — 11,2
8. ცუდი საავტომობილო გზები — 12,9
9. ტრანსპორტის ცუდი მუშაობა — 12,0
10. სწავლის გაგრძელების სურვილი — 4,2
11. ოჯახური მდგომარეობა — 1,7
12. სხვა — 0,8

ს უ ლ — 100,0

ოლქის სასოფლო რეგიონებიდან მოპოვებული მონაცემების მიხედვით 1970 — 1979 წლებში ქ. ცხინვალში მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსულთაგან ჯავის რაიონიდან მიგრირებულთა შორის იყო — 43,7%, ზნაურის რაიონიდან — 35,9%, ცხინვალის სასოფლო რაიონიდან — 44,0%, ხოლო ლენინგორის რაიონიდან პრაქტიკულად თითოოროლა.

ოლქის სოფლის მოსახლეობის მიგრაციული კავშირის მსგავს ინტენსივობაზე მიგვითითებს ის მონაცემები, რომლებიც შეეხება 1975 — 1980 წლებში ცხინვალის სამრეწველო საწარმოებში („ელექტროვიბრომანქანა", „ემალმავთული", სამკერვალო ფაბრიკა) დასაქმებულ მიგრანტებს, სადაც: ჯავის რაიონიდან ჩამოსულია — 21,9%, ზნაურის რაიონიდან — 27,1%, ცხინვალის სასოფლო რაიონიდან — 47,9%, ლენინგორის რაიონიდან — 1,0%, ოლქის გარედან — 2,1%

ქ. ცხინვალის მოსახლეობის მიგრაციული ტენდენციების ნორმალიზაციის მიზნით აუცილებელია რიგი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების დასახვა და რეალიზაცია როგორც სასოფლო რეგიონების, ისე საოლქო ცენტრის გეგმაზომიერი და კომპლექსური განვითარების მიზნით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე

მცირე ქალაქისა და მისი სასოფლო რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული ქცევა დიდ და საშუალო ქალაქებთან მიმართებაში

1. მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებები

თავისებური ექსპერიმენტული მნიშვნელობა მიეცა მცირე ქალაქისა და მისი სასოფლო რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული ქცევის ფორმების, მიმართულებების, მასშტაბებისა და მიზეზების კვლევას დიდ და საშუალო ქალაქთან მიმართების თვალსაზრისით. ასეთი რაიონია კასპი, რომელიც გორთან უშუალო მეზობლობაშია და, ამავე დროს, მისგან არც თბილისია შორს (რკინიგზით კასპიდან გორამდე არის 28 კმ, ხოლო კასპიდან თბილისამდე — 48 კმ). ცხადია, ასეთი რეგიონის აღნიშნული პროგრამით კვლევა უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს გორის, როგორც საშუალო ქალაქებში ყველაზე დიდი და ტიპური ქალაქის, მოსახლეობის ფორმირების გზებს, მასშტაბებსა და კანონზომიერებებს.

კასპის რაიონის მოსახლეობის აბსოლუტური მაჩვენებლები რამდენადმე მერყეობს უკანასკნელი 20 წლის მანძილზე. რაიონის სოფლის მოსახლეობა ამ ხნის განმავლობაში რაოდენობრივ ცვლილებებს განიცდის: 60-იანი წლებიდან ოდნავ მატულობს, ხოლო 70-იანი წლების დამდეგიდან თანდათანობით კლებულობს.

საკუთრივ ქალაქ კასპის მოსახლეობა მართალია მატულობს, მაგრამ უფრო ნაკლები ტემპით, ვიდრე წინააღწერათშორისო პერიოდში. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ქ. კასპის მოსახლეობის საშუალო წლიური მატების ტემპი 2,6% უდრის. ცხადია, ეს მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ ზრდის ამგვარი მაღალი ტემპი ძირითადად მოდის 70-იანი წლების ნახევრამდე (2,7%), ხოლო შემდგომში ზრდის ტემპმა დაიკლო და შეადგინა 1,4%.

1970 წლის აღწერით, 1959 წლის აღწერასთან შედარებით, ქ. კასპის მოსახელობა გაიზარდა 34,1%-ით, ხოლო სოფლის მოსახელობა — 2,6%-ით.

1979 წლის აღწერის მონაცემებით, 1970 წელთან შედარებით, ქ. კასპის მოსახლეობა გაიზარდა 12,7%-ით, ხოლო სოფლის მოსახ-ლეობამ დაიკლო 5%-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებები ცალკეული სასოფლო საბჭოების მიხედვით განსხვავებულია. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე სასოფლო საბჭოების მოსახლეობის რაოდენობის მონაცემთა შედარება მიგვითითებს რაოდენობრივ ცვლილებათა მიკრორეგიონალურ თავისებურებებზე.

განსაკუთრებით ინტენსიურად კლებულობს კავთისხევის, ახალციხის, წინარეხის, ქვემო ჭალის, ლამისყანის, აგრეთვე სამთავისისა და ახალქალაქის მოსახლეობა. პირველ რიგში კი ეს შეეხება აღნიშნულ საბჭოებში შემავალ მთის ზონის მოსახლეობას. კავთისხევის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი წიფორი აღარ არის, ხოლო გუდალეთის მოსახლეობა 12%-ით შემცირდა. წინარეხის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ლავრისხევში 1980 წელს ოჯახის საშუალო ზომა იყო 1,4 სული, გომისჯვარში — 1,7, თელაგორში — 2,2.

რაიონის სოფლის მოსახლეობაში 1975 წელს ოჯახის საშუალო სულადობა უდრიდა 2,9 ხოლო 1980 წელს — 2,8. ოჯახის ზომაში ცვლილებები მიუთითებს მიმდინარე ნეგატიურ დემოგრაფიულ პროცესებზე (ახალგაზრდობის მიგრაცია, შობადობის დონის დაქვეითება).

უნდა აღინიშნოს რაიონის არაქართულ მოსახლეობაში, კერძოდ, აზერბაიჯანელებში განსხვავებული მდგომარეობა. მაგალითად, მიქელწყაროში ოჯახის საშუალო სულადობა უდრის 4,0, ხოლო — ხიდისყურში — 5,4.

სასოფლო საბჭოების მიხედვით უკანასკნელი აღწერათაშორისო პერიოდის მოსახლეობის რაოდენობის შედარებითი მაჩვენებლები, აგრეთვე, ადასტურებს რაიონის სოფლის მოსახლეობაში მიმდინარე კლების ტენდენციას.

ცნობილია, რომ მოსახლეობის რაოდენობრივ ცვლილებაზე ძირითადად ორი ფაქტორი ახდენს გავლენას: მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა. მხედველობაში უნდა მივიღოთ დემოგრაფული პროცესების ურთიერთმოქმედების მნიშვნელობაც, სახელდობრ, მოსახლეობის მიგრაციის გავლენა შობადობის დონეზე.

2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასპის რაიონის მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონე 1969 წელთან შედარებით 1977 წლისათვის დაახლოებით სამჯერ შემცირდა (ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით 21,6-დან 7,8-მდე).

აღნიშნული მოვლენა გამოიწვია როგორც შობადობის დონის დაქვეითებამ, ისე, მართალია უფრო ნაკლებად, გარდაცვალების მაჩვენებლის ზრდამ.

ბუნებრივი მატების შემცირების პროცესი თანდათანობით დაიწყო და აჩქარდა 70-იან წლებში. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მხრივ განსხვავება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის თვალსაჩინოა. თუ 1960 წელს კასპის რაიონის ქალაქის მოსახლეობაში ბუნებრივი მატება ყოველ 1000 სულზე იყო 27,2, სოფლისა შეადგენდა — 21,6; 1980 წლისათვის შესაბამისი მაჩვენებელია: 11,7 და 3,7. მაშასადამე, ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 20 წლის მანძილზე შემცირდა ქალაქად 57,0%-ით, სოფლად — 82,9%-ით.

კასპის რაიონის მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლები უკანასკნელ წლებში საშუალო-რესპუბლიკურზე ნაკლებია.

3. მოსახლეობის მიგრაციის ფორმები

(მუდმივი და ქანქარისებური)

სოფლის მოსახლეობის მიგრაციული პროცესის აჩქარება, მიგრაციული დანაკარგის ზრდა გლობალურ მოვლენად იქცა. საზოგადოებრივი განვითარების ურბანიზაციული ფენომენი ძლიერ ბიძგს აძლევს სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდა და საშუალო თაობის ორივე სქესის წარმომადგენელს თავის ცხოვრება დაუკავშიროს ქალაქურ გარემოს. რესპუბლიკის დედაქალაქთან ახლოს მდებარე (თბილისი — კასპი — 48 კმ) კასპის რაიონის მოსახლეობა, ცხადია, მოხვდა საკმაოდ ძლიერი მიგრაციული ძვრების არეალში.

რაიონის მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის დინამიკა აშკარად ნეგატიურ პროცესებზე მიგვითითებს.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ არის მითითებული, რომ მიგრაციის ოფიციალური სტატისტიკა არ არის სრულყოფილი; ამასთან დაკავშირებით გამოიყენება მეორე ხერხი, რომელიც საშუალებას გვაძლევს უფრო მივუახლოვდეთ სინამდვილეს. — ესაა მოსახლეობის საერთო რაოდენობის ცვლილებებთან ბუნებრივი მატების მაჩვენებლის შეჯერების მეთოდი. ასეთი მიდგომის გამოყენების დროს მიგრაციული ძვრები უფრო მკვეთრი აღმოჩნდა.

1965 — 80 წლების პერიოდში (16 წლის მანძილზე) რაიონმა 7382 მიგრაციული დანაკარგი განიცადა (საშუალოდ ერთ წელიწადში 461 ანუ ყოველ 1000 სულზე გაანგარიშებით 8,7). რეგიონის კონკრეტული სოციოლოგიური შესწავლა მიუთითებს, რომ ეს მაჩვენებელი უფრო ახლოს უნდა იყოს რეალურ ვითარებასთან (ცხრ. 90).

ცხრილი 90

მოსახლეობის რიცხოვნობა, ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა
კასპის რაიონი (ათასი კაცი)

წლები	მოსახლეობის რაოდენობა პერიოდის დასაწყისში	მოსახლეობის რაოდენობა პერიოდის ბოლოს	მოსახლეობის რაოდენობის საერთო მატება (კლება)	მოსახლეობის ბუნებრივი მატება	მოსახლეობის მექანიკური მატება (+), კლება (—). მიგრაციის სალდო
1965—1974	52,8	54,2	+0,7	6,0	—5,3
მათ შორის:					
1965—1969	52,8	54,1	+1,3	3,4	—2,1
1970—1974	54,1	53,5	—0,6	2,6	—3,2

რაიონის მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკური მაჩვენებლების განხილვა-დადგენის შემდეგ, ყურადღება უნდა მიექცეს მიგრარაციული მოვლენის სოციალურ-დემოგრაფიული პარამეტრების გარკვევას.

სასოფლო საბჭოებში დაცული საკომლო დავთრების მიხედვით შესწავლილ იქნა 1970 წლიდან დღემდე მიგრირებული მოსახლეობა (გამავალი ნაკადი — 2229, შემომავალი — 1062, სულ — 3291, რაც სავსებით აკმაყოფილებს რეპრეზენტატულობის მოთხოვნებს).

სოფლის მოსახლეობის გამავალი მიგრაციული ნაკადი უპირატესად 20—29 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებისაგან შედგება (56,8%). 30-30 წლის ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წონა 25,6%-ია. უნდა აღინიშნოს, რომ 30 წლამდე ასაკის ქალების წილი (ქალების მასივში) მეტია მამაკაცებთან შედარებით. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი ფაქტორი: ქალების გაზრდილი მიგრაციული აქტიურობა და გათხოვება — ოჯახის შექმნა. ამრიგად, მუდმივ გამავალ მიგრაციულ ნაკადში ყველაზე მეტად მონაწილეობს 40 წლამდე ასაკის მოსახლეობა: განსაკუთრებით 20-29 წლის ახალგაზრდობა (ცხრ. 91).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მოსახლეობის მუდმივი მიგრაცია. გამავალი ნაკადი სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით (%-ით) N=2229

ასაკობრივი ჯგუფი	სქესი		სულ
	მამრობითი	მდედრობითი	
—20	2,7	5,6	4,3
20—29	44,4	66,0	56,8
30—39	33,4	19,7	25,6
40—49	12,8	5,3	8,5
50—59	4,8	1,6	3,0
60—	1,9	1,8	1,8
სულ	100,0	100,0	100,0

მიგრაციული პროცესების სოციალური მექანიზმის გარკვევაში მეტად მნიშვნელოვანია მიგრაციის მიმართულების დადგენა. სოფლის მიგრანტთა 81,2% რაიონის გარეთ არის წასული, ქ. კასპში — 10,0%, კასპის რაიონის სხვა სოფელში — 8,9%.

რაიონის გარეთ გამავალი მიგრანტთა უმრავლესობა თბილისში გადადის (60,6%), რაც დედაქალაქზე მიგრაციული დაწოლის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს. იერარქიის მიხედვით მეორე, მაგრამ ბევრად უფრო სუსტი ნაკადი (11,1%) აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებისაკენ მიემართება (გორი, ცხინვალი, მცხეთა და სხვა).

აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში (უპირატესად მეზობელი გორის, ცხინვალის, მცხეთის, ლენინგორის და სხვა რაიონები) სუსტი ნაკადი გადის, მათ შორის მნიშვნელოვანია ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით ქალთა მიგრაცია. უმნიშვნელოა დას. საქართველოში გამავალი ნაკადის ხვედრითი წონა, რასაც, ცხადია, მოვლენის ხასიათი არა აქვს. გვხვდება რესპუბლიკის გარეთ მიგრაციის შემთხვევები (ცხრ. 92).

გამავალი მიგრაციული ნაკადისათვის ძირითადად დამახასიათებელია მიგრაციის ინდივიდუალური ფორმა. ოჯახით მიგრაციის 178 შემთხვევა დასტურდება.

გამავალ მიგრაციულ ნაკადში ქალები 57,2% შეადგენენ.

რაიონში შემავალი მიგრაციული ნაკადიც სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით განსხვავებულია. განსაკუთრებული მიგრაციული აქტიურობით გამოირჩევა 20—29 წლის ასაკობრივი ჯგუფი ქალებში (62,4%), მამაკაცებში 60 და მეტი წლის (31,0%) (ცხრ. 93).

ცხრილი 92

სოფლის მოსახლეობის მუდმივი მიგრაცია. გამავალი ნაკადი. მიგრანტთა განაწილება მიგრაციის მიმართულებისა და სქესის მიხედვით (%-ით) N=2229

მიგრაციის მიმართულება	სქესი		სულ
	მამრობითი	მდედრობითი	
თბილისი	69,5	53,8	60,6
აღმ. საქართველოს ქალაქები	10,8	11,3	11,1
აღმ. საქართველოს სოფელი	2,3	6,8	4,8
დასავლეთ საქართველო	0,9	1,8	1,4
ქ. კასპი	9,3	10,5	10,0
კასპის რაიონის სოფელი	1,5	14,4	8,9
რესპუბლიკის გარეთ	5,7	1,4	3,2
სულ	100,0	100,0	100,0

შემომავალ ნაკადში ახალგაზრდა ქალების ასეთი მაღალი ხვედრითი წონა ძირითადად დაკავშირებულია გათხოვებასთან; ამავე დროს მათგან თითქმის ნახევარი კასპის რაიონის სხვა სასოფლო დასახლე-

ცხრილი 93

სოფლის მოსახლეობის მუდმივი მიგრაცია. შემომავალი ნაკადი. მიგრანტთა განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით (%-ით)
N=1062

ასაკობრივი ჯგუფი	სქესი		სულ
	მამრობითი	მდედრობითი	
—20	—	4,9	3,8
20—29	15,3	62,4	51,4
30—39	16,5	17,3	17,1
40—49	18,6	5,2	8,3
50—59	18,6	4,3	7,6
60—	31,0	5,9	11,8
სულ	100,0	100,0	100,0

ბიდან არის გადმოსული, ხოლო დანარჩენთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეზობელი რაიონებიდან. სულ რაიონის გარედან შემოსულია მიგრანტთა 70,4%; მამაკაცთაგან უმეტესობა რეემიგრირებულია. ორივე სქესის მიხედვით თბილისიდან შემოსულია 28,1%; ამ მხრივ სქესის გავლენა თავს იჩენს — მამაკაცები ჭარბობენ ქალებს; ბევრი მათგანი პენსიაზე გასვლის შემდეგ უბრუნდება მშობლიურ რაიონს

(ცხრ. 94). შემომავალ ნაკადში ოჯახით მიგრაციის 62 შემთხვევა დადასტურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 94

სოფლის მოსახლეობის მუდმივი მიგრაცია. შემომავალი ნაკადი. მიგრანტთა განაწილება მიმართულებისა და სქესის მიხედვით (%-ით) N=1062

მიგრაციის მიმართულება	სქესი		სულ
	მამრობითი	მდედრობითი	
თბილისი	58,9	18,7	28,1
დასავლეთ საქართველო	2,4	4,8	4,2
აღმოსავლეთ საქართველო	16,5	39,4	34,1
ქ. კასპი	8,9	6,5	7,1
კასპის რაიონის სოფელი	7,3	27,1	22,5
რესპუბლიკის გარედან	6,0	3,5	4,0
სულ	100,0	100,0	100,0

კასპის რაიონში შემომავალი და გამავალი მუდმივი მიგრაციული ნაკადი არსებითად განსხვავებულია ფაქტორებისა და მიზეზების მიხედვით: რაიონიდან გასული მიგრანტი შრომისა და ცხოვრების უკეთესი პირობების ძიებაშია, ისწრაფვის სოციალური დაწინაურებისაკენ, სურს დაეუფლოს პროფესიას და იმუშაოს პროფესიის მიხედვით. ყოველივე ამის უკეთესი შესაძლებლობები მას რესპუბლიკის დედაქალაქში ეგულება და, ბუნებრივია, ასეთ პირობებში რეგიონიდან ყველაზე ძლიერი მიგრაციული ნაკადი თბილისისაკენ მიემართება.

რაიონში შემომავალი მიგრაციული ნაკადი სხვაგვარი ბუნებისაა; მათგან გამოირჩევა რეემიგრირებული პენსიონერი; ახალგაზრდა, რომელმაც ოჯახი შექმნა; სპეციალისტი, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ განაწილებით მოვიდა რაიონში, ან ვერ იშოვა სამუშაო სპეციალობით თავის საცხოვრებელ ადგილზე; თანამდებობის პირები.

ორგანიზებული მიგრაცია — გეგმიური სასოფლო-სამეურნეო ჩასახლებები

50-იან წლებში განხორციელდა საკმაო მასშტაბის სოფლის მოსახლეობის ორგანიზებული გადაყვანა კასპის რაიონიდან გარდაბნის რაიონში (სოფლებში: ახალი სამგორი და გამარჯვება). აღნიშნული

ღონისძიება ითვალისწინებდა რაიონის მთის ზონის უპერსპექტიგო სოფლებიდან მოსახლეობის მასობრივ გეგმიურ გადაყვანას სამგორის ველზე, სადაც სარწყავი სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ახალი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია. ამასთან დაკავშირებით სამგორის ველზე წარმოიქმნა ორი ახალი სასოფლო დასახლება: გამარჯვება და ახალი სამგორი.

საარქივო მონაცემებისა და საზოგადოებრივი აზრის რეტროსკოპული შესწავლის გზით დადგინდა, რომ 1955 წლის მიწურულს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაწყდა კასპის რაიონის მთის სოფლებიდან სოფელ ახალ სამგორში (რომელსაც თავდაპირველად სოფელი რუსთავი შეარქვეს) ჩაესახლებინათ მოსახლეობა; მათგან 13 ოჯახი ჩასახლდა სოფელ გამარჯვებაში: ს. იკვიდან — 6, ს. მერიიდან — 4, ს. სამოჭალოდან — 3. უფრო მოგვიანებით კი სოფელ ახალ სამგორში ორგანიზებული წესით ჩასახლდა კასპის რაიონის შემდგომი სოფლების მოსახლეობა: რკონი (38 ოჯახი), გარგალი (29), დევინამუხლი (20), ჩაჩუბეთი (9), ჭავჭავი (15), გოსტიბე (74), სალომე (11), სამორალო (6), მეორე (8), კაბერი (16) გოგოთი (23).

აღნიშნული სოფლები გაუქმდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, აღნიშნული ღონისძიება არ იყო ბოლომდე კარგად მოფიქრებული. რეგიონის განვითარებისათვის საზიანო აღმოჩნდა მთის ზოლის მოსახლეობისაგან დაცლა. ამჟამად დგას საკითხი სოფელ გოსტიბეს აღდგენის შესახებ. ჩვენ ადრე აღვნიშნეთ, რომ „ს. გოსტიბე ყოველმხრივ შემკული სასოფლო დასახლება იყო, მხოლოდ უამინდობაში მგზავრობა ჭირდა. გზის კეთილმოწყობის შემთხვევაში გოსტიბე (ისევე, როგორც ჭერემი) საუკეთესო სასოფლო დასახლებად შეიძლებოდა დარჩენილიყო“[1].

ქანქარისებური მიგრაცია

კასპის რაიონი ინტენსიური ქანქარისებური მიგრაციის არეალს წარმოადგენს. ჩვენ მიერ მოპოვებული სოციალურ-დემოგრაფიული ინფორმაციის მიხედვით დაახლოებით 4000 კაცი მონაწილეობს გამავალ მიგრაციულ ნაკადში. ქანქარისებური მიგრაციის გამავალ ნაკადში ძირითადად მამაკაცები არიან (75,3%) ამასთან, საშუალო თაობის

---

1 ა. კ ა ც ა ძ ე, სამგორის ახალ სასოფლო დასახლებათა ისტორია და თანამედროვე დემოგრაფიული პროცესები; კრებ. „ახალი სასოფლო რაიონის სოციალური პრობლემები“, თბ., 1974, გვ. 48.

(40—49 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმომადგენლები; თუმცა ახალგაზრდა თაობაც ამ მხრივ აქტიურია. სქესის მიხედვით ინტენსივობაში განსხვავებაა — უფრო აქტიურია მამაკაცებში 40—49 წლის ასაკ. ჯგუფი (23,7%), ქალებში — 20 — 24 წლის (25,8%) (ცხრ. 95.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 95

კასპის რაიონის სოფლის მოსახლეობის გამავალი ქანქარისებული მიგრაცია სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით 1981 წ. (%-ით)

ასაკობრივი ჯგუფი	სქესი		სულ
	მამრობითი	მდედრობითი	
16—19	2,1	7,3	3,4
20—24	15,4	25,8	18,0
25—29	18,5	19,1	18,7
30—39	19,7	14,1	18,5
40—49	23,7	18,5	22,4
50—59	17,4	11,4	15,8
60—	3,2	3,2	3,1
სულ	100,0	100,0	100,0

რაიონის სოფლის მოსახლეობის ქანქარისებური მიგრაციული ნაკადი ძირითადად თბილისში მოემართება (64,8%). ქალების მიხედვით ეს მაჩვენებელი მამაკაცებთან შედარებით 6,1 პუნქტით მეტია. რაიონულ ცენტრში (ქ.კასპში) სოფლის მოსახლეობის ქანქარისებური მიგრაციის ხვედრითი წონა 21,8% უდრის. უმნიშვნელოა ქ. გორში გამავალი ნაკადი (2,1%). იმავე რაიონის სხვა სოფელში მიგრანტთა 8,3% მიემართება; ეს ძირითადად მეტეხს შეეხება (მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი) (ცხრ. 96).

ცხრილი 96

კასპის რაიონის სოფლის მოსახლეობის გამავალი ქანქარისებური მიგრაცია სქესისა და მიმართულების მიხედვით (%-ით) 1981 წ.

N=3722

მიმართულება	სქესი		სულ
	მამრობითი	მდედრობითი	
თბილისი	63,3	69,4	64,8
გორი	2,4	1,0	2,1
რაიონის გარეთ	3,5	1,6	3,0
ქ. კასპი	21,5	22,9	21,8
კასპის რაიონის სოფელი	9,3	5,1	8,3
სულ	100,0	100,0	100,0

რაიონის გარეთ გამავალი ქანქარისებური მიგრაციული ნაკადი განათლების დონის მიხედვით სხვაგვარია: აქ ჭარბობენ ზოგადი საშუალო და დაწყებითი განათლების მქონენი; მათგან უმეტესობა დაოჯახებულია; ნახევარზე მეტი სამრეწველო სფეროში ფიზიკურ შრომას ეწევა (ელმავალსაშენებელი ქარხანა, კიროვის ჩარხმშენებელი ქარხანა, რკინიგზა და სხვა). აქაურ მამაკაცებს მრავლად შეხვდებით თბილისის მძიმე მრეწველობის მსხვილ საწარმოებში და მშენებლობებზე, ქალებს კი მსუბუქი მრეწველობის სფეროში, აგრეთვე მომსახურების დარგში (მაუდ-კამვოლის კომბინატში, სამკერვალო ფაბრიკებში, სანიტრებად საავადმყოფოებში და სხვ.). ზოგიერთი სპეციალისტია და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა.

საკუთრივ რაიონულ ცენტრში რაიონის გარედან, განსაკუთრებით თბილისიდან, შემომავალი ნაკადი არ არის მრავალრიცხოვანი, მაგრამ განსხვავებულია სოციალურ-პროფესიული სტრუქტურის მიხედვით. თბილისიდან კასპში, აგრეთვე რაიონის სასოფლო დასახლებებში მოდიან ძირითადად გონებრივი შრომის ადამიანები: ექიმები, პედაგოგები, ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე წარმოების სფეროს სპეციალისტები.

სეზონური მიგრაცია

უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა სეზონური მიგრაციის ზრდამ. ეს კასპის რაიონშიც დადასტურდა. ბოლო წლებში სეზონურ მიგრაციაში მონაწილეთა რიცხოვნობა იზრდება. აქედან რესპუბლიკის გარეთ გავიდა 7,6% (საშუალოდ წლიურად). ეს მონაცემი მიახლოებითია, რადგან ოფიციალური სტატისტიკა რამდენადმე შემცირებულია რეალურთან შედარებით.

ცხადია, სეზონური მიგრაციის მასშტაბების ზრდა რაიონის განვითარებას სიძნელეებს უქმნის, ამიტომ სეზონური მიგრაციის შემობრუნება რაიონის შიგნით სოციალურ-ეკონომიკური აქტივიზაციის ღონისძიებების რეალიზაციის პირობებში აუცილებელი იქნება.

ცვლილებები დემოგრაფიულ სტრუქტურაში

ახალგაზრდობის მიგრაციის ინტენსიფიკაცია ხელს უწყობს შობადობის დონის დაქვეითებას, ხოლო ორივე ერთად არსებით გავლენას ახდენს ასაკობრივ სტრუქტურაზე. 29 წლამდე ახალგაზრდობის ხვედრითი წონა შემცირდა, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობაში (ცხრ. 97).

აქ უნდა მივუთითოთ, რომ დემოგრაფიული დაბერების სარაიონო საშუალო მაჩვენებელზე გავლენას ახდენს აზერბაიჯანული მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 97

29 წლამდე ახალგაზრდობის ხვედრითი წონა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში (1970—1979 წწ) (%-ით)*

წელი	ქალაქი	სოფელი
1970	53,6	50,7
1979	52,7	47,8

ხლეობის მაჩვენებელი, სადაც დაბერების კოეფიციენტი ფაქტიურად არ არის. იქ ახალგაზრდობის ხვედრითი წონა მეტად მაღალია. კასპის რაიონის ქართულ მოსახლეობაში დემოგრაფიული დაბერების პროცესი ღრმავდება, განსაკუთრებით ქალებში.

4. მიგრაციული პროცესები და საზოგადოებრივი აზრი

ა. ქანქარისებური მიგრაცია

ქანქარისებური მიგრაცია კასპის რაიონისათვის მეტად დამახასიათებელი ფორმაა. როგორც დოკუმენტური მასალების ანალიზიდან დავრწმუნდით, მიგრაციის აღნიშნული სახე განსაკუთრებით რეგიონის სოფლის მოსახლეობისათვის არის დამახასიათებელი და მას მასობრივი ხასიათი აქვს.

ქანქარისებური მიგრაციის სოციალური მექანიზმის გასარკვევად საზოგადოებრივი აზრი შერჩევითი გამოკითხვის წესით შესწავლილ იქნა ქალაქსა და სოფლის მოსახლეობაში, წარმოება-დაწესებულებებში.

გამოირკვა, რომ ამ სახის მიგრანტთა უმეტესობას 5 წლამდე სტაჟი აქვს იმ საწარმოში (დაწესებულებაში) მუშაობისა, სადაც ამჟამად მუშაობს (ცხრ. 98).

ცხრილი 98

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება მუშაობის სტაჟის მიხედვით (%-ით)

მუშაობის სტაჟი (წელი)	%
1—2	21,8
3—5	21,8
6—9	15,2
10—11	7,3
12 და მეტი	24,1
არ უპასუხა	9,8
სულ	100,0

* იხ. 1970 და 1979 წლების მოსახლეობის საკავშირო აღწერის მასალები.

მიგრანტთა უმრავლესობა ავტობუსით მგზავრობს (65,3), შემდეგ — მატარებლით (18,5). საკუთარი ავტომანქანით სარგებლობს 11,9%.

საგრძნობია იმათი ხვედრითი წონა, ვინც მგზავრობაში ხარჯავს 1 საათზე მეტ დროს (ცხრ. 99).

ცხრილი 99

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება მგზავრობაზე დახარჯული დროის მიხედვით (%-ით)

მგზავრობაზე დახარჯული დრო (წუთებში)	%
15—20	2,9
20—30	16,5
30—60	34,0
60 და მეტი	40,4
არ უპასუხა	6,2
ს უ ლ	100,0

ცხადია, რაც უფრო იზრდება მგზავრობის დრო, მით უფრო მატულობს სამგზავრო გადაღლილობა. სწორედ ამის გამო მხოლოდ 23,5%-მა უპასუხა, რომ არ ღლის მგზავრობა საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე. ძლიერ დაღლილობას გრძნობს 28,1% (ცხრ. 100).

ცხრილი 100

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება სამგზავრო გადაღლილობის მიხედვით (%-ით)

სამგზავრო გადაღლილობა	%
მეტად იღლება	28,1
არც ისე	45,8
არ იღლება	23,5
არ უპასუხა	2,6
ს უ ლ	100,0

რეგიონში ქანქარისებური მიგრაციის ინტენსივობაზე მიუთითებს ის, რომ გამოკითხული პირის გარდა ამ ფორმის მიგრაციაში მისი ოჯახის სხვა წევრებიც მონაწილეობენ (ცხრ. 101).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 101

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილე ოჯახის სხვა წევრები

ოჯახის სხვა წევრი, რომელიც მონაწილეობს ქანქარისებურ მიგრაციაში	%
არავინ	43,0
ერთი წევრი	28,2
ორი წევრი	13,1
სამი წევრი	9,9
არ უპასუხა	9,8
ს უ ლ	100,0

ცხადია, მიგრაციულ ქცევას მიზეზთა კომპლექსი განაპირობებს. ირკვევა, რომ ქანქარისებური მიგრაციის ძირითადი მიზეზია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასურველ სამუშაოს არარსებობა; მეორე წამყვან მიზეზად ჩანს სპეციალობის მიხედვით მუშაობა, ხოლო შემდეგ უკეთესი ხელფასი, საუკეთესო სამუშაო პირობები, ოჯახური პირობები და სხვა (ცხრ. 102).

ცხრილი 102

ქანქარისებური მიგრაციის მიზეზები (%-ით)

მიზ ე ზ ებ ი	%
საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასურველი სამუშაოს არარსებობა	29,8
მუშაობა სპეციალობის მიხედვით	20,1
მეტი ხელფასი	12,8
უკეთესი სამუშაო პირობები	7,8
ოჯახური პირობები	6,0
წარმოების რეორგანიზაცია	0,6
შვილებთან ახლოს ყოფნა	1,6
დასვენების მეტი შესაძლებლობა	0,6
არ უპასუხა	20,7
ს უ ლ	100,0

აღსანიშნავია, რომ სამუშაო ადგილის ასეთი დაშორება, რომელიც ქანქარისებურ მიგრაციას ახასიათებს, უმრავლესობას არ აკმაყოფილებს (ცხრ. 103).

ცხადია, სამგზავრო გადაღლილობა ერთ-ერთი ის ძირითადი მიზეზია, რომელიც განსაზღვრავს კმაყოფილების დონეს.

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთა თითქმის ნახევარი ამჯობინებს, სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში, საკუთარ სოფელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 103

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება მგზავრობის სიშორით კმაყოფილების მიხედვით (%-ით)

კმაყოფილების დონე	%
არ აკმაყოფილებს	46,1
აკმაყოფილებს	35,2
არც ისე აკმაყოფილებს	7,1
ორგან ცხოვრობს	0,6
არ უპასუხა	11,0
ს უ ლ	100,0

იმუშაოს. ამასთანავე, საგრძნობია იმათი ხვედრითი წონა, ვინც ქალაქურ გარემოსთან შრომით კავშირებს ანიჭებს უპირატესობას (ცხრ. 104), რაც შრომის პირობების მიხედვით სოფელსა და ქალაქს შორის ჯერ კიდევ არსებულ განსხვავებაზე მიუთითებს.

ცხრილი 104

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება სასურველი საცხოვრებელი და და სამუშაო ადგილის მიხედვით (%-ით)

სასურველი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი	%
მშობლიური სოფელი	44,8
მშობლიური რაიონული ცენტრი	27,9
თბილისი	24,8
სხვაგან	0,9
არ უპასუხა	1,6
ს უ ლ	100,0

იმის გამო, რომ მიგრანტთა ნაწილი არ არის კმაყოფილი სამუშაო პირობებით, ან უძნელდება ხშირი შორი მგზავრობა სამსახურსა და საცხოვრებელს შორის, ზოგიერთს გადაწყვეტილი აქვს გამოიცვალოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი. ამასთან აღსანიშნავია, რომ უფრო მეტს სურს გამოიცვალოს სამუშაო ადგილი, ვიდრე საცხოვრებელი (ცხრ. 105).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 105

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისადმი დამოკიდებულების მიხედვით (%-ით)

საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისადმი დამოკიდებულება	%	სამუშაო ადგილის გამოცვლისადმი დამოკიდებულება	%
აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	12,3	აპირებს სამუშაო ადგილის გამოცვლას	20,4
არ აპირებს	68,1	არ აპირებს	47,7
ჯერ არ გადაუწყვეტია	14,3	ჯერ არ გადაუწყვეტია	27,7
არ უპასუხა	5,3	არ უპასუხა	4,2
ს უ ლ	100,0	ს უ ლ	100,0

გამოკითხულთა 49,2% მიაჩნია, რომ მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოიძებნება მისთვის სასურველი სამუშაო. სამუშაო ადგილის გამოცვლისადმი უფრო მეტად ორიენტირებულია ინფრასტრუქტურაში დასაქმებული მიგრანტი (ცხრ. 106).

ცხრილი 106

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება სამუშაო ადგილის გამოცვლისადმი დამოკიდებულებისა და დასაქმების სფეროს მიხედვით (%-ით)

დასაქმების სფერო	სამუშაო ადგილის გამოცვლა				
	აპირებს	არ აპირებს	ჯერ არ აპირებს	არ უპასუხა	ს უ ლ
სამრეწველო წარმოება	17,7	54,9	22,3	5,1	100,0
სასოფლო-სამეურნეო წარმოება	20,0	40,0	40,0	—	100,0
ინფრასტრუქტურა	34,0	28,3	35,8	1,9	100,0
არ უპასუხა	33,3	33,3	33,3	—	99,9

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისადმი მიდრეკილება უფრო მეტად დამახასიათებელია ახალგაზრდა და საშუალო თაობისათვის (ცხრ. 107).

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთაგან, შრომის ხასიათის მიხედვით, უფრო მეტად სურთ გამოიცვალონ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გონებრივი შრომის ადამიანებს (ცხრ. 108).

მიგრაციული გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს ოჯახური მდგომარეობა, ვისაც ოჯახი აქვს ნაკლებად მობილურია (ცხრ. 109).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 107

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება მიგრაციული განზრახვის და ასაკის მიხედვით (%-ით)

ასაკობრივი ჯგუფი	მიგრაციული განზრახვა				
	აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	არ აპირებს	ჯერ არ გადაუწყვეტია	არ უპასუხია	სულ
—24	20,0	51,1	20,0	8,9	100,0
25—29	15,1	47,0	28,8	9,1	100,0
30—39	16,4	63,0	13,7	6,9	100,0
40—49	8,1	82,4	8,1	1,4	100,0
50—59	10,0	88,0	—	2,0	100,0
60—	12,5	75,0	12,5	—	100,0
არ უპასუხია	—	90,0	10,0	—	100,0

ცხრილი 108

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება მიგრაციული განზრახვისა და შრომის ხასიათის მიხედვით (%-ით)

შრომის ხასიათი	მიგრაციული გადაწყვეტილება				
	აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	ჯერ არ გადაუწყვეტია	არ უპასუხია	სულ
გონებრივი შრომა	15,2	62,4	16,0	6,4	100,0
ფიზიკური შრომა (მრეწველობა)	11,7	71,5	12,3	4,5	100,0
ფიზიკური შრომა (სოფლის მეურნეობა)	—	—	100,0	—	100,0
არ უპასუხია	—	—	—	—	—

ცხრილი 109

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება მიგრაციული განზრახვისა და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით (%-ით)

ოჯახური მდგომარეობა	მიგრაციული განზრახვა				
	აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	არ აპირებს	ჯერ არ გადაუწყვეტია	არ უპასუხია	სულ
უცოლო (გაუთხოვარი)	16,9	53,0	21,7	8,4	100,0
ცოლიანი (გათხოვილი)	11,6	73,7	11,6	3,1	100,0
ქვრივი	—	57,1	28,6	14,3	100,0
განქორწინებული	—	50,0	50,0	—	100,0

ჩვენი გამოკვლევით კვლავ დასტურდება მიგრაციულ პროცესებში ქალთა აქტივიზაცია. ქალები უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცები, ტირებულნი არიან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისადმი (ცხრ. 110).

ცხრილი 110

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება მიგრაციული განზრახვისა და სქესის მიხედვით (%-ით)

მიგრაციული განზრახვა	სქესი	
	მამრობითი	მდედრობითი
აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	10,4	18,9
არ აპირებს	74,7	54,7
ჯერ არ გადაუწყვეტია	10,4	20,7
არ უპასუხა	4,5	5,7
სულ	100,0	100,0

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთა შორის მუდმივი მიგრაციული გადაწყვეტილების მიღებას, როგორც ირკვევა, ხელს უწყობს პროფესიული ცოდნის მიხედვით დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები.

მიგრაციულ გადაწყვეტილებას ღებულობს უპირატესად ის, ვისაც აქვს რაიმე პროფესია და ვერ უშოვია პროფესიის მიხედვით სამუშაო (ცხრ. 111, 112).

ცხრილი 111

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება მიგრაციული განზრახვისა და სპეციალობის მიხედვით (%-ით)

სპეციალობა	მიგრაციული განზრახვა				
	აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	არ აპირებს	ჯერ არ გადაუწყვეტია	არ უპასუხა	სულ
აქვს სპეციალობა	16,1	65,0	12,9	6,0	100,0
არა აქვს	5,5	76,9	14,3	3,3	100,0
ამჟამად ეუფლება	6,7	66,6	20,0	6,7	100,0
არ უპასუხა	—	66,7	33,3	—	100,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 112

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება მიგრაციული განზრახვისა და საცხოვრებელ ადგილზე სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობის მიხედვით (%-ით)

სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა	მიგრაციული განზრახვა				
	აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	ჯერ არ გადაწყვეტია	არ უპასუხა	სულ
არის შესაძლებლობა	10,6	70,2	13,2	6,0	100,0
არ არის შესაძლებლობა	16,3	69,6	12,6	1,5	100,0
უძნელდება პასუხის გაცემა	5,0	55,0	25,0	15,0	100,0
არ უპასუხა	—	2,8	2,3	94,9	100,0

როგორც ირკვევა, სამუშაო ადგილის გამოცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ძირითადად სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების სიშორე და ხელფასის სიმცირე განაპირობებს.

მიგრაციული გადაწყვეტილება (მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა), ცხადია, საშუალო და ხნიერი თაობისათვის არ არის ადვილი. ამიტომაც, საკუთარ მიგრაციულ გადაწყვეტილებასთან შედარებით უფრო მაღალია იმათი ხვედრითი წონა, ვისაც სურს მისმა საკუთარმა შვილმა იცხოვროს სხვაგან, განსაკუთრებით თბილისში (ცხრ. 113).

ცხრილი 113

ქანქარისებურ მიგრანტათა განაწილება შვილებისათვის სასურველი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (%-ით)

შვილებისათვის მუდმივი სასურველი საცხოვრებელი ადგილი	%
მშობლიური სოფელი	19,2
მშობლიური რაიონული ცენტრი	14,7
თბილისი	34,2
სხვა	15,2
არ უპასუხა	16,7
სულ	100,0

რესპონდენტთაგან, ვინც მიიღო მიგრაციული გადაწყვეტილება, უპირატესად თბილისში, ან რაიონულ ცენტრში აპირებს საცხოვრებლად გადასვლას, ამასთან მიზეზად ასახელებს სამუშაო ადგილთან მიახლოებას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ოჯახურ პირობებს.

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთაგან ნახევარზე მეტს სპეციალობა აქვს (65,1%), ხოლო ნაწილი (4,8%) ამჟამად ეუფლება. ვისაც პროფესია აქვს, ის მიუთითებს, რომ პროფესიას დაეუფლა დიდ ქალაქში (51,1%) და რაიონულ ცენტრში (39,4). აღსანიშნავია, რომ მამაკაცი და ქალი თითქმის თანაბრად ფლობს რაიმე სპეციალობას (ცხრ. 114).

ცხრილი 114

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება სპეციალობის და სქესის მიხედვით (%-ით)

სპეციალობა	სქესი	
	მამრობითი	მდედრობითი
სპეციალობა აქვს	66,4	65,5
არა აქვს	25,3	30,9
ამჟამად ეუფლება	4,8	3,6
არ უპასუხა	3,5	—
სულ	100,0	100,0

ქანქარისებურ მიგრანტთა მნიშვნელოვან ნაწილს საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება აქვს (ცხრ. 115).

ცხრილი 115

ქანქარისებურ მიგრანტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით (%-ით)

განათლების დონე	%
დაწყებითი	5,8
არასრული საშუალი	17,9
ზოგადი საშუალო	27,3
პროფტექნიკური	3,9
საშუალო სპეციალური	23,7
უმაღლესი	21,4
სულ	100,0

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილენი მთელ რიგ სოციალურ მოთხოვნებს აყენებენ, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობდა მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. წარმოებას, სადაც მუშაობენ, გამოეყოს ავტობუსი, რომელიც მოემსახურება თანამშრომლებს სამუშაო და საცხოვრებელ ადგილს შორის მიმოსვლისათვის (კასპის ცემენტისა და ელექტროაპარატის ქარხნები, მეტეხის, კავთისხევის საწარმოები და სხვა).

2. საგარეუბნო მატარებლების გრაფიკის დარღვევის შემთხვევების ლიკვიდაცია

3. საავტომობილო გზების კეთილმოწყობა.

4. საკუთარი ავტომანქანის შეძენა.

5. მთის ზონის სოფლებში ზამთრის სეზონში საავტობუსო მიმოსვლის ორგანზიაცია.

6. ძირითად ხაზებზე ავტობუსების მოძრაობა 15 წუთიანი ინტერვალით.

7. სოფელს გამოეყოს ავტობუსი.

8. ავტოტრანსპორტი ტექნიკურად გამართული გამოდიოდეს ხაზზე.

9. ავტობუსის გრაფიკი შეთანაწყობილი იყოს წარმოებაში ცვლების რეჟიმთან.

10. გაიზარდოს რაიონში ავტობუსების საერთო რაოდენობა.

ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია. რესპონდენტთა 70,3% ქართველია; დაოჯახებულია — 66,2%. 73,1% დასაქმებულია სამრეწველო წარმოებაში, 20,1% — ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სფეროში; სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მხოლოდ 3,2% მონაწილეობს.

ბ. მოსალოდნელი მიგრაცია

მკვიდრი მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრდის შესწავლამ, რაც სპეციალური პროგრამით შესრულდა, მოგვცა შესაძლებლობა გაგვერკვია მიგრაციული ტენდენციები.

ქალაქში ცხოვრება მოსწონს რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (65,1%). ქალაქში ცხოვრების უპირატესობას ხედავენ, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების უკეთეს პირობებში, კულტურის მაღალ დონესა და თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარებაში, გართობის მრავალფეროვანი საშუალებების არსებობაში. ამასთან, სოფლისა და ქალაქის (ქ. კასპი) მოსახლეობა რამდენადმე განსხვავებულად აფასებს ამ უპირატესობას (ცხრ. 116).

ცხრილი 116

რესპონდენტთა განაწილება დასახლების ტიპისა და ქალაქში ცხოვრების უპირატესობათა მიხედვით (%-ით)

ქალაქში ცხოვრების უპირატესობანი	დასახლების ტიპი	
	ქალაქი	სოფელი
კულტურის დონე მაღალია, გართობის მეტი საშუალებაა	26,7	22,4
სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურება კარგია	14,3	14,9
ცხოვრების პირობები უკეთესია	40,0	50,7
შრომის ანაზღაურება უფრო მაღალია	1,0	3,0
შვილების განათლებისა და აღზრდისათვის უკეთესი პირობებია	10,5	7,5
იქ დაიბადა, შეჩვეულია ქალაქს	2,9	—
მეტად უყვარს და მოსწონს ქალაქური ცხოვრება	1,9	—
სამუშაოს შოვნა ადვილია	2,7	1,5
ს უ ლ	100,0	100,0

გამოკითხულთა 15,8% მიაჩნია, რომ სოფლად ცხოვრება უმჯობესია, რასაც ასაბუთებენ სოფლის წყნარი ცხოვრებით, სუფთა და კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში რაიონულ ცენტრისა და სოფლის მოსახლეობის მიერ მოწოდებული შეფასებები მკვეთრად განსხვავებულია (ცხრ. 117).

ცხრილი 117

რესპონდენტთა განაწილება დასახლების ტიპისა და სოფელში ცხოვრების უპირატესობის მიხედვით (%-ით)

სოფელში ცხოვრების უპირატესობანი	დასახლების ტიპი	
	ქალაქი	სოფელი
სოფელი მხოლოდ საზაფხულოდ არის კარგი	11,5	—
სოფელში სიწყნარეა და კარგი ჰაერი	26,9	44,2
საკუთარი გაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები	23,1	5,3
ეკონომიურად ადვილია ცხოვრება	11,5	3,2
საცხოვრებელი პირობები კარგია	—	6,3
უყვარს სოფლის ცხოვრება, იქ დაიბადა	7,7	27,4
სოფელში მეტია ურთიერთპატივისცემა, დამოკიდებულებაში სითბო და სიყვარული	3,8	1,1
სოფელში აქვს ბინა და ნაკვეთი	—	8,4
პროფესია სოფელს უდგება, მუშაობით კმაყოფილია	—	4,1
უძნელდება პასუხის გაცემა	15,5	—
ს უ ლ	100,0	100,0

სოფლის მოსახლეობა უფრო მეტად, ვიდრე რაიონული ცენტრის მოსახლეობა, არის ორიენტირებული საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისადმი (ცხრ. 118).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 118

რესპონდენტთა განაწილება მიგრაციული გადაწყვეტილების მიხედვით (%-ით)

მიგრაციული გადაწყვეტილება	დასახლების ტიპი	
	ქალაქი	სოფელი
არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	86,4	80,7
აპირებს ქალაქში საცხოვრებლად გადასვლას	9,8	17,9
აპირებს სოფელში საცხოვრებლად გადასვლას	3,8	1,4
სულ	100,0	100,0

ხელფასის ოდენობა გავლენას ახდენს მიგრაციული განზრახვის ფორმირებაზე. როგორც ჩანს, ნაკლები ხელფასი ხელს უწყობს მიგრაციული გადაწყვეტილების მიღებას (ცხრ. 119).

ცხრილი 119

რესპონდენტთა განაწილება მიგრაციული განზრახვისა და ხელფასის ოდენობის მიხედვით (%-ით)

ხელფასის ოდენობა (მანეთი)	მიგრაციული განზრახვა					
	ქალაქი			სოფელი		
	არ აპირებს	აპირებს სხვა ქალაქში გადასვლას	აპირებს სოფელში გადასვლას	არ აპირებს	აპირებს ქალაქში გადასვლას	აპირებს სხვა სოფელში გადასვლას
—70	—	—	—	9,7	8,0	—
70—100	15,8	26,7	26,7	45,2	36,0	—
100—150	35,0	46,7	46,7	25,0	24,0	50,0
150—200	34,2	13,3	13,3	8,0	20,0	—
200 და მეტი	12,5	13,3	13,3	9,7	8,0	50,0
გამომუშავებაზეა	2,5	—	—	2,4	4,0	—
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

საცხოვრებელი ადგილის გამოცვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას ხელს უწყობს, აგრეთვე, ადგილზე სასურველი სამუშაოს არარსებობა (ცხრ. 120).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 120

რესპონდენტთა განაწილება მიგრაციული განზრახვისა და სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობათა მიხედვით (%-ით)

მიგრაციული განზრახვა	სასურველი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა			
	ქალაქი		სოფელი	
	არის შესაძ-ლებლობა	არ არის შე-საძლებლობა	არის შესაძ-ლებლობა	არ არის შე-საძლებლობა
არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას	86,6	80,0	82,5	80,0
აპირებს საცხოვრებლად დიდ ქალაქში გადასვლას	10,5	6,7	15,8	20,0
აპირებს საცხოვრებლად სოფელში გადასვლას	2,9	13,3	1,7	—
სულ	100,0	100,0	100,0	100,0

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა საგრძნობი ნაწილი არ მუშაობს სპეციალობის მიხედვით, განსაკუთრებით ეს შეეხება რაიონული ცენტრის მოსახლეობას (ცხრ. 121), რაც ნეგატიურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, ეს არა მარტო კასპის რაიონისათვისაა დამახასიათებელი.

ცხრილი 121

რესპონდენტთა განაწილება სპეციალობით მუშაობის მიხედვით (%-ით)

დასაქმება სპეციალობის მიხედვით	დასახლების ტიპი	
	ქალაქი	სოფელი
მუშაობს სპეციალობის მიხედვით	58,3	71,3
არ მუშაობს სპეციალობის მიხედვით	41,7	28,7
სულ	100,0	100,0

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად რაიმე პროფესიას ფლობს (ცხრ. 122).

ცხრილი 122

რესპონდენტთა განაწილება სპეციალობის ფლობის მიხედვით (%-ით)

სპეციალობა	დასახლების ტიპი	
	ქალაქი	სოფელი
აქვს სპეციალობა	76,3	71,3
არა აქვს სპეციალობა	23,7	28,7
ს უ ლ	100,1	100,0

მიგრაციული პროცესების მოსალოდნელ ინტენსიფიკაციაზე მიგვითითებს რესპონდენტთა შვილების ფაქტიური და სასურველი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შედარებითი მაჩვენებლები (ცხრ. 123).

ცხრილი 123

რესპონდენტთა განაწილება შვილებისათვის სასურველი და ფაქტიური მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (%-ით)

საცხოვრებელი ადგილი	ფაქტიური		სასურველი	
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
დიდი ქალაქი	2,2	15,2	27,9	34,2
მშობლიური რაიონული ცენტრი	29,0	13,6	20,6	11,4
მშობლიური სოფელი	48,8	48,8	45,6	48,1
სხვა სოფელი	20,0	22,4	5,9	6,3
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0

მიგრაციული პროცესების რეგულირება შესაძლებელია მიგრაციის გამომწვევი ფაქტორების სასურველი მიმართულებით წარმართვის გზით. ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს რესპონდენტთა მიერ საცხოვრებელი პირობების შეფასებათა მაჩვენებლები (ინდექსები). როგორც ირკვევა, ამ მხრივ არსებითი ხასიათის ნეგატიური მოვლენები სპეციალურ ყურადღებას საჭიროებს. მოსახლეობა უარყოფითად აფასებს (და საკმაოდ მკაცრადაც) სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, სამედიცინო მომსახურების სფეროებს, შიდაგზების მდგომარეობას, სასმელი წყლით (განსაკუთრებით ქ. კასპში) უზრუნველყოფას (ცხრ. 124).

აღძრულ საკითხს უკავშირდება რესპონდენტთა მიერ შემოთავაზებული სოციალური მოთხოვნები.

ცხრილი 124

საცხოვრებელი პირობები ინდექსით V

საცხოვრებელი პირობები	ქალაქი V	სოფელი V
კლიმატი	—0,1	+0,6
სასმელი წყალი	—0,3	+0,1
შიდაგზები	—0,4	—0,5
სატრანსპორტო მომსახურება	—0,4	—0,4
საყოფაცხოვრებო მომსახურება	—0,2	—0,6
სავაჭრო მომსახურება	—0,6	—0,7
სამედიცინო მომსახურება	—0,4	—0,3
კულტურულ დაწესებულებათა მუშაობა	—0,2	—0,0

ქალაქის მოსახლეობის საზოგადობრივი აზრი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს პარკების, სკვერების, გასართობი ადგილების, დასასვენებელი კუთხეების, სპორტული ბაზების მოწყობას; მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესებას; შიდაგზების კეთილმოწყობას, სასმელი წლით უზრუნველყოფას, ქუჩის განათების მოწესრიგებას, სისუფთავეს, კანალიზაციის მოწყობას, სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებას (ცხრ. 125).

ცხრილი 125

სოციალური მოთხოვნები საზოგადოებრივი აზრის მიხედვით (%-ით)

ქ. კასპი

1. მოეწყოს პარკები, სკვერები, გასართობები, დასასვენებელი ადგილი	32,6
2. კეთილმოეწყოს შიდაგზები, კანალიზაცია, ქუჩის განათება	22,0
3. გაუმჯობესდეს სასმელი წყლით მომარაგება	13,5
4. გაუმჯობესდეს საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, სავაჭრო მომსახურება	9,9
5. მოეწყოს სპორტული ბაზები	9,9
6. ავტოტრანსპორტმა იმუშაოს ნორმალურად	8,4
7. ქალაქში მოეწყოს ქორწინების სახლი	2,8
8. ქალაქში დაიდგას ჟურნალ-გაზეთების გასაყიდი კიოსკი	0,9
სულ	100,0

სოფლის მოსახლეობის სოციალური მოთხოვნები რამდენადმე განსხვავებული სტრუქტურის მქონეა, ამავე დროს, ცალკეულ მოთხოვ-

ნათა განსხვავებული ინტენსივობის მაჩვენებლებით. აქ წინა რიგში გამოდის შიდაგზების კეთილმოწყობა, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, კულტურის კერების ღონისძიებათა ორგანიზაცია, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლება და სხვა (ცხრ. 126).

ცხრილი 126

სოციალური მოთხოვნები საზოგადოებრივი აზრის მიხედვით. სოფლის მოსახლეობა (%-ით)

1. მოეწყოს შიდაგზები, მოიხრეშოს, განათდეს	25,6
2. მოგვარდეს სარწყავი და სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმე	18,2
3. გაუმჯობესდეს სამედიცინო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურება	16,5
4. აშენდეს კულტურის კერები, ხშირად ტარდებოდეს კულტურული ღონისძიებები	15,8
5. მოეწყოს ბაგა-ბაღები	6,4
6. გამოყვანილ იქნეს ბუნებრივი გაზი	6,0
7. გაუმჯობესდეს სატრანსპორტო მომსახურება	5,4
8. სოფელი მოეწყოს ქალაქურად	3,4
9. მოეწყოს აბანო	2,7
სულ	100,0

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ

1. უკანასკნელ აღწერათშორისო პერიოდში (1970 — 1979 წწ.) კასპის რაიონის ქალაქის (ქ. კასპი) მოსახლეობამ მოიმატა ბუნებრივი მატების ხარჯზე, ხოლო სოფლის მოსახლეობამ დაიკლო მიგრაციის აჩქარების და ბუნებრივი მატების მკვეთრი დაქვეითების გამო. წინააღწერათშორისო პერიოდთან (1959—1970 წწ.) შედარებით რაიონის მოსახლეობაში მიმდინარე რაოდენობრივი ცვლილებები აღინიშნება არასასურველი ტენდენციით. ეს შეეხება როგორც ქალაქის, ისე. განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობას.

2. რაიონის მოსახლეობა ინტენსიური მიგრაციული ძვრების არეალშია მოქცეული. დადასტურებულია მიგრაციის სხვადასხვა ფორმა (მუდმივი, ქანქარისებური, სეზონური, გეგმიური).

მიგრაციის ინტენსივობა განსხვავებულია სასოფლო საბჭოების მიხედვით, რაც განპირობებულია სატრანსპორტო კავშირების უზრუნველყოფით, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული აქტივიზაციის დონით.

3. მიგრაციის გაძლიერების შედეგად არის შემთხვევები მთის

ზოლის სოფლების გაუქმებისა და ზოგიერთი სოფლის მოსახლეობის მკვეთრი შემცირების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მიგრაციული კავშირები ძირითადად დასტურდება დედაქალაქთან, აგრეთვე სხვა საქალაქო დასახლებებთან. მეტად სუსტია მიგრაციული კავშირი საშუალო ქალაქ გორთან.

5. მიგრაციის ფაქტორებად გვევლინება: სწრაფვა ცხოვრების ქალაქური სტანდარტებისადმი, თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარება, შრომის უკეთესი პირობები, მეტი ანაზღაურება, საცხოვრებელ ადგილზე სასურველი სამუშაოს არარსებობა, ცუდი საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამედიცინო მომსახურება.

6. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მიგვანიშნებს მიგრაციული პროცესების მოსალოდნელ ინტენსიფიკაციაზე.

7. ქანქარისებური გამავალი მიგრაციული ნაკადი თვისებრივად განსხვავებულია შემომავალი ნაკადისაგან. გამავალი ნაკადი ძირითადად ზოგადი საშუალო და დაწყებითი განათლების მქონეა და მიგრანტები ძირითადად სამრეწველო წარმოებაში ფიზიკურ შრომაში არიან დასაქმებულნი. რაიონში შემომავალი ნაკადი უფრო მეტად გონებრივ შრომის სფეროსთან არის დაკავშირებული.

8. ქანქარისებური მიგრაციის ძირითადი გამომწვევი ფაქტორებია: საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასურველი სამუშაოს არარსებობა, სწრაფვა უკეთესი ანაზღაურებისაკენ, უკეთესი სამუშაო პირობები.

ქანქარისებური მიგრაცია მუდმივი მიგრაციის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს, მაგრამ, ამავე დროს, ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილე პოტენციური მუდმივი მიგრანტია.

მცირე ქალაქის და მისი სასოფლო რეგიონის მოსახლეობა, რომელიც საშუალო ქალაქსა და დიდ ქალაქს შორის მდებარეობს, სპეციფიკურ მიგრაციულ ქცევას ამჟღავნებს. მიუხედავად გორთან უშუალო გეოგრაფიული სიახლოვისა, მოსახლეობის მიგრაციული ნაკადის უდიდესი ნაწილი დიდ ქალაქს — თბილისს უკავშირდება, რომელიც გორთან შედარებით უფრო დაშორებულია. დიდ ქალაქთან მიგრაციული კავშირი იმდენად ძლიერია, რომ მცირე ქალაქისა და, განსაკუთრებით, მისი სასოფლო რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა მკვეთრად შეცვლილია ნეგატიური მიმართულებით.

ამგვარად, ცხადად ჩანს, რომ მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობა მოსახლეობას დიდ ქალაქში, ამ შემთხვევაში თბილისში, მიგრაციისაკენ უბიძგებს, რაც, თავის მხრივ რესპუბლიკის დედაქალაქზე არასასურველ, ისედაც ძლიერ, მიგრაციულ დაწოლას ზრდის, აქ კვლავ დგება, გორის, როგორც საშუალო ქალაქის, ეკონომიკური და სოციალური აქტივიზაციის ამაღლების საკითხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე

მოსახლეობის მიგრაციული პოლიტიკა და საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარება

1. მიგრაციული პოლიტიკის თეორიული საკითხები

მარქსისტული სოციალოგიური თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე აგებული მიგრაციული პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია სადღეისო მოთხოვნაა.

მიგრაციული პოლიტიკის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სახელმწიფოებრივ დონეზე შემუშავებულ კომპლექსურ (სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, იურიდიულ-ადმინისტრაციული, სოციალურ-ფსიქოლოგიური) ღონისძიებათა ორგანიზაცია, რომლის რეალიზაციის პირობებში შესაძლებელი გახდება პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გზით, მიგრაციული პროცესების რეგულირება.

განვითარებული სოციალიზმის პერიოდში მიგრაციული პროცესების რეგულირების არსი კი პიროვნებისა და საზოგადოების ორმხრივი და ურთიერთგანმსაზღვრელი განვითარებისათვის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

არ არის დასამალი, რომ რესპუბლიკაში სხვადასხვა დროს ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული მიგრაციული გადაწყვეტილებები თეორიულად არ გვქონდა დამუშავებული; ამიტომ შემდგომში, გარკვეულად, დადებითთან ერთად უარყოფითმა შედეგებმაც იჩინა თავი.

ძნელი წარმოსადგენია ველოდოთ დადებით შედეგს მიგრაციული ღონისძიებისაგან მაშინ, როცა რეგიონის ადგილობრივ თავისებურებებთან ერთად არ გავითვალისწინებთ რესპუბლიკის, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკური სისტემის, განვითარების მოთხოვნებს და თავისებურებებს.

სკკპ XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი პარტიის სოციალური პოლიტიკის მნიშვნელობის ზრდამ. ამასთან არის დაკავშირებული ისიც, რომ ხუთწლიანი გე-

გმები ამჟამად იწოდება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური
განვითარების გეგმად“. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სოციალურმა
ღონისძიებებმა ფართო და სისტემური გეგმიური ხასიათი მიიღო. „სოცი-
ციალური განვითარება“ ტევადი ცნებაა და, უპირველეს ყოვლისა, მას-
ში იგულისხმება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ისეთი
მიმართულებით განვითარება, რომელიც კომუნიზმის მშენებლობის
პრინციპების შესაბამისი იქნება პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმო-
ნიული განვითარების მისაღწევად.

ზემოაღნიშნული უმაღლესი იდეალი იგულისხმება სიტყვებში:
„კონკრეტული ზრუნვა კონკრეტული ადამიანისათვის, მისი
საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისათვის ეს არის პარტიის ეკონომი-
კური პოლიტიკის თავიდათავი“[1].

სოციალური პოლიტიკის არსებით ნაწილს წარმოადგენს დემოგრა-
ფიული პოლიტიკა. სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ პარტიის XXV
ყრილობის მითითებათა შესაბამისად, ცენტრალური კომიტეტი დიდ
ყურადღებას უთმობდა ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუ-
შავებასა და განხორციელებას, ამ ბოლო ხანს გამწვავებულ ხალხთმო-
სახლეობის პრობლემებს. მათი გადაწყვეტის მთავარი გზაა უფრო მეტი
ზრუნვა ოჯახისათვის, ახლად დაქორწინებულთათვის და, უწინარეს ყო-
ვლისა, ქალისათვის. ვინ არ იცის, რა ძნელია ზოგჯერ დედის მოვალეო-
ბათა შეხამება წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ
მონაწილეობასთან.

მეათე ხუთწლედში მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა
მომუშავე ქალთა შრომის პირობების, ოჯახიანად დასვენების, საყო-
ფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად. მაგ-
რამ, პირდაპირ უნდა ითქვას: ჯერჯერობით საგრძნობი გარდატეხა არ
მომხდარა. უფრო ფართო და ქმედითი ღონისძიებანია საჭირო და ეს
ღონისძიებანი, როგორც ცნობილია, უკვე დასახულია ძირითად მიმარ-
თულებებში. ჩვენ ვგულისხმობთ ერთ წლამდე ბავშვის მოსავლელად
ნაწილობრივად ანაზღაურებული შვებულების შემოღებას, მცირეწლო-
ვან ბავშვთა დედებისათვის არასრულ სამუშაო დღეს, სკოლამდელ ბავ-
შვთა დაწესებულებების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების, მთელი
საყოფაცხოვრებო სამსახურის ქსელის გაფართოებასა და მუშაობის
გაუმჯობესებას. გათვალისწინებულია ბავშვებზე დახმარების მომატება,
განსაკუთრებით მეორე და მესამე ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით.
ცხადია, ჩვენ ერთბაშად ვერ განვახორციელებთ ყველაფერს, რაც გვინ-

---

1 სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 82.

და. მაგრამ, გულმოდგინე ძიებით ვეცდებით გამოვნახოთ ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა. ამასთან, რა თქმა უნდა, გულმოდგინეა უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა რესპუბლიკისა და რეგიონის მდგომარეობის თავისებურებანი.

და მოსახლეობის კიდევ ერთი ჯგუფის — პენსიონერების შესახებ. სამოცდაათიან წლებში მათი რიცხვი 40-დან 49 მილიონამდე გაიზარდა. პარტია და სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავენ შრომისა და ომის ვეტერანთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. მარტო პენსიებისა და დახმარების გასაცემად ახლა ყოველწლიურად 43 მილიარდი მანეთი იხარჯება. და ბოლო ხანს პენსიის ოდენობაც გავზარდეთ, მაგრამ, ეს დანამატი არ შეეხო იმათ, ვინც მანამდე გავიდა პენსიაზე. მიმდინარე ხუთწლედიდან გათვალისწინებულია ეს მდგომარეობა თანდათან გამოსწორდეს.

მაგრამ, საჭიროა სხვა რამეც — უფრო ფართოდ ჩავაბათ შრომითს საქმიანობაში ჩვენი ვეტერანები კერძოდ — მომსახურების სფეროში. ცხადია, მათი შესაძლებლობის კვალობაზე და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად. თანამედროვე პირობებში ეს ძალზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა"[2]. როგორც ვნახეთ, პარტიამ წამოაყენა დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების ფართო პროგრამა. მართალია, აქ მსჯელობა არ არის მიგრაციული პოლიტიკის შესახებ, მაგრამ სხვა ადგილას შრომითი რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებით მსჯელობა მოითხოვს ღრმა დაკვირვებასა და საკითხის მეცნიერულ დამუშავებას.

XXVI ყრილობის მიერ დამტკიცებულ ძირითად მიმართულებებში (თავი III. მეცნიერების განვითარება და ტექნიკური პროგრესის დაჩქარება) ნათლად არის მითითებული: „ვაწარმოოთ კვლევა განვითარებული სოციალიზმის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების თეორიულ საკითხებზე; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის, დარგებისა და რაიონების ეკონომიკის, აგრარული თეორიის, დემოგრაფიის პრობლემებზე;

დავამუშაოთ მომწიფებული სოციალიზმის სოციალური სტრუქტურისა და პოლიტიკური სისტემის განვითარების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძველის განმტკიცების,

---

2 სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 91—92.

ადამიანის კომუნისტური აღზრდის, ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების, სოციალისტური ცხოვრების წესის პრობლემები"[3].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციოლოგიურ და დემოგრაფიულ ლიტერატურაში მოყენებულია მეტად საყურადღებო მოსაზრებები მიგრაციული პროცესების რეგულირებისა და, საერთოდ, მიგრაციული პოლიტიკის თეორიული საფუძვლების შესახებ.

ჯერ განვიხილავდეთ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ ძირითად მეცნიერულ მოსაზრებებს, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის მიერ სვერდლოვსკის უნივერსიტეტში 1919 წლის 11 ივლისს წაკითხული ლექციიდან ის ადგილი, რომელიც შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებაში მოვლენის განვითარებაში ისტორიული კავშირების გათვალისწინების აუცილებლობას: „ყველაზე საიმედო საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში და აუცილებელი იმისათვის, რომ ნამდვილად შევიძინოთ ჩვენა ამ საკითხისადმი სწორად მიდგომისა და არ დავიბნეთ უამრავ წვრილმანებში ან ერთმანეთთან მებრძოლ შეხედულებათა უდიდეს სხვადასხვაობაში, — ყველაზე მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით მივუდგეთ, — არის ის, რომ არ დავივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში, და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ, თუ რად იქცა ეს მოვლენა ამჟამად"[4].

მიგრაციული პოლიტიკის შესახებ მსჯელობა შეიძლება იქიდან დავიწყოთ, რომ ეფექტიანობის თვალსაზრისით მიგრაცია რამდენადმე წინააღმდეგობრივი მოვლენაა. როგორც შენიშნავენ, სოციალური თვალსაზრისით საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის ახალგაზრდობის გადასვლას ქალაქად მისი განათლების დონის ამაღლების, მისი ნიჭისა და უნარის უკეთესი გამოყენების მიზნით; ამავე დროს, მიგრაციის მაღალი ინტენსივობა ეკონომიკურად დიდად წამგებიანია და და სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებს[5].

ზოგადი თვალსაზრისით ასეთი მოსაზრება უნდა გავიზიაროთ, მაგრამ, ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ საწარმოო

---

3 სკკპ XXVI ყრილობა. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, თბ., 1981, გვ. 29.

4 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტხზ., ტ. IX, გამოცემა მეოთხე, თბ., 1952, გვ. 555—556.

5 З а с л о в с к а я Т. И., Р ы б а к о в с к и й Л. Л., Процессы миграции и их регулирование в социалистическом обществе, журн. «Социологические исследования», 1978, № 1, с. 65—66.

ძალების განლაგების პრინციპებზე დაყრდნობით შეუძლებელია განსახლების ორი ძირითადი ტიპის: ქალაქისა და სოფლის განვითარება. უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ „ქალაქისა და სოფლის განსახლების პრობლემა თავის საფუძველში, როგორც ფაქტიური ცხოვრების პირობებისა და საქმიანობის განხორციელების პრობლემა—სოციალური პრობლემაა და მისი გადაწყვეტა ტექნიკური საშუალებებით, წარმოების განვითარებით მის სოციალურ ფორმებთან და შედეგებთან კავშირის გარეშე შეუძლებელია“[6].

ამრიგად, დასახლების ტიპები „სოფელი“ და „ქალაქი“ ურბანიზაციის და სოციალური განვითარების დღევანდელ პირობებში მიგრაციასთან დაკავშირებით უნდა გავიაზროთ, როგორც სოციალური ფენომენები.

დასახლებულ პუნქტებს შორის მიგრაციული ნაკადების ცვლა ფაქტორთა კომპლექსით არის განპირობებული. ა. იანგელსკი სწორედ აღნიშნავს, რომ ყოველ ინდივიდს მოქმედებისა და საქმიანობის საკუთარი სივრცე (ველი) აქვს. ადამიანის შესაძლებლობები შეზღუდულია სრულად და სათანადოდ მიიღოს და გამოიყენოს ყველა ინფორმაცია გარემოს შესახებ. ეს დამოკიდებულია მიღებულ გამოცდილებაზე, გონებრივი განვითარების დონეზე, რომლის დახმარებით იზომება მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა. ამასთან ერთად, ინფორმაციის გამოყენების უნარი დაკავშირებულია ასაკთან, განათლებასთან, პროფესიასთან, საზოგადოებრივ მდგომარეობასთან, პიროვნულ ინტერესებთან, მოთხოვნილებებთან, ჩვევებთან. ამრიგად, მიგრაციული გადაწყვეტილების მიღება რიგ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ურთიერთმოქმედებით განისაზღვრება[7].

მიგრაციულ პოლიტიკაში, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობენ ყოველი მიგრაციული ნაკადის, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ფორმირებისაკენ მიმართულ ყოველგვარ ღონისძიებებს. ეს ღონისძიებები, ცხადია, საზოგადოებისა და თითოეული მიგრანტისათვის სასურველი უნდა იყოს[8].

მიგრაციული ღონისძიებები რომ დასახო, უნდა იცოდე მისი წარმომქმნელი ფაქტორები. მაგრამ, ფაქტორები, რომლებიც მიგრაციულ ქცევას განსაზღვრავენ საბჭოთა სოციალურ დემოგრაფიაში, სოციოლოგიაში არ არის სათანადო სიღრმით და სისრულით შესწავლილი და დადგენილი. ამიტომაც შენიშნავენ, რომ დღეისათვის არა გვაქვს

---

6 Дмитриев А. В., Моисеевич М. Н., СССР—США: Социальное развитие в городах, Ленинград, 1981, с. 40.

7 Янгельский А., География населения. М., 1980, с. 215.

8 Основы теории народонаселения, ред. Д. И. Волентей. М., 1973, с. 291

მიგრაციის ფაქტორების რამდენადმე დამუშავებული თეორია[9]. მაშასადამე, პირველი, რაც მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებას აფერხებს, ესაა მიგრაციის წარმომქმნელი მიზეზების არასაკმაო მეცნიერული ცოდნა და, ცხადია, ფაქტორების თეორიის ფაქტიურად არქონა.

მიგრაციული პოლიტიკის თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებულია შემდეგი აქტუალური საკითხიც — მიგრაციულ პროცესებში სტიქიურისა და ორგანიზებული საწყისის ურთიერთმიმართების გაურკვევლობა.

მიგრაციული პოლიტიკის თეორიული საკითხები დამუშავების პროცესშია და არც არის გასაკვირი ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებების წარმოქმნა და მისი დასაბუთების ცდები. ამას აღიარებს თვით ლ. რიბაკოვსკიც, როცა ამბობს, სოციალიზმის დროს საზოგადოების მხრივ მიგრაციულ პროცესებზე ზემოქმედების შესაძლებლობათა შესახებ მეცნიერთა შორის არ არის შეხედულებათა ერთიანობა. შეხედულებათა განსხვავებულობა თავს იჩენს იმაშიც კი, რომ მიგრაცია სტიქიურად მიმდინარეობს თუ ყოველთვის გეგმაზომიერია, მიგრაციული პროცესის მართვა შესაძლებელია თუ არა[10].

ამრიგად, მიგრაციული პროცესების სტიქიურობისა და გეგმაზომიერების შესახებ მსჯელობათა არგუმენტირება ჯერ კიდევ ნათელი არ არის.

თუ ჩვენ მივიჩნევთ (როგორც ზოგი მკვლევარი ვარაუდობს), რომ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გეგმიური ღონისძიებები გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე, აქედან რატომ უნდა დავასკვნათ ინდივიდის მიგრაციული ქცევის მაინცადამაინც გეგმიურობა. ვ. პერევედენცევი ფიქრობს, რომ მიუხედავად ყოველი მიგრაციული შემთხვევის ინდივიდუალური ხასიათისა, მთლიანად მიგრაციული პროცესი კანონზომიერად განპირობებულია საწარმოო ძალების განლაგებით, ცხოვრების დონის ტერიტორიული დიფერენციაციით, აგრეთვე მორალური ფაქტორებით[11].

ობიექტურად მოცემული საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური სიტუაცია ინდივიდში აყალიბებს გარკვეულ მოთხოვნილებებს, ინტერესებს, რაც შემდეგ მეტ-ნაკლებად მყარი სოციალური ღირებულებე-

---

9 Рыбаковский Л. Л., Шапиро В., Факторы межрайонной миграции населения; в кн.: «Куда и зачем едут люди», М., 1979, с. 26.

10 Рыбаковский Л. Л., Сущность и формы миграции населения в СССР; в кн.: «Социальные факторы и особенности миграции населения СССР». М., 1978, с. 20.

11 Переведенцев В. И., Методы изучения миграции населения, М., 1975, с. 101.

ბის სახით წარმოგვიდგება; მის საფუძველზე კი მიზეზებისა და მოტივების ერთობლიობა უშუალოდ წარმოქმნის მიგრაციულ ქცევას. სხვაგვარად მიგრაციული ქცევა, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი, აუხსნელი დაგვრჩება. მაშასადამე, არსებითად მიგრაცია უნდა მივიჩნიოთ პიროვნების ნებისა და სურვილის გამოხატულებად, რაც დეტერმინებულია ობიექტურად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებით. მაშასადამე, მიგრაციული აქტი ქვეცნობიერი, ბიოლოგიური ფენომენი კი არ არის, არამედ ობიექტურად არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებით არის სანქცირებული. ამრიგად, სტიქიური მიგრაცია (უმჯობესია გამოთქმა „არაორგანიზებული") მისაღებად უნდა მივიჩნიოთ.

ცხადია, მიგრაციის ისეთ ორგანიზებულ ფორმებს, როგორიცაა: მუშახელის ორგანიზებული შეგროვება, გეგმიური სასოფლო-სამეურნეო ჩასახლება, საზოგადოებრივი მოწოდება, სამუშაოდან სამუშაოზე გადაყვანა, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ განაწილება — მიზნობრივი დანიშნულება აქვთ და მათი გამოყენების პრაქტიკა დიდი ხანია დანერგილია.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მოსაზრებას, რომ „ყველაზე სასტიკმა ადმინისტრაციულმა ღონისძიებებმა მხოლოდ შეიძლება რამდენიმე ხნით შეაჩეროს, დაამუხრუჭოს, მაგრამ სრულებითაც ვერ შეწყვიტოს მიგრაცია, თუ ის გამოწვეულია ღრმა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით"[12].

ემპირიული გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ მიგრაცია სოციალური განვითარების მძლავრი ფაქტორია. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სპეციალურ ლიტერატურაში კომპეტენტურ მკვლევართა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩვენში მიგრაციის ტემპი და მასშტაბი არ არის საკმარისი. ყველაზე ნათლად ეს პოზიცია გამოიკვეთა შემდეგნაირად: შეხედულება იმის შესახებ, რომ მიგრაციული პროცესების აჩქარება არ არის სასურველი, უნდა მივიჩნიოთ არასწორად. ისინი შემორჩენილ რეციდივად მიიჩნევენ მოსახლეობის მიგრაციის ზრდისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას[13]. იგივე ავტორები იმასაც ამტკიცებენ, რომ „მოსახლეობის მიგრაცია საბჭოთა კავშირში არც ისე დიდია, როგორც არაიშვიათად ლაპარაკობენ სპეციალურ ლიტერატურაში და ფართო პრესაში"[14].

---

12 Управление развитием народонаселения в СССР; ред. А. Я. Кваша. М., 1977, с. 9.

13 Хорев Б. С., Чапек В. Н. Проблемы изучения миграции населения. М., 1978, с. 31.

14 იქვე, 41.

სხვა ავტორი (ლ. რიბაკოვსკი) უფრო კონკრეტულია, როცა წერს: „მიუხედავად მიგრაციული ბრუნვის რამდენადმე ზრდისა, ქალაქის მოსახლეობის ადგილგადანაცვლება არა მხოლოდ არ გაიზარდა, არამედ რამდენადმე შემცირდა კიდეც. ამავე დროს სოფლის მოსახლეობის მიგრაციის ინტენსივობა გაიზარდა, მაგრამ არა იმდენად, რომ შეცვლილიყო საერთო ტენდენცია. გამომდინარე იქიდან, რომ სსრკ მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდება, ხოლო მიგრაციული გადაადგილება სტაბილური რჩება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიგრანტების პროცენტი ქვეყანაში არა მარტო იზრდება, არამედ კლებულობს კიდეც“[15].

არანაკლებ კომპეტენტური მკვლევარები თავის მხრივ ამტკიცებენ, რომ „70-იან წლებში სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქში იყო უფრო მაღალი, ვიდრე ეს არის აუცილებელი სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ინტენსიური განვითარებისათვის“[16]. აქვე უნდა გავიხსენოთ ვ. პერევედენცევის ვარაუდი, რომ უახლოეს წლებში სოფლის მოსახლეობის მიგრაცია უფრო გაძლიერდება იმის გამო, რომ შრომითი რესურსების საერთო შემცირების გამო, ქალაქში გაიზრდება დამატებით შრომით რესურსზე მოთხოვნილება[17]. შეხედულებათა ასეთი დაპირისპირების მოხსნა თითქოს უბრალოდაც შეიძლება; მოვლენას თუ რეგიონალური თავისებურებების თვალსაზრისით განვიხილავთ, მიგრაციის აჩქარება ზოგჯერ სასურველია, ზოგჯერ — არა. ეს დამოკიდებულია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე და აქტივიზაციის პერსპექტივებზე. სავსებით სწორია შეხედულება, რომ მიგრაციული პროცესი შესაძლებელია ნეგატიურად მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში თუ მისი მიმართულება, ინტენსივობა არარაციონალურია და იწვევს დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის რღვევას[18].

ეთნიკური ფაქტორის როლი მიგრაციულ პროცესებში არსებითი მნიშვნელობის მქონეა. კვლევით დადგენილია, რომ იმ გარემოში, სადაც მკვიდრი ეროვნება აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, მიგრაციული პროცესები გეოგრაფიულად ძირითად ეთნიკურ წრეშია მოქ-

---

15 Социальные факторы и особенности миграции населения, под ред. Л. Л. Рыбаковского и В. Я. Чуракова. М., 1978, с. 22.

16 Засловская Т. В., Корель Л. В., Миграция населения между городом и селом, журн. «Социологические исследования», 1981, № 3.

17 Переведенцев В. И., Демографические проблемы СССР, М., 1979, 37.

18 Мукомель В., Развитие населения и миграционные процессы: некоторые аспекты управления. В кн.: «Управление демографическими процессами». М., 1980, с.78.

ცეული. ამ შემთხვევაში ნ. რიბაკოვსკი და ბ. სერდიტი მართებულად შენიშნავენ: რომ მიგრაცია და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მჭიდროდ არის ურთიერთთან დაკავშირებული. მისთვის ნიშანდობ-ლივი ტრადიციის ძალით თითოეულ ერს თუ ეროვნებას სპეციფიკური მიგრაციული მოძრაობა და ახალი საცხოვრებლისადმი შემგუებლობა ახასიათებს, რაც დამოკიდებულია იმ კონკრეტულ რაიონზე, საიდანაც წავიდა და სადაც ჩასახლდა. მათ სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ, რომ ეთნიკური პროცესები არსებით გავლენას ახდენს მიგრაციის ინტენსივობაზე — შეუძლიათ შეანელონ, ან გააძლიერონ[19].

ეთნიკური ფაქტორის არსებით მნიშვნელობაზე მიგრაციული პროცესების მიმართულებებთან დაკავშირებით ასეთსავე აზრს ავითარებს ბ. ხორევიც.

სავსებით სწორია მ. ტუხაშვილი, როცა წერს: „სარესპუბლიკათშორისო მიგრაციის მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მცირეა რესპუბლიკიდან (საქართველოდან — ა. კ.) საცხოვრებლად წასულთა წილი აღმოსავლეთისა და, განსაკუთრებით, უკიდურეს ჩრდილოეთის ასათვისებელ რაიონებში. საქართველოს სსრ მკვიდრი მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებლად გასვლა ამ რაიონებში შეზღუდულია ბუნებრივ-კლიმატური პირობებისადმი მეტისმეტად ძნელი ფიზიოლოგიური ადაპტაციის უნარით, ეთნიკურ და სხვა სოციალურ-დემოგრაფიული თავისებურებების გამო“[20].

ამრიგად, საკითხის წარმოდგენილი მიმოხილვიდანაც ჩანს თუ რა პასუხსაგები და მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებია ჩასატარებელი რეგიონალური მიგრაციული პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების სრულყოფილად დამუშავების გზაზე.

2. საშუალო ქალაქების როლი და ადგილი საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის რეგულირებაში

სკკპ და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებში განისაზღვრა საშუალო ქალაქების როლი და ადგილი საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის რეგულირებაში. ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში ნათქვამია: „თანმიმდევრულად განვახორციელოთ დიდი ქალაქების

---

[19] Рыбаковский Л. Л., Сердитых Б. Г. Влияние миграции на социальную структуру населения; в кн.: «Социальные проблемы миграции». М., 1976, с. 16.

[20] მ. ტუხაშვილი, საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული ასპექტები, ჟურ. „ეკონომისტი“, 1981, № 9, გვ. 33—34.

ზრდის შეზღუდვის გეზი, განვავითაროთ პატარა და საშუალო ქალაქები, განვალაგოთ იქ სპეციალიზებული, დიდმწარმოებლური წარმოებანი, საწარმოთა და გაერთიანებათა ფილიალები"[21].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ მკაფიოდ ჩამოაყალიბა რესპუბლიკაში შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების ძირითადი არსი: „იმ მიზნით, რომ ნაყოფიერად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები, უწინარეს ყოვლისა, იმ რაიონებში, სადაც ისინი განსაკუთრებით ჭარბად გვაქვს, შრომისუნარიანი მოსახლეობის სულ უფრო აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში იყო და არის რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი გაღიდების გზაზე ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება, სახალხო მეურნეობის შეწონასწორებისა და ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი პირობა". შემდეგ კი აკონკრეტებს რა წამოყენებულ დებულებას, შენიშნავს, რომ „საჭიროა, რომ შესაბამისმა ორგანიზაციებმა ხელი მოჰკიდონ ისეთ პატარა, მაგრამ რენტაბელურ საწარმოთა და წარმოებათა პროექტების სერიის შემუშავების საქმეს, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულით იმუშავებენ, და რომელთა გახსნა შეგვიძლია მთის და მთისწინეთის რაიონებში, ანდა სხვა სასოფლო რეგიონებში, სადაც ჭარბად არის შრომითი რესურსი... აქ აგრეთვე დაგვჭირდება პატარა და საშუალო ქალაქების, დაბა-სოფლების განვითარების კარგად გააზრებული, დასაბუთებული პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს ადგილის სწორად შერჩევას ამგვარ საწარმოთა მშენებლობისათვის, განსაზღვრავს მათ პროფილს, წარმოების მოცულობას რეგიონის ეკონომიკური სპეციალიზაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების კვალობაზე"[22].

ე. შევარდნაძე საქართველოს კპ XXVI ყრილობაზე კვლავ დაუბრუნდა აღნიშნულ საკითხს და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებას: „ყოველი ფილიალის მშენებლობა ნიშნავს არა მარტო ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქ-

---

21 სკკპ XXVI ყრილობა. სსრ კავშირს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლების და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, თბ., 1981, გვ. 17.

22 ე. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXII პლენუმზე (1980 წ. 11 ნოემბერი): „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტორგანიზაციის ამოცანები მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრების და ახალ სამეურნეო წელს საქართველოს სსრ-ის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის საქმეში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესაბამისად", გაზ., „კომუნისტი", 1980 წ. 12 ნოემბერი.

მედებას, არამედ აგრეთვე სოფლად ნაგებობათა მთელი კომპლექსის — საცხოვრებელი ბინების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების ობიექტების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სპორტული ბაზების და სხვათა გაფართოებას. ამან, თავის მხრივ, უნდა შეაჩეროს ქალაქისაკენ სოფლის მოსახლეობის არანორმალური მიგრაცია"[23].

ამრიგად, რელიეფურად გამოიკვეთა ის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული მონახაზი, რომელიც საშუალო ქალაქს მიგრაციულ ბრუნვაში რეგულატორის როლს აკისრებს.

საქართველოში მოსახლეობის მიგრაციის მრავალი ფორმა ფუნქციონირებს (ზოგი ტრადიციული და სახეცვლილი, ზოგი ახლადწარმოქმნილი); მუდმივი, ქანქარისებური, სეზონური, ორგანიზებული (სხვადასხვა ფორმით), რომელთაგან თითოეულს მისი მამოძრავებელი სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მექანიზმი აქვს. ამასთან, მიგრაცია სხვადასხვა მიმართულებისა და ინტენსივობისაა: მთიდან ქალაქში, ქალაქიდან სოფელში, შიდარესპუბლიკური და გარერესპუბლიკური. ამრიგად, მიგრაციული პროცესები არ არის ერთგანზომილებიანი მოვლენა. მასში, როგორც სარკეში, ასახულია ადამიანის სოციალური ქცევის მიზეზი და შედეგი სულ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში. მიგრაციულ აქტში სოციალური მოლოდინი ხან მართლდება, ხან არა. უკეთესის ძიებაში ან პოულობს მას, ან რაც ჰქონდა — იმასაც ჰკარგავს. ასეა საზოგადოებაც, როცა ადამიანთა საგრძნობი მიგრაციული ნაკადები ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე მიემართება, ეს გარკვეულ გავლენას ახდენს მიგრაციის საწყისი და დამამთავრებელი გარემოს სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების მსვლელობაზე — ან აფერხებს მას, ან ხელს უწყობს.

პარტია მოუწოდებს მეცნიერებას დაამუშაოს საბჭოთა საზოგადოების განვითარების დემოგრაფიული და სოციალური პრობლემები მარქსისტულ-ლენინური თეორიის შუქზე.

სპეციალურ ლიტერატურაში უკვე მიღებულ მოსაზრებას კარგად გადმოსცემს ფ. ფაიზულინი: „ზოგიერთი მკვლევარი მიგრაციას მიაკუთვნებს მოსახლეობის მექანიკურ გადაადგილებას ტერიტორიის მიხედვით ანდა განიხილავს მას, როგორც ჰორიზონტალური სოციალური მობილობის ერთ-ერთ ფორმას. მაგრამ, სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში მიგრაციის შედეგად ინდი-

---

23 ე. ა. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. გაზ. „კომუნისტი", 23 იანვარი, 1981 წელი.

ვიდის სოციალური მდგომარეობის ცვლილება ხდება, ე. ი. მიგრაცია წარმოგვიდგება, როგორც ვერტიკალური სოციალური გადაადგილების ერთი არხთაგანი"[24].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი თავის დროზე დიდ სოციალურ მნიშვნელობას ანიჭებდა მიგრაციას: მიწათმოქმედებიდან მოსახლეობის გამოცალკევებისა და მისი ქალაქში გადასვლის მსგავსად, არასამიწათმოქმედო გასვლა პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს. იგი მოსახლეობას მიერეკება მივარდნილი, ჩამორჩენილი, ისტორიისაგან მივიწყებული მიყრუებული ადგილებიდან და ითრევს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ორომტრიალში. იგი ადიდებს მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობას და ამაღლებს მის შეგნებულობას, ნერგავს მასში კულტურულ ჩვეულებებს და მოთხოვნილებებს[25].

აღნიშნულ თეორიულ წანამძღვრებს თუ გავითვალისწინებთ, საშუალო ქალაქებს დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვთ შეასრულონ დიდ ქალაქსა და სოფელს შორის მიგრაციული ნაკადების მოძრაობის რეგულატორის როლი.

როგორც წარმოდგენილი კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის შედეგებიდან დავრწმუნდით, საქართველოს საშუალო ქალაქები სადღეისოდ ასეთი რეგულატორის მისიას ვერ ასრულებს. საქართველოს საშუალო ქალაქები უფრო მეტად მოსახლეობის მიგრაციული ნაკადების ინტენსიური გაცვლის არენას წარმოადგენს. აქ ხვდება ერთმანეთს შემომავალი და გამავალი მიგრაციული ნაკადები, რაც შესაძლებელზე ბევრად ნაკლებ სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ეფექტს იძლევა. ზოგიერთი ქალაქი კი დიდი მიგრაციული დანაკარგის გამო თანდათან კარგავს საშუალო ქალაქის პოზიციებს და მცირე ქალაქის რიგში გადასვლისაკენ ისწრაფვის.

აღნიშნული პრობლემა მწვავედ უნდა დადგეს რესპუბლიკის წინაშე და მის დადებითად გადაწყვეტას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. როგორ შეიძლება გავაჯანსაღოთ დემოგრაფიული, კერძოდ, მიგრაციული სიტუაცია საქართველოს საშუალო ქალაქებში, რათა ახალი სოციალური და ეკონომიკური დატვირთვა უმტკივნეულოდ მიიღოს?

როგორც ვნახეთ, საქართველოს საშუალო ქალაქების ეკონომიკური აქტივიზაციის მიზნით გათვალისწინებულია მსხვილი, თანამედროვე სამრეწველო საწარმოთა ამოქმედება, აგრეთვე შესაბამისი ფილიალე-

---

[24] ფ ა ი ზ უ ლ ი ნ ფ., Особенности социальных перемещений в городе (по данным социологического исследования): в кн: «Люди в городе и на селе». М., 1978, с. 31—32.

[25] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, 1948, გამოცემა მეოთხე, გვ. 681—682.

ბის ორგანიზაცია, რაც უნდა ითვალისწინებდეს მნიშვნელოვანი მასშ-ტაბის შრომითი რესურსების რეზერვის არსებობას. ასეთი რეზერვი საკუთრივ საშუალო ქალაქს, როგორც ვნახეთ, არ გააჩნია. ამავე დროს, შრომითი რესურსის სხვა ქალაქიდან მასობრივი, ორგანიზებული შემოყვანა გამორიცხულია. დარჩა ერთი გზა — ესაა სოფლის მოსახლეობაში ჭარბი შრომითი რესურსის გამოძებნა. საკუთრივ საშუალო ქალაქების ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მყოფი სოფლის მოსახლეობა უმრავლეს შემთხვევაში კლებულობს მიგრაციისა და ბუნებრივი მატების ძლიერი შემცირების გამო. მართალია, რესპუბლიკის ზოგიერთ სასოფლო რაიონში (განსაკუთრებით ეს ითქმის სამხრეთ მთის რაიონებზე) შრომითი რესურსი მთელი დატვირთვით არ არის დასაქმებული, მაგრამ აღნიშნული რეგიონების მოსალოდნელ აქტივიზაციასთან დაკავშირებით ახლო მომავალში შრომითი რესურსის ასეთი სიჭარბე, ალბათ, აღარ გვექნება (აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ე. ა. შევარდნაძემ XXVI ყრილობაზე აღნიშნა, 1981—1990 წლებში გათვალისწინებულია 200-მდე ახალი სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, 100-ზე მეტის გაფართოება და რეკონსტრუქცია... მარტო ამ პერიოდისათვის დაგეგმილია მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების დარგების 18 ქარხნისა და მსუბუქი მრეწველობის 6 ფაბრიკის მშენებლობა, რომელსაც 70 ათასი მუშაკი დასჭირდება).

აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიონის მთის რაიონების, აგრეთვე, ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოს მთის ზოლის მოსახლეობა მეტად ინტენსიური მიგრაციული ძვრების არეალშია მოქცეული[26], რომლის რეგულირებისა და მთაში მოსახლეობის დამაგრების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა სახავს და ახორციელებს დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს. ზემოაღნიშნულ მთის რეგიონებში ძლიერი მიგრაციის გამო დარღვეულია დემოგრაფიული სტრუქტურები და მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესები დღითიდღე ღრმავდება. ამასთან, მთის სოფლების მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირებისა და სოფლების თვითლიკვიდაციის შემთხვევებიც არ წყდება.

ასეთ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება მიიღო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ. სამხრეთ საქართველოს მთის იმ რეგიონიდან, სადაც შობადობის მაღალი დონის გამო ჭარბი შრომითი რესურსია. (აჭარა), მოსახლეობის ნაწილი ორგანიზებულ სასოფლო-სამეურნეო ჩასახლების წესით გადაიყვანა კახეთის სასოფლო რეგიონში (წითელწყაროს

---

26 ა. კაცაძე, საქართველოს მთის მოსახლეობის თანამედროვე მიგრაცია, თბ., 1977.

რაიონი), აქვე უნდა დავსძინოთ, რომ კახეთის რაიონები, სადაც ინტენსიური მეეენახეობის განვითარების ძირითადი არეალია, სოფლად-მრეწველობითი რესურსის მწვავე დეფიციტს განიცდის. აქ დასაქმებულთა ოთხ-მის მეხუთედი საპენსიო ასაკის მოსახლეობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქ უნდა მივუთითოთ მოსახლეობის გეოგრაფიის ცნობილი სპეციალისტის, ვ. ჯაოშვილის კონცეფციური ხასიათის მოსაზრებაზე, რომელიც მან გამოთქვა, მართალია, კარგა ხნის წინ, მაგრამ დღესაც აქვს აქტუალური მნიშვნელობა. ამის გამო, წარმოვადგენთ ვრცელ ციტატს: „რთული რელიეფი, მკაცრი ჰავა, ნიადაგის სუსტი საფარი, გაძლიერებული ეროზია და რიგი სხვა უარყოფითი ფაქტორები მეტისმეტად ამცირებს მთიანი რაიონების სახნავი მიწების მეურნეობრივ ღირებულებას... ბუნებრივად ისმება კითხვა: მიზანშეწონილია თუ არა მთიდან ბარისაკენ მოსახლეობის სწრაფი დენა და რამდენად შორს წავა მომავალში ეს პროცესი. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს მწარმოებლურ ძალთა განვითარებას, ე. ი. ქმნიდეს რაც შეიძლება უკეთეს პირობებს ქვეყნის მეურნეობრივი და კულტურული აღმავლობისათვის. ამ თვალსაზრისით აღნიშნული პროცესი საქართველოს სინამდვილეში პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს... შრომითი კონტიგენტები მთაში სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული, მაშინ, როდესაც ბარში წარმოების სწრაფი ზრდა დიდი რაოდენობით მოითხოვს მუშახელს. ამიტომ, ახლა მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება მთიდან ბარში მოსახლეობის იმ ნაწილის ჩამოსვლა, რომელიც ადგილზე არ არის მთელი დატვირთვით შრომაში ჩაბმული. მთიანი რაიონებიდან მცხოვრებთა ნაწილი ებმება დაბლა ზონებში მდებარე ქალაქებში მშენებლობასა და მრეწველობაში, ნაწილი კი სოფლად სახლდება... მოსახლეობის მთიდან ბარში გადასვლა არა მარტო საერთო-სახალხო ინტერესებითაა გამართლებული, — მას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ჩასახლებულთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც... აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აუცილებელია მთის რაიონებში შენარჩუნებულ იქნეს მოსახლეობის განსაზღვრული რაოდენობა. ყოველ შემთხვევაში, მიზანშეწონილი არ არის მთაში მცხოვრებთა აბსოლუტური რიცხვის შემცირება. ამას გვიკარნახებს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენების ინტერესები. რიგ მთიან რაიონებში არსებობს მეცხოველეობის განვითარების კარგი პირობები, მოვლა-პატრონობას მოითხოვს მთის ტყეები, ასათვისებელია საკურორტო რესურსები, დიდი შესაძლებლობაა ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის. მეურნეობის ყველა ამ სახეობაში და ახალი მრეწველური კერების შექმნაში მეტი

ოდენობით უნდა ჩაებას მთიანეთის მოსახლეობა. ამავე დროს, საზაო მშენებლობის ფართოდ გაშლა გააძლიერებს მეურნეობრივ-კულტურულ კავშირს მთასა და ბარს შორის და ხელს შეუწყობს ... რაიონების აღმავლობას"[27].

როგორც ვნახეთ, საყურადღებო მოსაზრებებია წარმოდგენილი მთის მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებით. მაგრამ ახალ პირობებში განვითარების ახალმა ტენდენციებმა არა მარტო მთაში მოსახლეობის შენარჩუნების, არამედ რეემიგრაციის საკითხებიც დააყენა. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა ამ მხრივ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს (ჭერემი, თუშეთი, გოსტიბე და სხვ.).

მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ მთაში მოსახლეობის დასამაგრებლად ჯერ კიდევ კოლოსალური სამუშაოებია ჩასატარებელი. ავიღოთ თუნდაც სამედიცინო მომსახურება, რომელიც მკვეთრად გაუმჯობესებას მოითხოვს. გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა პროფესორ იოსებ კვაჭაძის სტატია „მთაში ექიმი ავიდა". იგი ერთ ადგილას წერს: „ექიმთა ბრიგადამ იმუშავა აგრეთვე სოფელ შატილში, სადაც მაღალკვალიფიციურ ექიმ-პედიატრს აქამდე ფეხი არ დაუდგამს. აქ გამოვლინდა ნივთიერებათა ცვლის კონსტიტუციური მოშლილობით (გალაქტოზემია) დაავადებული 5 ბავშვი ერთი ოჯახიდან — ყველანი უსინათლო. ისინი დაღუპული მწყემსის შვილები არიან და მათ მარტოხელა დედა უვლის. ბავშვები აქამდე ექიმს არ გაუსინჯავს და, ბუნებრივია, არც სათანადო სამედიცინო გენეტიკური კონსულტაცია ჩაუტარებიათ. საჭიროა დაუყოვნებლივ გადაწყდეს ამ ინვალიდი ბავშვების შრომითი მოწყობის საკითხი"[28].

დავუბრუნდეთ საკითხს, რომელიც საშუალო ქალაქისათვის საჭირო შრომითი რესურსით უზრუნველყოფის საკითხს ეხება. გავიხსენოთ ზემოთქმული, რომ საკუთრივ საშუალო ქალაქებში შრომითი რესურსის რეზერვი არა გვაქვს: ამასთან, საშუალო ქალაქების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაქვემდებარებაში მყოფი და მეზობელი სასოფლო რეგიონების მოსახლეობაში ასეთი რეზერვი თითქმის ამოწურულია და ხშირ შემთხვევაში თვით სოფელი განიცდის შრომითი რესურსის მწვავე დეფიციტს. ამასთან ერთად საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ზოგიერთი სასოფლო რეგიონის (სამხრეთ საქართველოს მთიანეთი) ჭარბ შრომით რესურსს უშუალოდ ვერ ჩამოიყვან საშუალო ქალაქის

---

27 ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობის გაადგილება სიმაღლითი ზონების მიხედვით, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი", 1961, № 4, გვ. 56—58.

28 პროფ. ი. კვაჭაძე, მთაში ექიმი ავიდა, გაზ. „კომუნისტი", 1980 წ. 18 ნოემბერი.

წარმოებებში, გარკვეული დრო და ორგანიზაცია სჭირდება მათ პროფესიულ-კვალიფიციურ მომზადებას.

ასეთ ვითარებაში გამოსავალი, ჩვენი შეხედულებით, მდგომარეობს შემდეგში:

1. განსაკუთრებული სისწრაფით უნდა დავაჩქაროთ სოფლად და ქალაქად წარმოების ინტენსიური განვითარების პროცესი (მექანიზაცია-ავტომატიზაცია), რაც გადაუდებლად მოითხოვს კომპლექსური მეცნიერული კვლევისა და მართვის სტრუქტურის არსებით გარდაქმნას.

2. უნდა სრულვყოთ მიგრაციის ქანქარისებური ფორმა, რომლითაც სოფლის მოსახლეობა უკავშირდება საშუალო ქალაქს; ასეთი მიდგომის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ:

ა. ხელს შევუწყობთ სოფლად მოსახლეობის საჭირო რაოდენობით შენარჩუნებას და დემოგრაფიული სტრუქტურის ნორმალიზაციას.

ბ. თვისებრივად გაუმჯობესდება სოფლის მოსახლეობის სოციალურ-პროფესიული სტრუქტურა.

გ. ხელი შეეწყობა სოფლისა და ქალაქის დაახლოვების პროცესს, ცხოვრების ქალაქური წესის სოფლად დანერგვას, სოფლის ურბანიზაციის დადებით პროცესს.

დ. დაჩქარდება საკუთრივ საშუალო ქალაქების სამრეწველო პოტენციალის ზრდის პროცესი, რაც, აგრეთვე, ქალაქის სოციალური და სოციალურ-კულტურული აქტივიზაციის მუდმივმომქმედი ფაქტორი იქნება.

გარდა ამისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ საქართველოსათვის დამახასიათებელი მიგრაციული პროცესები არსებითად რესპუბლიკის შიგნით მიმდინარეობს და, ამრიგად, ერთ რესპუბლიკურ სისტემაში უნდა მოვახდინოთ შრომითი რესურსების ჭარბი და დეფიციტური ერთეულების გაწონასწორება. ეს რთული და ძნელი ამოცანაა. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე ამ მოვლენას ღრმა ანალიზი გაუკეთდა.

რესპუბლიკა რაიონული და ავტონომიური ერთეულებისაგან შემდგარი მთლიანი სისტემაა. რეგიონალური ქვესისტემების მიხედვით არათანაბარი განვითარება არარაციონალური მიგრაციის ობიექტური ბაზაა. თავისთავად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ კომპლექსური რეგიონალური განვითარების ღონისძიებები კორდინირებული და ფოკუსირებული უნდა იყოს რესპუბლიკის მთლიანობაში. თავიდანვე უნდა გავიაზროთ თუ ერთი რეგიონის აქტივიზაცია რა დემოგრაფიულ ცვლილებებს გამოიწვევს სხვა, განსაკუთრებით, მეზობელ რეგიონში. ამგვარი მიდგომის არც პრაქტიკა, მით უფრო, არც მეთოდიკა ჯერ არ გვაქვს. ეს პირველი და არსებითია.

მეორე, არანაკლებ არსებითია შიდარეგიონალური განსახლების სტიქიური რეორგანიზაციის პროცესის რეგულირება. დასახლებული პუნქტი, სადაც შეზღუდულია დასაქმების შესაძლებლობები, განუვითარებელია სოციალური ინფრასტრუქტურა—ყოველთვის იქნება ინტენსიური მიგრაციული გარემო. და ხშირად ასეთი სასოფლო დასახლება თვითლიკვიდაციამდე მიდის. და პირიქით, დასახლებული პუნქტი, სადაც დასაქმების ფართო შესაძლებლობებია და სოციალური ინფრასტრუქტურა შედარებით უპასუხებს თანამედროვე სტანდარტს, ძლიერ მიგრაციულ დაწოლას განიცდის. აღნიშნულთან დაკავშირებით ბუნებრივად დგება საკითხი პრობლემისადმი სისტემური მიდგომის საჭიროების შესახებ. სხვაგვარი მიდგომა სხვადასხვა ხარისხით სუბიექტურია და რაგინდ მეცნიერულობის პრეტენზია ჰქონდეს, ეფექტიანი არ იქნება.

მსჯელობამ მიგვიყვანა ზოგადსოციოლოგიურ თეორიასა და ემპირიულ კვლევას შორის საშუალო ღონის (ე. წ. სპეციალური) თეორიის დამაკავშირებელი ხიდის აგების საჭიროებამდე. მარქსისტულ სოციოლოგიაში ახლახან გამოიკვეთა ეს პრობლემა და უამისობა უკვე აღარ შეიძლება. ყამირი უნდა გატყდეს.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მეტად დიდ საქმეს დაედო სათავე, მუშაობა უკვე ფართო ფრონტით გაიშალა. სამუშაოს ეწოდება „საქართველო — რეგიონები — 2000“ და შეეხება საქართველოს ყველა რეგიონის (რაიონის, ქალაქის) კომპლექსური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი პერსპექტიული გეგმის შემუშავებას. სამუშაოს ხელმძღვანელობს საქართველოს საგეგმო კომიტეტი, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია. სამუშაო პროგრამა 1980 წლის მარტში დაამტკიცა რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ. ამის შესახებ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზეც ითქვა.

ამიერიდან ამ დიდ საქმეში სუბიექტივიზმი და იმპროვიზაცია გამოირიცხება. მაგრამ, მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება პირველი რიგის ამოცანად უნდა დადგეს. პრაქტიკამ ლოგიკურად გვიკარნახა ასეთი პროგრამის დასახვისა და რეალიზაციის საჭიროება.

საშუალო ღონის თეორია არა მარტო მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებამ მოითხოვა. ვინც ცხოვრებას აკვირდება, მან იცის, რომ რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ამა თუ იმ რეგიონის კომპლექსური განვითარების მიზნით, რასაც საკმაო ოდენობის კაპი-

ტალდაბანდებები ხმარდება, მაგრამ მიგრაციის თვალსაზრისით ხელშესახები ეფექტიანობა, როგორც ირკვევა, მაინცდამაინც არ ჩანს.

საქართველოს მოსახლეობის, კერძოდ, საკვლევი ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის დადებითი შედეგის მომცემი პოლიტიკის შემუშავება უნდა დაიწყოს საშუალო დონის თეორიის შემუშავებით, რომელიც საქართველოსა და მისი რეგიონების განსახლების ერთიანი სისტემისა და ქვესისტემების რეორგანიზაციას, დასახლებათა შორის ახალი ტიპის კავშირურთიერთობების ფორმების ძიებას, შემუშავებას და რეალიზაციას უნდა ითვალისწინებდეს. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს ტრადიციულ დასახლებათა ბაზაზე ახალი თვისებრივი სტრუქტურის ორგანიზაციას, რომლის საფუძველი იქნება სახალხო მეურნეობის დარგების გადანაწილება რესპუბლიკის ბუნებრივ-საწარმოო და შრომითი რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით, სოციალური ინფრასტრუქტურისა და წარმოების განვითარება თანაბარი ტემპით, შრომისა და ცხოვრების ყველა სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლესი მონაპოვრების დანერგვა: ამ პროცესების მართვაში თანმიმდევრულად უნდა ვითვალისწინებდეთ საზოგადოებრივ აზრს.

3. საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარების პერსპექტივები მიგრაციული პოლიტიკის შუქზე

სოციალური სტატისტიკის დინამიკური მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, საქალაქო ცხოვრების საბჭოური წესი პროგრესულ ცვლილებებს განიცდის. ქალაქები ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვითარდება: იზრდება ეკონომიკური პოტენციალი, კულტურის დონე, სოციალური აქტივობა. აღნიშნული პროცესი, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, სრულიად კანონზომიერ ხასიათს ატარებს. ამავე დროს, განვითარება წარმოქმნის პრობლემების ნაკადსაც, რომელთა ოპტიმალური და სწრაფი გადაწყვეტა შემდგომი განვითარების საწინდარია.

ჩვენ ამჟამად არ შევეხებით თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში ურბანიზაციული ფენომენის არსსა და მნიშვნელობას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „ქალაქს“ სოციოლოგიური თეორია განიხილავს, როგორც სოციალურ-სივრცობრივ მთლიანობას, ამასთან გულისხმობს ქალაქის მოსახლეობას როგორც სპეციფიკურ სოციალურ ჯგუფს[29].

---

[29] Межевич М. Н., Социальное развитие и город. Ленинград, 1979, с. 35.

ცხადია, ქალაქს სპეციფიკური სოციალური განვითარების პრობლემები აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური კვლავწარმოება სამართლიანად არის მიჩნეული ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად, რომლის მისაღწევად პირველ რიგში ვარაუდობენ:

1. ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის შრომის ხასიათის მიხედვით დაახლოება და სოციალური დაწინაურების ერთნაირი შესაძლებლობის შექმნა.

2. მართვაში დემოკრატიული საწყისის განვითარება და ქალაქის სოციალური ორგანიზაციის სრულყოფა.

3. ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის დაახლოება მატერიალური და სულიერი ღირებულებების მოხმარების მიხედვით[30].

ქალაქის სოციალური განვითარება, ცხადია, ასეთ გზას ვერ ასცდება, მაგრამ, მთავარია ამ გზაზე მტკიცედ დადგომა და წინსვლა. ამას დიდი ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარება დასჭირდება, თეორიულ წანამძღვრებს კი — დახვეწა.

ამ გზაზე რწმენით სიარულისაკენ მოგვიწოდებს სკკპ XXVI ყრილობა: „უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციალური შედეგები. უფრო ღრმად და გაბედულად უნდა ვაანალიზებდეთ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებს. ჯერ კიდევ სუსტად ვსწავლობთ საზოგადოებრივ აზრს. და ეს მხოლოდ ნაწილია საკითხებისა, რომლებსაც ხელი უნდა მოვკიდოთ“.

როგორც სათანადო საკითხებზე მსჯელობის დროს დავინახეთ, საშუალო ქალაქის მოსახლეობა და საშუალო ქალაქთან შრომითი საქმიანობით დაკავშირებული სოფლის მოსახლეობა, საზოგადოებრივი აზრი, მეტად კრიტიკულად აფასებს საშუალო ქალაქების სოციალური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების დაბალ ორგანიზაციულ დონეს, მიშვებულობას.

საზოგადოებრივი აზრი მეტად აქტიურად ეხმაურება საქალაქო ცხოვრების მტკივნეულ მხარეებს. მოვიტანთ მაგალითებს (სტილი დაცულია) ქ. ხაშურში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მასალებიდან (1979 წელი):

1. „თუ ჩვენი პასუხები გეხმარებათ თქვენთვის დასახული მიზნების განსახორციელებლად, გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ჩვენი პრეტენზიებიც (მაშინ) ჩვენ უფრო საქმიანად ჩავთვლით ამ შეკითხვებს“.

---

30 Успенский С. В., Планирование экономического и социального развития расселения и поселений. Ленинград, 1981, с. 64.

2. ხაშურში მუშაობა „კარგი სულაც არ არის, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ“.

3. „ჩვენთან ძალიან ძნელია სამუშაოს შოვნა, ამიტომ, სადაც საშუალება იყო მიღებისა, იქ ვმუშაობ“.

4. „ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს სად ვიცხოვრებ, მხოლოდ სადაც ვიქნები, აზრი ჰქონდეს ჩემს ცხოვრებას“.

5. „მინდა ვამაყობდე ჩემი ქალაქით“.

6. „დიდ ქალაქში უფრო მეტად იგრძნობა თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემა“.

7. „ქალაქში მეტი საშუალება გვაქვს დროის მაქსიმალურად გამოყენებისა, უკეთესად დავეუფლოთ არჩეულ სპეციალობას, თავისუფალ დროს უქმად არ გამოვიყენებთ. შესაძლებლობა გვექნება დავეუფლოთ და ღრმად შევისწავლოთ ხელოვნების ესა თუ ის სახეობა და სხვა“.

8. „ქალაქი, სადაც ვცხოვრობ არ აკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილების პირობებს. სამუშაოს შემდეგ მხოლოდ საკუთარ თავთან შეგიძლია იყო“.

9. „ჩვენ რაიონულ ცენტრს, პირველ რიგში, აკლია სისუფთავე, ქუჩები სასტიკად ცუდ ფორმაშია. იშვიათად იდგმება სპექტაკლები“.

10. „ისეთ ქალაქში ცხოვრება, როგორც ხაშურია, სჯობია სოფელში ცხოვრება“.

11. „სოფელში არ არის გზა, არ არის წყალი, გაზი, მომსახურების სხვადასხვა სახეები. თუმცა არც ქალაქი ხაშური ჩამორჩება სოფელს და საერთოდ, ხაშური ძალიან დაბალ დონეზე დგას. ერთი ქუჩაც არ ვარგა“.

12. „ხაშური რაიონის ცენტრია. იგი არც ქალაქია და არც სოფელი, მაგრამ თავისი გზებით, უფრო კი ქალაქის განაპირა გზებით, სოფელსაც კი ჩამოუვარდება, ხშირად არის მინგრეულ-მონგრეული და უსუფთაო ცენტრალური ქუჩაც კი“.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ხაშურში სხვაგვარი ვითარებაა; ხელმძღვანელობის ახალი სტილისა და მეთოდების დანერგვამ მდგომარეობა უკეთესობისაკენ მკვეთრად შემოაბრუნა. საზოგადოებრივი აზრი ერთსულოვნად უჭერს მხარს ასეთ დადებით ცვლილებებს მართვის სისტემაში. ეს გარემოება იმაზეც მიგვითითებს, თუ რა კოლოსალური მნიშვნელობა აქვს საქალაქო ცხოვრების მართვაში სოციალური რეზერვების ამოქმედებას.

მოსახლეობის კრიტიკული დამოკიდებულება ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარისადმი სხვა ქალაქებშიც მეტნაკლებად შეინიშნება. ეს ცხოვრებისა და შრომის პირობების შეფასებების დროსაც აისახა, რის შესახებაც უკვე გვქონდა მსჯელობა.

ნეგატიური მიგრაციული ძვრების ფორმირებაზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს შრომის არასასურველი პირობები. საშუალო ქალაქებში კადრების დენადობის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც ძირითადად ახალგაზრდობის ადგილმონაცვლეობას ასახავს, არასასურველ მიგრაციულ პროცესებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, გორის ბამბეულის კომბინატში, როგორც ვნახეთ, ინტენსიური კადრების დენადობაა, რაც, ძირითადად, ფართოდ გაგებული შრომის არსებული პირობებით არის გამოწვეული. როგორც სხვა გამოკვლევებითაც დასტურდება, „ახალგაზრდა მუშების ადაპტაციის ხარისხზე მოქმედებს შრომის ხასიათი, ხელფასის დონე, შრომის პირობები და სხვა ფაქტორები. თუმცა გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს კოლექტივში კეთილსასურველი ფსიქოლოგიური კლიმატი“[31].

შრომის განსაკუთრებით მძიმე პირობებზე ყურადღება გაამახვილა გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების № 1 სართავი წარმოების მრთველმა ნ. ნარიმანიძემ რესპუბლიკურ პრესაში[32]. განსაკუთრებული ყურადღება მართებს ქალის შრომის პირობების არსებითად გაუმჯობესებას.

საშუალო ქალაქებში მოსახლეობის მიგრაციის რეგულირებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საბინაო პრობლემის გადაწყვეტას. სერიოზულ შეფერხებებზე საბინაო მშენებლობის საქმეში მიუთითებს კომუნალური საბინაო ფონდის მეტად მცირე ხვედრითი წონა. მაგალითად, 1980 წლის იანვრის მონაცემებით ქ. გორის საბინაო ფონდში საცხოვრებელი ფართის მიხედვით ინდივიდუალურ საკუთრებაში იყო 61,9%, სასარგებლო ფართის მიხედვით კი — 60,8%. საერთო რაოდენობაში ინდივიდუალური სახლების წილი შეადგენდა 92,0%.

გორში ამჟამად დასახულია ბინათმშენებლობის გაფართოების მნიშვნელოვან გეგმები. ფაქტიური მდგომარეობით საცხოვრებელ კვარტალებს უკავია 630 ჰა ტერიტორია, უახლოეს ხანში კი მიაღწევს 1023 ჰა-ს. ასევე გაიზრდება სამრეწველო ზონისათვის განკუთვნილი ფართობი 165 ჰა-დან 307 ჰა-მდე, მწვანე ნარგაობა 38 ჰა-დან 128 ჰა-მდე.

ქ. გორს ბინათმშენებლობის განვითარებაში ხელს უშლის ტერიტორიული დეფიციტი. გენერალური გეგმის მიხედვით ქ. გორს უნდა მიეღო ბერბუკის სასოფლო საბჭოში შემავალი ტერიტორიის ნაწილი, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისებამ ბინათმშენებ-

---

31 Формирование социальной однородности социалистического общества, под ред. Ф. Р. Филиппова и др., М., 1981, с. 52.

32 გაზ. „კომუნისტი“, 1980 წ. 30 ოქტომბერი.

ლობისათვის შექმნა კონფლიქტური სიტუაცია. საკითხის გადაწყვეტა, ალბათ, გაძნელდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საშუალო ქალაქებს, ცხადია, ერთნაირი ტერიტორიული შესაძლებლობა და ტერიტორიული ათვისების ერთნაირი სიტუაცია არ გააჩნია. მაგალითისათვის წარმოვადგენთ ვ. ნეიძის მიერ 1974 წლის მდგომარეობის მიხედვით შედგენილ საინტერესო ცხრილს[33], რომელიც გორისა და ხაშურის განაშენიანების მკვეთრ განსხვავებულობაზე მიგვითითებს.

	საქალაქო მიწების საერთო ფართობი ჰა	განაშენიანებული მიწების ფართობი		1 ჰა განაშენიანებული, ტერიტ. საძ. სიმჭიდროვე კაცი	საერთო სარგებლობის მუშავანე მასივი და ნარგაობის ფართობი ჰა	ქუჩების საერთო სიგრძე კმ	მოკირწყლული ქუჩების ხვედრითი წონა %
		ჰა	ხვედრითი წონა ქალაქის საერთო ფართობში %				
გორი	891	778	87,2	64	78	177	60
ხაშური	1045	911	87,2	28	38	75	100

ვ. ნეიძე იმავე ნაშრომში მართებულად მიუთითებს, რომ გორსა და ხაშურს ხელსაყრელი გეოგრაფიულ-ეკონომიკური პირობები გააჩნია განვითარებისათვის (კომპაქტურ სასოფლო დასახლებათა არეალი, ვაკე რელიეფი, მოხერხებული სატრანსპორტო კავშირები, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა, სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები).

საბინაო მშენებლობის სწრაფი ტემპით განვითარება საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის რეგულირების, მიგრანტთა სოციალური ადაპტაციის უმტკივნეულო პროცესის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

ხაშური და სამტრედია სამრეწველო-სატრანსპორტო ფუნქციის მქონე ქალაქებია, რომელთა ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული პირობები სრულიად არასაკმარისად არის გამოყენებული[34]. ამასთან, საერთოდ „სამეურნეო განვითარებით ძლიერ ჩამორჩებიან პატარა და საშუალო ქალაქები, რომელთაგან მრავალს უთუოდ აქვს მრეწველობის შექმნისათვის საჭირო პირობა“[35].

---

33 ვ. ნ ე ი ძ ე, განსახლება, კრ. „საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონი“, თბ., 1979, გვ. 89.

34 Д ж а о ш в и л и В. Ш., Урбанизация Грузии. Тб., 1978, с. 175.

35 გ. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი, ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, ტერიტორიულ დაგეგმვას — მეტი ყურადღება. გაზ. „კომუნისტი“, 1978 წ. 11 აგვისტო.

განსახლების ახალი ტიპის ფორმირებაში რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელობის შესახებ ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში აღნიშნა: „არც ერთი სახეობის გზას არ მოუხდენია ისეთი ძლიერი გავლენა ქალაქების განვითარებაზე, როგორც რკინიგზამ მოახდინა, რომელმაც დასახლებათა ისტორიაში ახალი სტადია შექმნა“[36] წერდა გერმანელი მკვლევარი. იგივე ავტორი მიუთითებდა, რომ ამ ტიპის ქალაქის გადაქცევა დიდ ქალაქად დამოკიდებულია იმაზე არის თუ არა მის მახლობლად სხვა დიდი ქალაქი. თუ ასეთი დიდი ქალაქი ერთი საათის სავალზე მაინც მდებარეობს, მაშინ მსგავსი მოვლენა გამორიცხულია. თუმცა, აღნიშნავდა იგი, რკინიგზის საკვანძო პუნქტებს აქვთ ტენდენცია უფრო სწრაფად განვითარდნენ, ვიდრე გამავალი სადგურები[37]. დღეისათვის ასეთი ტიპის ქალაქების განვითარებაში სხვა ფაქტორებმაც იჩინა თავი, რომელთა ცხოველმოქმედება სოციალისტური ტიპის ქალაქში განუსაზღვრელად დიდ შესაძლებლობებს ქმნის და მისი გამოუყენებლობა არავის ეპატიება.

ახალგაზრდა მუშები, რომელთაც მიღებული აქვთ მაღალი პროფესიული განათლება, როგორც შენიშნულია, შრომის შინაარსს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მათი გამოყენება ნაკლებკვალიფიციურ სამუშაოზე ამცირებს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ეფექტიანობას[38]. ახალგაზრდობაში მუშური პროფესიების პრესტიჟის ამაღლება მხოლოდ სიტყვიერი ზემოქმედების გზით არ შეიძლება. სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ[39], რომ მუშურ პროფესიებს უფრო ნაკლები პრესტიჟი აქვთ, ვიდრე იმ პროფესიებს, რომლებიც უმაღლეს განათლებას მოითხოვენ. განათლების სისტემა საჭიროებს გარდაქმნას ისე, რომ მიუახლოვდეს მატერიალური წარმოების სფეროს, ხელს უწყობდეს როგორც წარმოების, ისე ადამიანის განვითარებას; განათლების სისტემის სოციალური მიზნები, როგორც მიუთითებენ, მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფაში, სოციალურად აქტიური ახალგაზრდობის ფორმირებაში, რათა ახალგაზრდობამ შეასრულოს მისი შრომითი და მოქალაქეობრივი მოვალეობა[40].

---

36 Гессерт К., Города. Географический этюд. М., 1912, с. 77.

37 იქვე, გვ 80—81.

38 Сонин М., Оценка уровня и структуры образования. В кн.: «Образовательная и социально-профессиональная структура населения СССР». М., 1975, с. 8.

39 Оттенберг Н., Изучение профессиональной структуры рабочих кадров и требования к их подготовке, там же, с. 56.

40 Шуруев А. С., Роль высшего и среднего специального образования

განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს წარმოებაში დასაქმებული ქალი. სოციოლოგიურ კვლევასა და პრაქტიკაში ფართოდ შემოვიდა ქალის შრომისა და საბჭოთა საზოგადოებაში ქალის ახალი სოციალური როლის დამკვიდრების პრობლემატიკა. ქალების მიგრაციული ეფექტიანობის ამაღლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მუდმივ ზრუნვას წარმოებაში ქალისათვის შრომის პირობების სრულყოფას. ეს კი, როგორც კვლევით დადასტურდა[41], ზრდის ქალის შრომით აქტივობას, ზოგავს ჯანმრთელობას, აადვილებს პროფესიული და ოჯახურ-საყოფაცხოვრებო ფუნქციების შეთავსებას. წარმოებაში ინერგება განათების ახალი სისტემები, ახალი მანქანა-დანადგარები, რომელთაც ნაკლები ხმაური და მტვერი აქვთ. ხაშურისა და გორის საფეიქრო საწარმოებში დანერგილია ახალი ტიპის ნაკლებხმაურიანი ავტომატური სართავ-საქსოვი დაზგები. ეს პროცესი უნდა დაჩქარდეს, რადგან ამ მიმართულებით კიდევ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი; განსაკუთრებით ეს გორის ბამბეულის კომბინატს შეეხება.

ყურადღებას იქცევს მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო დაბალი კვალიფიციური დონე. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ქალების პროფესიული მომზადების სწორი ორგანიზაცია[42].

ამრიგად, საშუალო ქალაქების მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში ქალის შრომის პირობების გაუმჯობესება, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და მასზე შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ.

ფართო მნიშვნელობით სოციალური განვითარება კულტურის დონის ამაღლებასაც გულისხმობს. საქართველოს საშუალო ქალაქები კულტურის განვითარების მხრივ არსებითი გარდამქმნელი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. კულტურა, კულტურული საქმიანობა (მოქმედება) სოციოლოგიურ მეცნიერებაში გაგებულია როგორც ისეთი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ბდგომარეობით და მოხმარების კულტურით მატერიალური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი მოღ-

---

в подготовке новых пополнений интеллигенции; в сб.: «Социальные проблемы формирования пополнений интеллигенции». М., 1980, с. 52.

41 Янкова З. А., Советская женщина (социальный портрет). М., 1978, с. 133—136.

42 Турчанинова С. А., Профессиональное обучение работниц на промышленных предприятиях; в сб.: «Социальные проблемы рационального соотношения профессиональных и семейно-бытовых функций женщины». М., 1980, с. 15.

ვაწეობის პროცესში, როცა ხდება ადამიანის შინაგანი ძალების რეალიზაცია: კულტურული მოთხოვნილებები, ამასთან, არ დაიყვანება მხოლოდ სულიერ მოთხოვნილებამდე, იგი მოიცავს ადამიანის მთელ სოციალურ საქმიანობას[43].

კულტურულ სფეროში არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენება ერთ-ერთი არსებითი პირობაა საქართველოს საშუალო ქალაქების აქტივიზაციისა და, ამდენად, მოსახლეობის მიგრაციის ოპტიმიზაციისა. კულტურის ღირებულებათა მოხმარების რაციონალიზაცია პრობლემური ინერტიულობიდან უნდა გადავიყვანოთ აქტიურ პოზიციებზე, სადაც, პირველ რიგში, სახელმწიფოებრივ საწყისებთან ერთად საზოგადოებრივ აქტივობას და თვითრეგულირებას ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს.

ამრიგად, თუ ზოგადი დასკვნის სახით წარმოვადგენთ საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარების პრობლემებს მიგრაციულ პოლიტიკასთან მიმართებაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს სოციალურ მეცნიერებაში და პრაქტიკაში ამ მიმართულებით გაკეთებულია ცოტა, გასაკეთებელია ბევრი. გამოკვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოს საშუალო ქალაქებში მიგრანტთა სოციალური ადაპტაციისა და მიგრაციული ქცევის ნეგატიური პროცესების ფორმირებაში სოციალური განვითარების შეფერხებებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. საშუალო ქალაქებში რადიკალურად უნდა გარდაიქმნას: საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სატრანსპორტო, კომუნალური და სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია და მართვა; საბინაო მშენებლობის ტემპი უნდა დაჩქარდეს და მასშტაბი გაიზარდოს; კულტურის დაწესებულებათა მუშაობა უფრო მრავალფეროვანი, მიმზიდველი და არა ეპიზოდური, არამედ ნორმადქცეული ცხოვრების ნაწილად უნდა იქცეს; სპორტული ცხოვრება ახალ იმპულსებს თხოულობს. ამ მიმართულებით მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის დადგენილება მასობრივი სპორტის განვითარების შესახებ; შრომის პირობებს, განსაკუთრებით ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესება შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელების და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების მუდმივი და რეალური ყურადღების ქვეშ უნდა მოექცეს. საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტიანობას მხოლოდ ასეთი მიმართულების ღონისძიებების რეალიზაციით შეიძლება მივაღწიოთ.

---

43 Культурная деятельность, Опыт социологического исследования, под ред. Л. Н. Когана. М., 1981, с. 43.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საერთო დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები

სკკპ და საქართველოს კპ XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებში დასახულია საშუალო ქალაქების აქტივიზაციისა და ხრდის ამოცანები. ამ გარემოებამ განაპირობა აღნიშნული რანგის ქალაქების სოციალური და ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების ღონისძიებათა დასახვა, რომლის რეალიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს სპეციალური მეცნიერული და კომპლექსური გამოკვლევების შედეგები. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია მიგრაციული პროცესების კანონზომიერებათა დადგენისა და ოპტიმიზაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა.

პრობლემის კვლევაში კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მიგვეღო საქართველოს საშუალო ქალაქებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების, განსაკუთრებით კი მიგრაციული პროცესების რელიეფური სურათი.

კვლევის შედეგები საერთო დასკვნების სახით ასე წარმოგვიდგება:

1. საქართველოს საშუალო სიდიდის ქალაქებში მიმდინარე სოციალურ-დემოგრაფიული პროცესებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებია:

ა. ბუნებრივი მატების დონე უფრო მაღალია, ვიდრე დიდ ქალაქში და საშუალო ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაქვემდებარებაში მყოფ სასოფლო რეგიონებში.

ბ. მიგრაციული პროცესებისათვის ნიშანდობლივია მიგრაციის მოცულობის მაღალი მაჩვენებელი და მიგრაციული დამკვიდრების ძირითადად უარყოფითი, ან მცირე დადებითი კოეფიციენტი, რაც მიგრაციული ძვრების ნეგატიურ ტენდენციებზე მიუთითებს.

გ. მიგრაციის ქანქარისებური ფორმა ინტენსიური შრომითი კავშირის გამოხატულებას წარმოადგენს სოფელსა და საშუალო ქალაქს შორის (სოფელი — ქალაქი).

დ. განვითარებული სოციალიზმის კანონზომიერებათა შესაბამისად პროგრესულ ცვლილებებს განიცდის საშუალო ქალაქის მოსახლეობის განათლებისა და სოციალურ-პროფესიული სტრუქტურა, შრომის ხასიათი.

2. საშუალო ქალაქში შემოსული მიგრაციული ნაკადის სოციალურ-პროფესიული და ასაკობრივი სტრუქტურა მიუთითებს აღნიშნული რანგის ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ აქტივიზაციაში მიგრაციის დიდ პოტენციურ შესაძლებლობებზე, რაც სათანადოდ არ არის გამოყენებული. მიგრანტთა ადაპტაციური სიძნელეების დაძლევა ქალაქის სოციალური განვითარების პრობლემებს უკავშირდება, რომელთა გადაწყვეტა მიგრაციის ეფექტიანობის ამაღლების წყარო უნდა გახდეს.

3. საერთო საცხოვრებელში მცხოვრები მიგრანტი განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება; მათ მიმართ საგანგებო ყურადღება და მზრუნველობა შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელობას უპირველეს მოვალეობად უნდა დაეკისროთ. საკუთარ ოჯახურ სითბოსა და მყუდროებას მოკლებულნი საერთო საცხოვრებელში მაქსიმალურად უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ კომუნალური და ფსიქოლოგიური კომფორტით.

4. კადრების დენადობის არასასურველი ინტენსიფიკაცია უარყოფითად მოქმედებს წარმოებაზე და მიზეზ-შედეგობრივად არსებითად არის დაკავშირებული მიგრაციულ ძვრებთან.

5. საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაცია რამდენადმე განსხვავებულია ქალაქების არაიდენტური ფუნქციის გამო; მაგალითად, ასეთი სპეციფიკური ქალაქებია: სამრეწველო-სატრანსპორტო, პოლიფუნქციური, აგროსამრეწველო, სამთომომპოვებელი, საკურორტო.

6. გეოგრაფიულად დიდსა და საშუალო ქალაქს შორის მდებარე მცირე ქალაქისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო რეგიონის მოსახლეობის მიგრაცია ფაქტობრივად არც უკავშირდება საშუალო ქალაქს და, ამავე დროს, დიდ ქალაქზე უდიდესი ძალის მიგრაციულ დაწოლას ახდენს.

7. საშუალო ქალაქის მოსახელობის მიგრაციული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა უშუალოდ უკავშირდება დემოგრაფიული სტრუქტურის ოპტიმიზაციას, სოფელსა და ქალაქს შორის მიგრაციული კავშირების რეგულირებას, დიდ ქალაქზე მიგრაციული დაწოლის არსებითად შენელებას, მიგრაციის ქანქარისებური ფორმის რაციონალიზაციას და განვითარებას, მიგრანტთა სოციალური ადაპტაციის სიძნელეების მინიმუმამდე დაყვანას.

8. მიგრაციულ პოლიტიკასთან ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული კომპლექსური გეგმების შეთანაწყობა ის ერთადერთი გზაა, რომელმაც საშუალო ქალაქის სოციალური განვითარება საიმედოდ უნდა წარმართოს.

აქვე წარმოვადგენთ ზოგიერთ პრაქტიკულ წინადადებასა და რეკომენდაციას.

1. სასურველია კომუნალური მეურნეობის სამინისტრო გარდაიქმნას საქალაქო განვითარების სამინისტროდ, შესაბამისად განსაზღვრულ-დეს მისი ფუნქცია და მოქმედების არეალი; მის კომპეტენციაში შევიდეს ქალაქების დაპროექტების, მშენებლობისა და ფუნქციონირების მატერიალური ბაზის უზრუნველყოფა, ქალაქური ცხოვრების მატერიალურ და მეურნეობრივ სფეროთა კოორდინაცია და საქალაქო ცხოვრების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ორგანიზაცია.

2. ტელეფონიზაციის, როგორც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მონაპოვრის, ქრონიკული ჩამორჩენილობიდან გამოყვანის მიზნით შეიქმნას სპეციალისტ-ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სათანადო ღონისძიებებს, რათა საქალაქო სატელეფონო კავშირი რეალური ხელშემწყობი ფაქტორი გახდეს ქალაქის ცხოვრებისა და განვითარებისა.

3. საშუალო ქალაქებისათვის შემუშავდეს და დაინერგოს საშუალო სპეციალური და საშუალო პროფსასწავლებლების შექმნისა და განლაგების ისეთი სქემა, რომელიც დაკავშირებული იქნება რეგიონის ძირითად სამეურნეო-საწარმოო პროფილთან და მისი რეალიზაცია მოხდება დიდ ქალაქებში განლაგებული შესაბამისი სასწავლებლების ლიკვიდაციის ხარჯზე.

4. საშუალო ქალაქებში საბინაო მშენებლობის დიდი ჩამორჩენილობის დაძლევის მიზნით სასურველია ფართო გასაქანი მიეცეს კოოპერაციულ საწყისებზე საბინაო მშენებლობას, რომლის მსურველთა რაოდენობა კოლოსალურია. პირადი დანაზოგის გამოყენება საშუალო ქალაქის საბინაო პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი რეზერვია და მისი ამოქმედება ორგანიზაციული სისუსტის დაძლევით არის შესაძლებელი.

5. სასურველია რეორგანიზებულ იქნეს რეგიონალური შრომითი რესურსების ინსპექტურა შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სოციალური სტატისტიკის განყოფილებად, რომელსაც დაევალება გაფართოებული და გაღრმავებული ფუნქციის შესრულება (რეგიონის სოციალური და დემოგრაფიული პროცესების ამსახველი ინფორმაციის მოპოვება, პირველადი ანალიზი). აღნიშნულმა განყოფილებამ პერიოდულად და სისტემატურად უნდა მიაწოდოს საიმედო ინფორმაცია ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობას რეგიონში შრომითი რესურსების გამოყენების მდგომარეობის, კოორდინაციისა და მიმდინარე სოციალური სტატისტიკის ანალიზის შედეგების შესახებ.

6. სასურველია საგეგმო კომიტეტს დაევალოს არა მარტო უზრუნველყოფა, არამედ მისი შესრულების მიმდინარეობისადმი ხელშეწყო-

ბა და კონტროლი. ეს ღონისძიება, ალბათ, შესაბამის ორგანიზაციულ კორექტივს მოითხოვს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სტრუქტურაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. რესპუბლიკურ დონეზე მიმდინარე რეგიონალური სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტიული გეგმების შემუშავება უნდა წარიმართოს დახვეწილი მეთოდოლოგიური პრინციპების შესაბამისად, როცა ერთი რეგიონის დაგეგმილი აქტივიზაცია და შესაბამისად შრომითი რესურსების გამოყენება მეორე რეგიონის აქტივიზაციაზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს და, ამრიგად, თითოეული რეგიონი სხვა რეგიონის განვითარების ხელშემწყობი იქნება. საქმე ეხება საქართველოს, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემისა და მისი რეგიონალური ქვესისტემების კოორდინირებულ ფუნქციურ მთლიანობას.

საქალაქო (რაიონული) მასშტაბით:

1. დიდ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელობამ უნდა დააჩქაროს ტექნიკური გადაიარაღება, ახალი ტექნიკის დანერგვა, შრომის პირობების მკვეთრი გაუმჯობესება (განათება, ხმაური, სისუფთავე, მიკროკლიმატი და სხვ.). ეს ეხება განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობას და კერძოდ, ქალთა შრომას.

2. საავტომობილო-სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილეთა მომსახურებას. ქანქარისებური მიგრაცია საშუალო ქალაქის განვითარების აუცილებელი და დიდმნიშვნელოვანი წყაროა და მისთვის ხელშეწყობა ნიშნავს ამ ფორმით მიგრაციის ეფექტიანობის ზრდას.

3. რესპუბლიკიდან გამავალი დიდი მასშტაბის სეზონური მიგრაციული ნაკადის რესპუბლიკაში შემობრუნებისა და რაციონალურად გამოყენების მიზნით საკუთრივ საშუალო ქალაქებში შეიქმნას მათი დასაქმების მაქსიმალური შესაძლებლობები. საშუალო ქალაქებში დაგეგმილ დიდ საწარმოთა მშენებლობებზე მოწვეულ იქნენ სეზონური მიგრანტები, აშენდეს მათთვის კაპიტალური, კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლები, მოგვარდეს მათი შრომის ანაზღაურების საქმე. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში მუშახელის მიზანშეწონილად გამოყენებას; ამასთან, დაბალი კვალიფიკაციის, ან საერთოდ არავითარი პროფესიის მქონე სეზონური მიგრანტი აითვისებს რაიმე პროფესიას, აიმაღლებს კვალიფიკაციას, ექნება შრომისა და ცხოვრების უკეთესი პირობები. ამრიგად, ასეთ ღონისძიებას მოჰყვება მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობა. საზოგადოებისა და

პიროვნების განვითარების ორმხრივი დადებითი შედეგი საშუალო ქალაქის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელებმა მათ დაქვემდებარებაში მყოფ საერთო საცხოვრებლებში, სადაც მიგრანტები ცხოვრობენ, კომუნალური და ფსიქოლოგიური კომფორტის უზრუნველსაყოფად ყოველდღიურად უნდა იზრუნონ; ამ მიმართულებით გაწეულმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც კადრების დენადობის, ისე არარაციონალური მიგრაციის შემცირებას.

5. სასურველია რაიონულ და საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი უჯრედები არსებითად და კვალიფიციურად იკვლევდნენ საზოგადოებრივ აზრს და კვლევის შედეგებს ითვალისწინებდნენ საქალაქო ცხოვრების ყველა სფეროს გაჯანსაღების მიზნით ოპერატიულად და თანმიმდევრულად.

6. საშუალო ქალაქების სოციალური და კულტურული ცხოვრების ტონუსის ამაღლების მიზნით სასურველია თბილისობის მსგავსად დაწესდეს სხვა ქალაქების ყოველწლიური შესაბამისი მასშტაბის დღესასწაულები, რაც სახალხო ზეიმად უნდა დამკვიდრდეს.

საქართველოს საშუალო სიდიდის ქალაქების მოსახლეობის მიგრაციული პროცესების რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, სოციალური პრობლემაა და ქალაქების სოციალური განვითარების საფუძვლებს და სიტუაციას მიზეზ-შედეგობრივად უკავშირდება.

ქალაქის სოციალური განვითარების პროცესების ნორმალიზაცია ბევრად განაპირობებს მიგრაციის ეფექტიანობას; ამიტომ, მიგრაციული პრობლემების გადაწყვეტა, პირველ რიგში და უპირატესად, სოციალური და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი კომპლექსური გეგმების მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებისა და რეალიზაციის ჩარჩოებში უნდა ხდებოდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

МИГРАЦИЯ НАСЕЛЕНИЯ И ПРОБЛЕМЫ СОЦИАЛЬНОГО РАЗВИТИЯ СРЕДНИХ ГОРОДОВ ГРУЗИИ

(конкретно-социологическое исследование)

Резюме

Книга посвящается проблемам социального и демографического развития средних городов Грузии и современным миграционным процессам населения.

Исследование средних городов Грузии (Гори, Поти, Зугдиди, Цхинвали, Самтредиа, Хашури, Цхакая, Чиатура, Телави, Гагра, Махарадзе, Ткибули, Ткварчели, Зестафони) выявило как общие закономерности, так и региональные особенности демографических явлений, в частности миграции населения.

Процесс формирования и реализации миграционного поведения представляется сложным социальным, экономическим и психологическим образованием; при этом, нельзя забывать, что обеспечение социальной свободы личности само по себе сильнейший фактор стимулирования миграционного поведения; сегодня личность располагает неограниченно большими возможностями выбора места жительства и работы, чем в недалеком прошлом.

Миграция населения из села в город существенно подействовало не только на перераспределение населения, но и на качественные стороны развития общества.

Перераспределение населения в городах разной величины через миграции происходит интенсивно.

Цель данного исследования — установить миграционную природу населения среднего города и его связь с процессами социального развития этих городов.

Итоги исследования должны привести к практическому решению проблем — выработке оптимального режима миграции населения среднего города.

В труде рассмотрены вопросы социально-демографической ситуации в средних городах Грузии, в частности, выявлены статистические закономерности изменения численности населения как в самих городах средней величины, так и их сельских регионах, а также естественного и механического движения населения.

Отдельно рассматриваются в динамике процессы изменения поло-возрастной структуры, семейного положения, образовательного уровня, характера труда, социальной структуры, национального состава.

Основная часть книги труда посвящается конкретно-социологическому исследованию миграции населения средних городов Грузии — полифункционального города (Гори), промышленно-транспортной функции (Самтредиа, Хашури), а также, агропромышленного (Махарадзе) и областного центра (Цхинвали).

В труд включено специальное исследование миграции населения малого города и его сельского населения, расположенного между большим и средним городом.

Конкретно-социологическое исследование основано на широкой социально-информационной базе: документальные данные, архивные документы, опросы общественного мнения (4 вида вопросников). Изучены основные формы миграции: постоянная, маятниковая, сезонная; выявлены тенденции развития миграционных процессов.

Особо обращено внимание на сложную и в советской социологии мало изученную проблему социальной адаптации мигрантов.

Общие выводы можно вкратце изложить следующим образом. В средних городах Грузии показатели естественного прироста населения выше, чем в больших городах и сельских регионах, которые входят в территориально-административное подчинение среднего города.

В средних городах миграционные процессы характеризуются высокими показателями миграционного оборота и в основном отрицательным коэффициентом миграционного оседания.

Общественное мнение критически относится к функционированию социально-культурной инфраструктуры городов; выявлены факторы и причины неэффективности миграционных процессов. Установлены формы и направление миграции, поло-возрастной, социально-профессиональный состав, семейное положение, образовательный уровень и другие социально-демографические показатели реальных и потенциальных мигрантов. Население малого города и его сельского региона, расположенного между большим и средним городом, выявляет специфическое миграционное поведение. Несмотря на соседство и непосредственную близость со средним городом, сильные миграционные потоки направляются в сторону большого города; а это способствует резкому изменению демографических структур района — выхода в негативном направлении. Ясно, что такая ситуация стимулирует нежелательно сильное миграционное давление на большой город (Тбилиси). Это явление еще раз подтвержда-

ет необходимость скорейшей экономической и социальной активизации среднего города.

Уделено внимание проблемам миграционной политики, которая непосредственно связана с вопросом оптимизации демографических структур, регулирования миграционных связей, существенного снижения миграционного давления на большой город, рационализацией и развитием маятниковой миграции и доведения до минимума социальных и культурно-психологических трудностей адаптационных процессов мигрантов.

Соответствие миграционной политики с социально-экономическим перспективным планом развития средних городов — это единственная дорога, которая надежно будет направлять регулирующие процессы миграции и социального развития.

В книге социальные и демографические вопросы рассматриваются в свете решений XXVI съезда КПСС и XXVI съезда Компартии Грузии.

Теоретические выводы основаны и связаны с достижениями советской социологической и демографической науки.

В конце труда представлены рекомендации и практические предложения.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი

სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოს საშუალო ქალაქებში . 11
1. სოციალურ-დემოგრაფიული ცვლილებები 11
2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა 17
3. მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა სტატისტიკის მიხედვით . . . 21
4. დემოგრაფიული სიტუაციის სხვა ასპექტები 24

თავი მეორე

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლა 36
1. კვლევის მეთოდები და ხერხები 36
2. სოფლის მოსახლეობის მიგრაციული კავშირები და საშუალო ქალაქი . 41
ა. მუდმივი მიგრაცია (გამავალი ნაკადი) 42
ბ. ქანქარისებური ფორმის მიგრაცია . . . . . , 48

თავი მესამე

საქართველოს საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაცია და სოციალური ადაპტაციის პრობლემა 65
1. კვლევის მეთოდი 65
2. საშუალო ქალაქში შემოსული მიგრანტის სოციალური და დემოგრაფიული პორტრეტი 70
3. მიგრანტის სოციალური ადაპტაციის პროცესები 78
4. მიგრანტი საერთო საცხოვრებელში 90
5. კადრების დენადობის მიგრაციული ასპექტი 92

თავი მეოთხე

მიგრაციული ტენდენციების სოციალური საფუძვლები. საქართველოს სპეციფიკური საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაცია . . . 94
1. მიგრაციული ტენდენციების კვლევის ხერხები და კვლევის შედეგები . . 94
2. საქართველოს სპეციფიკური საშუალო ქალაქების მოსახლეობის მიგრაცია (მოკლე მიმოხილვა) 101
ა) აგროსამრეწველო საშუალო ქალაქის მოსახლეობის მიგრაციის ზოგიერთი თავისებურება 101
ბ) მოსახლეობის მიგრაციის სოციალური ასპექტები საოლქო ცენტრის ფუნქციის მქონე საშუალო ქალაქში 105

თავი მეხუთე

მცირე ქალაქისა და მისი სასოფლო რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული ქცევა დიდ და საშუალო ქალაქებთან მიმართებაში . . . 107
1. მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებები 107
2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა 109
3. მოსახლეობის მიგრაციის ფორმები (მუდმივი და ქანქარისებური) . . 109
4. მიგრაციული პროცესები და საზოგადოებრივი აზრი 117
ა. ქანქარისებული მიგრაცია 117
ბ. მოსალოდნელი მიგრაცია 126

თავი მეექვსე

მოსახლეობის მიგრაციული პოლიტიკა და საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარება 134
1. მიგრაციული პოლიტიკის თეორიული საკითხები 134
2. საშუალო ქალაქების როლი და ადგილი საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის რეგულირებაში 142
3. საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარების პერსპექტივები მიგრაციული პოლიტიკის შუქზე 151
საერთო დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები 159
Миграция населения и проблемы социального развития средних городов Грузии (конкретно-социологическое исследование) (Резюме) 164

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

АКАКИЙ НЕСТОРОВИЧ КАЦАДЗЕ

МИГРАЦИЯ НАСЕЛЕНИЯ И ПРОБЛЕМЫ СОЦИАЛЬНОГО РАЗВИТИЯ СРЕДНИХ ГОРОДОВ ГРУЗИИ

(конкретно-социологическое исследование)

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი,
ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი.

*

ИБ 2195

გამომცემლობის რედაქტორი ს. ხ ა ნ ჯ ა ლ ა ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ე. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 15.12.82; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.8.83;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 10.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.9;

უე 00906; ტირაჟი 1800; შეკვეთა № 4084;

ფასი 1. მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

315/11

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 1 მან. 10 კაპ.